

ცხენა მხარეს კიდევ ერთი ტყემლის ბუჩქი შევნიშნე, რომელზე-
დაც ნაყოფი უკვე შემსხვილებულიყო. მისმა დანახვამ ნერწყვი
მომგვარა. გადავწყვიტე ნაყოფი მეგემნა. ბუჩქთან მისულმა
ყურადღება მივაქციე მის ძირთან გაჩხერილ გამხმარ ტოტებს,
რომლებიც ტყემლისას არ ჰგავდა, და ეტყობოდა, წყლისაგან
იყო მოტანილი.

ესეც სასწაული! ნუთუ ამ ღელემ ისე იცის ადიდება, რომ
მისი წყალი აქამდე სწვდება?! ჩემი თვალზომით, წყალი აქ რომ
ამ სიმაღლეზე ამოვიდეს, არანაკლებ მტკვრის ხარჯის მაინც
უნდა გახდეს. ჩემმა აღმოჩენამ საგონებელში ჩამაგდო და მიდა-
მოს გულდასმით დავუწყე დათვალიერება. კლდეებზე მკვეთრი
ჰორიზონტალური ზოლი შევნიშნე, რამაც მაფიქრებინა, რომ
არც თუ დიდი ხნის წინათ, აქ საკმაოდ ღრმა ტბა იყო, რო-
მელიც, ალბათ, კლდეებიდან ჩამოშლილი მეწყერით მდინარის
გადაკვეთის შედეგად შეიქმნა. ისიც ცხადად ჩანდა, რომ ტბამ
წლობით იარსება, შემდეგ კი გზა იპოვა და დაიცალა.

ისევ ლოდიდან ლოდზე ხტუნვით დავუყვივი დამღმართს.
მდინარემ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ და ლარივით გასწორდა,
მოსახვევიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით ჯებირი
გამოჩნდა, რომლის სიმაღლე ოც მეტრზე მეტი სიმაღლის იქნე-
ბოდა და ვერტიკალურად ეშვებოდა ფუძემდე.

აი ისიც, ჩემი აქ ყოფნის შემდეგ რამხელა მეწყერი ჩამო-
წოლილა ხეობაში. ჩავილაპარაკე და ჯებირისაკენ გავწიე. მი-
სული სახტად დავრჩი, ორ კლდეს შორის გაჭედილი იყო
კლდიდან მოწყვეტილი ლოდი, რომლის წონა, ალბათ, ათასი
ტონობით განისაზღვრებოდა. ლოდი ისე იყო კლდეებს შორის
გაჭედილი, რომ მას ვერც გვერდს აუვლიდი და ვერც ზედ
ახვილოდი სპეციალური იარაღების გამოყენების გარეშე. მივხ-
ვდი ხაფანგში მოფეშვნიდ. ღელის პირას ქვაზე ჩამოვჯექი და
შექმნილი მდგომარეობის აწო-დაწონა დავიწყე. გამოუვალ მდ-
გომარეობაში აღმოვჩნდი. უკან დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა.
გველების გამოქვაბულის მორევიდან მთელი სიცოცხლეც რომ
მეცადა, მაინც ვერ მოვახერხებდი ხავსიან კლდეზე ასვლას. წინ
კი უშველებელი ლოდი მიკეტავდა გზას.

ნუთუ აქ უნდა... და ფიქრი შევწყვიტე. დიდხანს ვიყავი გაოგნებული, არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ გამეღწია ხეობიდან.

დასავლეთით მზე კლდის კედესთან ჩაესვენა და ხეობაში ჩრდილი ჩამოწვა. საათს დავხედე, რვის ნახევარს უჩვენებდა. ჯერ ხომ ორი საათია დაღამებამდე, - გავიფიქრე და აღმოსავლეთით მდებარე კლდეს ავაყოლე თვალი ფუძიდან ზედა კედემდე. ის ზემოთ ისევ განათებული იყო. მის რუხ სხეულზე აქა-იქ იის ბუჩქები და რაღაც სხვა მცენარეები ამოსულიყო. ჩრდილმა სიჩუმე და ილუმინაცია მოიტანა.

ერთხელ კიდევ ავათვალ-ჩავათვალიერე კლდიდან მოწყვეტილი ლოდი, რომელიც წვეროთი ჩასობილიყო ორ კლდეს შორის და მის ფუძესთან პატარა გუბე გაჩენილიყო, რომლის შუაგულში წყალი ბრუნავდა. ეტყობოდა კარგა სიღრმეზე ვერტიკალურად ეშვებოდა ის, მერე თავის გზას პოულობდა და ჩამონაშალის მეორე მხარეზე აღწევდა.

- თოკი მაინც წამომეღო, ბუჩქზე გამოვამადი, დინებას ჩავეყვებოდი თოკჩაბმული, იქნებ ლოდქვეშ დიდი გვირაბია. თუმცა, ამის ალბათობა ძალიან მცირე მიჩვენა. ეს რომ ასე იყოს, ლოდთან წყალი არ დაგუბდებოდა, - გავიფიქრე და ლოდის და კლდის ურთიერთშეხების ადგილს თვალი ავაყოლე. ფუძიდან ოთხი-ხუთი მეტრის სიმაღლეზე საკმაოდ მოზრდილი სიცარიელე შევნიშნე.. იქნებ სიცარიელე გამჭოლია, გავიფიქრე. სიტყვა „იქნებამ“ იმედის ნაპერწკალი გამიჩინა. კარგად ვიცოდი, რომ არც ხვრელამდე იქნებოდა ადვილად მისაღწევი.

შორიახლოს მიმოფანტული ქვების შეგროვება და კლდეზე ყოჩის მიშენება დავიწყე. ვაშენებდი მთელი მონღომებით. თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ეს ერთი-ორი საათის საქმე არ იყო და დაღამებამდე ვერ მოვასწრებდი.

ხეობის მარჯვენა კლდეზე ჩრდილმა უფრო და უფრო სწრაფად დაიწყო აღმასვლა და ხეობაში ჩამობნელდა. ციდან ნამგალების ჰყვივლის ხმა მომესმა. ავიხედე, უამრავი ფრინველი ირეოდა ზემოთ. ქვემოთ კლდის ფუძესთან კი ასობით ქვეწარმავალი წამოწოლილიყო და მადააღძრულნი ელოდნენ თუ

როდის გადმოუვარდებოდათ ფრინველებს ბარტყები ბუდიდან. დაბნელებამდე ყორე თითქმის წელამდე მწვდებოდა. ოფლში გაწუწულობა, ცოტახანს შევისვენე, შემდეგ კი ტანსაცმელი მთლიანად გავიხადე და ღელეში ჩავწექი. გრიალმა წყალმა გამომაფხიზლა და თითქოს ხალისიც დამიბრუნა. პირველად მაშინ მივხვდი, რომ ხალისიც და ჰმუნვაც ადამიანის განუყრელი თანამგზავრები არიან ყველგან და ყოველთვის.

ჩემს ცხოვრებაში პირველ ღამეს ვატარებდი სრულ სიჩუმეში მარტოდმარტო და მაშინ მივხვდი:– ვინც სიჩუმეში, თუნდაც ცოტა ხნით არ ყოფილა მარტო დარჩენილი, ალბათ, ვერც ვერასოდეს გამიგებს, თუ რა უბედური ვიყავი მაშინ.

მთვარის შუქმა, როგორც იქნა, კლდის ზემო ნაწილი გაანათა და მასზე ათასნაირი ფიგურები დახატა. დიდხანს ვაკვირდებოდი მათ. ისინი კი უფრო და უფრო მრავლდებოდნენ და მკვეთრნი ხდებოდნენ. მე ამის მნახველი მივხვდი, თუ საიდან იღებდა სათავეს მითი კანიონში ავი სულების არსებობის შესახებ.

ციდან რაღაც შრიალის მსგავსი ხმა მომესმა. ავიხედე, რომელიღაც ფრინველი მოფრინავდა. ფუი, ეშმაკო, ვთქვი და პირჯვარი გადავიწერე. ფრინველი ჩემგან არც თუ ისე შორს, ღელეს პირას დაჯდა და წყლის სმა დაიწყო. მერე ქანდაკებასავით გაირინდა. ნეტავ რა უნდა იყოს? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს და გატრუნული თვალს არ ვაშორებდი მის ლანდს.

კლდიდან რაღაც იდუმალი ხმა გაისმა, რომელიც მთელ კანიონში დაგუბდა. ხმა ადამიანის კვნესას ჰგავდა. ხმას სხვა ხმებიც გამოეპასუხნენ და შეიქნა ხეობაში ერთი გადაძახილ-გადმოძახილი. როგორც იქნა, ჩემს ახლოს მჯდომმა ფრინველმაც ამოიღო ხმა. სიცილი ამიტყდა. შიშს, მართლაც რომ, დიდი თვალეები ჰქონია. ბუ ზევსის არწივად არ მომიჩვენა!

ირიყრაყა თუ არა, ყორის შენებას შევუდექი. მთელი დღე არ დამისვენია, თუ არ ჩავთვლით ჰამაზე დახარჯულ დროს. ყორის სიმაღლის ზრდასთან ერთად უფრო მძიმე ხდებოდა შრომა, ჩქარა ახლო-მახლო თითქმის აღარ იყო ისეთი ქვა, რომლის აწევასაც შეეძლებდი. ამიტომ მისი მოტანა უფრო

შორიდან მიხლებოდა, ეს კი შრომას მიათკეცებდა.

დაბრუნებისთანავე ქანცვაწყვეტილი, გულაღმა დავეცი ღელის პირას და მთვარის ამოსვლამდე აღარ გავნძრეულვარ. დახედა, თუ არა არემარეს მთვარემ, ზეზე წამოვდექი, ტანთ გავიხადე და როგორც წინა საღამოს, ისევე ჩავწექი ღელეში. ცოტა გამოვცოცხლდი და შიმშილიც ვიგრძენი. ზურგჩანთასთან მივედი, კვანჩხით ორცხობილას ნამსხვრევები ამოვიღე და შევჭამე. შემდეგ ღელის პირას, დიდ გლუვ ლოდზე ჩამოვჯექი და ჩემს ნაშრომს დავაკვირდი. საკმაოდ მაღალი ჩანდა. ცოტაც და ხვრელში შესვლას მოვახერხებდი. იმედია, გამჭოლად გამავალი იქნება. ზეგ დილას ჩამონაშალის მეორე მხარეზე ვიქნები, საღამოხანს სოფელში დაბრუნებასაც მოვახერხებ. დაგეგმილზე მხოლოდ ერთი ღამით მეტიც გათევა მომიწევს ხეობაში. ვაიმედები საკუთარ თავს.

ფიქრებში წასულს ჩამეძინა. დილით ნამგალების ჭყვივით გამომავლიდა, კლდეებს ბუზებივით ეხვეოდნენ ისინი, მერე ერთ გუნდად დაიწყეს შეგროვება და ხეობა დატოვეს. მე ისევ მშენებლობას დავუბრუნდი. საღამოხანს ხვრელს მივალწიე, საიდანაც ჭიანჭველებით გამოცვივდნენ ხვლიკები, რამაც ძალიან გამახარა. მათი იქ ყოფნა ხომ ხვრელში გველების არყოფნას ნიშნავდა.

იდაყვებზე დაყრდნობილი შევხიხიე. მივხიხიე კვნივით. თუმცა იმედი, რომ გვირავი გამჭოლი იქნებოდა, უკვე აღარ მქონდა, შიგ დაგუბებული ჰაერის გამო, რომლის სუნთქვა ძალიან მიჭირდა.

არა, მაინც ვივლი, ვიღრე შევძლებ. იქნება აქვს გასასვლელი, - ვფიქრობდი და უიმედო იმედით წინ მივიწვევდი, ვიღრე შუბლი ქვას არ მივარტყი. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, ლამის გონება დავკარგე. ვგრძობდი, როგორ მოდიოდა სისხლი ჭრილობიდან. ესეც საკუთარი თავის გამოცდა! - ვთქვი და მუშტი სიმწრით დავარტყი ხვრელის ფსკერს.

უკუსვლით ძლივს მოვახერხე ხვრელიდან გამოძრომა. დღის სინათლის დანახვამ იმედდაკარგულს ისევ დამიბრუნა იმედი. ყორეზე დავჯექი, დასვრილი ხელით შუბლიდან სისხლი მოვი-

წმინდე. ხელს დავხედე. მივხვდი, რომ სისხლი ისევ ბლომად მოდიოდა. ღელის წყლით ჭრილობა მოვიბანე. სისხლის ღენა შემიწყდა და ცოტა განსჯის უნარიც დამიბრუნდა.

ეს რა ჩავიდინე სამოც წელს გადაცილებულმა კაცმა?! რა უნდა თქვან ჩემმა შვილებმა? ჩემგან მიყენებული ტრამვა მათ ხომ მთელი ცხოვრება გაჰყვებათ? რა ცუდია სიცოცხლეს ასე უაზროდ რომ ვამთავრებ. არა, ნამდვილად არ ვიყავი უფუნქციოდ დარჩენილი მოხუცი. შინაურ საქმეებში ხომ ვეხმარებოდი ოჯახს. როგორ, ეს ცოტაა? რა ეშმაკმა მომანდომა ამ ხნის კაცს თავის გამოცდა? მომავალი დიდი საქმეებისთვის ვემზადებოდი, თუ რა მსჯიდა? ჩემი ხნის ადამიანმა სჯობს შვილიშვილები ასეირნოს პარკში, მორჩა და გათავდა.

ცოტა ხანს ჩავფიქრდი, მერე გიჟივით გადავიხარხარე. ეს რა პანაშვიდს ვუხდი საკუთარ თავს –მეტი, – ვთქვი და ზეზე წამოვდექი. ზურგჩანთასთან მივედი, ხელით ავწიე, ისევ მემძიმა. მადლობა ღმერთს, – ჩავილაპარაკე. საგზაოს თუ ეკონომიურად გამოვიყენებდი, სამ–ოთხ დღეს ვიმყოფინებდი. ამასთან ერთად თადარიგში ტყემალი, გველანა და სხვა ჯიშის თევზებიც იყო. გულდაიმედებული დასაძინებლად მოვემზადე.

გამთენიისას ისევ ნამგალების ჭყვილიმა გამომალვინა, წამოვჯექი და კლდეს ავხედე. ფრინველები მჭიდროდ ირეოდნენ ერთმანეთში და თავგანწირვით ჭყიოდნენ.

რა ბედნიერები არიან ფრინველები, – გავიფიქრე და შემ–შურდა მათი.

ფიქრებში გართულს ზურგიდან ხმა მომესმა. შემოვბრუნდი, ღმერთო ჩემო! – შევძახე შემინებულმა, ჩემი ზურგჩანთისათვის მელიას პირი დაეგლო და მიათრევდა.

მშვიერი დამტოვა, ამ მსუნაგმა, ამან! – ვთქვი და ზეზე წამოვხტი, მელას დავედევნე. რომელიც უკვე აღარ ჰგავდა იმ მიმნდობ ცხოველს, როგორიც წინა დღით იყო. არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა ზურგჩანთის დათმობას, მიღრენდა კიდეც.

ნადირს ჩანთა გამოეტაცე. მთლად შეეჭამა, რაც გამაჩნდა თევზის ორი კონსერვის გარდა. ესლა მაკლდა! – ჩავილაპარაკე

და ქვა ვესროლე. არ გაქცეულა. ისეთი სიძულვილი გამო-
სჭვიოდა მის გამოხედვაში ჩემდამი, რომ შემაკრთო კიდევ.

ერთი კონსერვი დღეს, ერთიც ხვალ, მერე? – ჩავიჩურ-
ჩულე და ისევ ნადირზე გადავიტანე მზერა, რომლის თვალეში
აშკარად ჩანდა ჩემდამი ზიზლი.

- ნეტავ რას მერჩი, შე უსინდისო მხეცო, შენა? – შევძახე
გაბრაზებულმა, ქვა ვუთავაზე. როგორც იქნა, იკაღრა გაქცევა
უკანმოუხედავად.

მზერა ჩემს ქმნილებაზე გადავიტანე. ყორე საცოდავად
მიკვროდა კლდისა და ლოდის შეხების ადგილს. მშენებლობის
გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, ანლომანლო აღარსად ჩანდა
ისეთი ქვა, რომლის ყორეზე ატანას შევძლებდი.

ღელესთან მივედი, პეშვით წყალი სახეზე შევისხურე,
თითქოს გონება გამინათდა და ფიქრში გართული ავეყვი
ღელეს გველების გვირაბისაკენ.

გვირაბის გამოსასვლელთან მისულმა თვალი შევაავლე მის
პორტალს და ცხადი ვახდა, რომ მე მასზე ასვლას ვერ შევ-
ძლებდი. ალბათ ეს იყო ჩემი ბედი, – გავიფიქრე და ქვაზე მოწ-
ყვეტით დავეშვი. დიდხანს ვფიქრობდი. ბოლოს გადავწყვიტე,
ისევ ქვემოთ დავრბუნებულიყავ, წნელისაგან ჯაჭვი დამეწნა და
წყალს ჩავყოლოდი.

გზადაგზა წვრილი წნელები დავჭერი და კარგა მოზრდილი
კონით ჩემი ნაშენი ყორის ძირას ჩამოგვექი. საიმედო ჯაჭვი
დავწანი. ლოდის ქვეშ, წყლის ჩასვლის ადგილას დიდ ქვაზე
მივამაგრე ჩემი პერანგით და დინებას ჩავყევი. სამი-ოთხი მე-
ტრის სიღმრეზე წყალი ვერტიკალურად ეშვებოდა, შემდეგ კი
ქვათა ნაყარში იშლებოდა. ძლივს შევძელი უკან დაბრუნე-
ბა. წყლიდან ამოსული გულაღმა დავწექი მიწაზე, ასე ვიყავი
დიდხანს, აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი და არც მინდოდა,
რომ რამეზე მეფიქრა.

კიდევ ერთი ღამე გავათიე ხეობაში ღია ცის ქვეშ. დილ-
ით შიმშილმა მაიძულა რაღაც მელონა. ტყემლის ბუჩქისაკენ
გავწიე. ადვილი არც ნაყოფის მოკრეფა აღმოჩნდა. ბუჩქს
ყველა ტოტი ეკლებით ჰქონდა დაფარული და წამდაუწუმ ხან

აქ, ხან იქ მესობოდა. ჯიბეების ავსება მაინც შევძელი. მერე წყლის პირას ლოდზე ჩამოვჯექი და მაღიანად შევექცე. ჭამის შემდეგ არ გასულა ერთი საათიც, რომ ისევ მომშივდა. მივხვდი, ტყემლით შიმშილს ვერ მოვიკლავდი. ღელეში ჩავედი და ხელოაბა დავიწყე, რომელშიაც, მაინცდამაინც, დიდი ნიჭი არ აღმომაჩნდა. ორიოდვე ჭიჭყინა დავიჭირე და ცოცხლადვე გადავყლაპე. მივხვდი, თავის გატანა თევზითაც შეუძლებელი იქნებოდა. ჯერ ერთი თევზი ღელეში ძალიან ცოტაა და მეორეც, არც მე ვიყავი ხელით თევზის ჭერაში დახელოვნებული.

ის დღეც ისე დაღამდა, რომ ვერაფერი საშუალება ვერ მოვძებნე ტყვეობიდან თავის დასაღწევად. დაბნელებისთანავე დავწექი დასაძინებლად. შუალამისას ჭექა-ქუხილმა გამომალღიძა. ირგვლივ უკუნი სიბნელე გამეფებულყო. ცას ავხედე, ერთი ვარსკვლავიც აღარ ჩანდა ცაზე. ელვამ ცის თალი უსწორმასწოროდ მთელ სივრცეზე გაფხრიწა და საშინელი ჭექა-ქუხილიც გაისმა.

დიდი წვიმაა მოსალოდნელი, - ჩავილაპარაკე ნასიამოვნებმა. მართლაც, რამდენიმე წუთში ცამ პირი გახსნა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ჩქარა თევზივით ჩუმი ღელე ახმინდა. ადვილად შესაძლებელი იყო წყალს წაველე და დავებრჩევი კიდეც. სწრაფად გავემართე ჩემი აშენებული ყორისაკენ. სიბნელეში ხელის ფათურით ძლივს ავძვერი და ზედ მოვკალათდი. მართალია, ბნელოდა, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, თუ როგორ სწრაფად მოიწვედა წყალი ჩემსკენ. ცოტაც და უკვე წყალში მედგა ფეხები. კიდეც ცოტაც და წყალი წელამდე მწვდება. ეს რა სისწრაფით ივსება ხეობა?! ახლა მთავარია წვიმა არ შეწყდეს, ორ საათსაც რომ არ შეწყდეს ასეთი წვიმა, უკვე ლოდს ზემოდან მოვექცევი და ადვილი შესაძლებელია, გადავრჩე კიდეც. თითქოს წვიმამ მისმინაო, უფრო და უფრო უმატა. კლდის კიდემდე სულ რაღაც ორიოდ მეტრი თუ იქნებოდა დარჩენილი. კლდეს ფრჩხილებით ავეკარი და ღმერთს შევთხოვე არ მაქციოს თავხელი მელიის კერძად. ცოტაც და კლდის კიდეც თითები ჩამოვეკიდე. საკმარისია ერთი თითით მივწვდე და მერე მე ვიცი.

ცაზე საბოლოოდ დაიქუხა, ღრუბელი აიჭრა და წვიმაც შეწყდა.

ბუნებამაც გამწირა, რა იქნებოდა სულ ოცი წუთი გაგრძელებულიყო წვიმა.

მზის ამოსვლას გულდაღმა მწოლი შევხვდი ღელის პირას. ვიცოდი, რომ ასე ახლოს თავისუფლებასთან ვეღარასოდეს ვიქნებოდი. მეტად სარწმუნოდ მეჩვენებოდა, რომ ჩამონაშალის მეორე მხარე რბილი გრუნტით იქნებოდა დაფარული და ისიც დასაშვები იყო, რომ მცენარეული საფარიც ფარავდა მას.

მზე ზენიტიდან დამყურებდა. ღელე ისევ დამშვიდებულ - დადუმებული ძველებურად მიედინებოდა თავქვე. წამოვდექი, პირი დავიბანე და ტყემლის ბუჩქისაკენ გავწიე. მისულმა რამდენიმე ნაყოფი მოვწყვიტე, იქვე ჩამოვჯექი და თვალი ხეობას მოვაგლე.

- არა! გულხელდაკრეფილი არ შევხვდები სიკვდილს. ახლა ჩრდილში ჯდომის დრო არ არის, უნდა ვიმოქმედო, - ვთქვი და ზეზე კი არ წამოვდექი, წამოვვარდი.

მაინც რა შემიძლია გავაკეთო?

- არა! არა! აუცილებლად უნდა დავაღწიო თავი ამ ხეობას!
- შევძახე ხმამაღლა.

- ნეტავ რა მოხდება, კლდის ქვეშ, წყლის გასასვლელი რომ ამოვქოლო?

- წყალი დაგუბდება, მაგრამ იგი ხომ მაინც იპოვის გასასვლელს, - ვფიქრობდი ჩემთვის.

- მაინც უნდა ვცადო. წყლის გასასვლელთან ჯერ ბევრ მიწასა და ქვას დავაგროვებ, მერე კი ერთბაშად დავიწყებ ჩაყრას გასასვლელში. წყლის დონეც აიწევს.

- ვიცი აიწევს, მაგრამ აკი ვთქვი, წყალი სადმე მაინც გამეპარება. მისგან ნაპოვნი ახალი გზების დაქოლვას მაინც ვეღარ შევძლებ. ასე რომ, ამხელა შრომა წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება. თუმცა აქ ტყუილად ჯდომას რა ფასი აქვს.

ოთხი დღე ვაგროვებდი ქვასა და მიწას წყლის ჩასასვლელთან. მეხუთე დღეს უკვე ჩაყრა დავიწყე. საუცხოო შედეგი მივიღე. საღამომდე წყლის დონემ ორი მეტრით მაინც აიწია

და ლოდის წინ საკმაოდ მოზრდილი ტბა გაჩნდა. სიხარულმა შიმშილი გადამავიწყა. ტბაში შევცურდი და ლალად მოგუსვი მხარული.

ბინდი ჩამოწვა, ნამგალებმა თავიანთ ბუდეში დაიბუდეს. ისევ ჩამოწვა გულისგამაწვრილებელი სიჩუმე და ისევ ძველებურად დაუწყო ღრღნა ჩემს ნერვებს. ზურგჩანთა დაგვეცე და თავქვეშ ამოვიდევ. ჩქარა ჩამეძინა. მთელი ღამე ისე გავიდა, რომ ერთხელაც არ გამღვიძებია, ალბათ, დაღლილობის გამო. მზის ამოსვლისას ძველებურად ნამგალების ჟივილ-ხივილმა გამომამღვიძა. ჩემს თვალებს არ დავუჯერე. ტბას ჩემი აშენებული ყორე დაეფარა.

რამხელა წყლის ხარჯი ჰქონია ამ პატარა ლელეს, - ვთქვი და თვალი მოლივლივე ტბას მოვავლე, ჩემს უკანასკნელ იმედს. შემდეგ ტანთ გავიხადე და შიგ შევცურდი. კლდესთან მივცურე და ხელის სმით ვეხვეწებოდი - არ დამლუპო, წყალი არ გაატარო -მეთქი. საღამომდე დონემ ნაცნობ ხვრელამდე მიაღწია. ისევ შევცურდი ტბაში და კლდეზე აქა-იქ შემოჩენილი თითო მუჭა მიწით და პატარა ქვებით ხვრელის ამოქოლვა დავიწყე. როცა მოვრჩი, მოპირდაპირე მხარეს გავცურე და საფუძვლიანად შევამოწმე კლდისა და კლდიდან მოწყვეტილი ლოდის ურთიერთშეხების ადგილი, რომელიც საიმედოდ გამოიყურებოდა. გულდამშვიდებულმა უკანვე გამოვცურე და პირველად ცხრა ღამის განმავლობაში, მშვიდად დავიძინე. მჯეროდა, რომ ჯებირის უკანა მხარე რბილი გრუნტით იქნებოდა დაფარული და ზედ საკმაოდ დიდი ხეებიც ხარობდნენ.

შუალამისას ჭექა-ქუხილმა გამომამღვიძა. ცაზე ყოველ წუთს ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ცეცხლის გველები. გახარებული ზეზე წამოვხტი და ღმერთს მადლობა შევწირე. ცოტა ხანში ისეთი თქემი წამოვიდა, რომ თვალებიდან წყლის მოწმენდას ვეღარ ვასწრებდი. არ ვასულა ნახევარი საათიც, რომ ტბაში აზვირთებული ლელე შემოვარდა გრიალით. გათენებამდე წვიმდა.

ირიჟრაჟა თუ არა, ჩემი ნაცნობი ხვრელისაკენ გავიხედე. ის უკვე აღარ ჩანდა. ტბაში შევცურდი. ისევ მივცურდი კლდ-

ესთან. მიხაროდა, რომ ღმერთმა და ბუნებამ ერთდროულად გადმოხედდა. საკმარისი იყო, წყლის ღონეს კიდევ ორი მეტრით აეწია, რომ უკვე შევძლებდი ჯებირის თავზე მოქცევას.

ტბა მთელ სიგრძეზე ცურვით გადაგვეთე და ღელის შესასვლელთან ამოვედი. სიპ ლოდზე წამოვსკუბი და ჩემს ტბას გავხედე ისევ. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...“ – გამახსენდა ერთი პოეტის ნათქვამი და ხასიათზე მოვედი. იმედმა შიმშილი გამახსენა.

- ნეტავ დამეკრიფა ტყემალი, ვიდრე დაიტბორებოდა, - ჩავილაპარაკე დანანებით და ირგვლივ მოჯარულ კლდეებს დავუწყე ცქერა, რომელსაც რამდენიმე ხვლიკი მიკვროდა. ახლა საკმარისია ფიჩხი ავილო ხელში და რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხვლიკს მოვინადირებ. თუმცა, ნეტავ რაში მჭირდება ხვლიკები? იქნებ კიდევ დავიჭიროო ორიოდ ჭიჭყინა, თუ არა და, სჯობს ცოტა ვიშიმშილო, სადმე რომ წამომცდეს ხვლიკებსა და ლოკოკინებს ვჭამილო, ხომ დაიწყებენ მერე ჩემზე ლაპარაკს, ხვლიკიჭამია გერვასი რომ არის აი ისაო. სახელი - ხვლიკიჭამია მე კი არა ჩემს შვილსა და შვილიშვილს გაჰყვება. რას იზამ, ასეთია ხალხი. თუმცა არც აღამიანები ვართ, მაინცღამაინც, საიდუმლოს შემნახავი. ძალიანაც რომ გვინდოდეს არ ვთქვათ, მაინც ვამბობთ. ერთს კი ვიტყვით: ამას სათქმელად არ გეუბნებია და დავფქვავთ მერე საიდუმლოს.

ფიქრებში გართულმა ერთი საკმაოდ მოზრდილი გველანა დავიჭირე და იმწამსვე ცოცხლად გადავყლაპე. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და თვალშიაც დამიბრუნდა ნათელი. ასეთი იღბლიანი თევზაობა მე არასდროს მქონია.

მთელი დღე წყლიდან არ ამოვსულვარ, საღამოს უკვე ძალაზე მოსულმა ისევ დავკეცე ჩემი ზურგჩანთა და თავქვეშ ამოვიდე გულდაიმედებულმა, რომ შემდეგ საღამოს აუცილებლად შევძლებდი ხეობის დატოვებას, პირველი ნამგალას აფრენას მეც ავყევი და ტბას გადავხედე.

- ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ! ტბას თუ არ მოკლებოდა რა, არაფერიც არ მომატებოდა. სასწრაფოდ ტანთ გავიხადე და შიგ შევცურდი. წყალს ჩემგან ამოშენებული ხვრელის კედელი

გაერღვია და გრიალით მიედინებოდა. ასე მტკივნეულად არასოდეს მქონია უმწეობის განცდა. ერთხანს ისიც კი დავაპირე, გვირაბში წყალს ჩავყოლიდი. თუმცა ვიცოდი, რომ იქიდან ვერასდროს გამოვრბუნდებოდი და ვერც ჯებირის მეორე მხარეს გავიდოდი. იმედდაკარგულმა ძლივს გამოვცურე წყლიდან. მერე პირდაპირ ლელის პირას გულადმა დაეწევი და საღამომდე აღარ გავნძრეულვარ, მიუხედავად იმისა, რომ პაპანაქება სიცხე იყო მთელი დღე. მობინდებისას ავრილდა. თითქოს აზროვნებაც დამიბრუნდა, წამოგვექი და ისევ გავხედე ტბას, რომელიც სასიამოვნოდ ლივლივებდა, მაგრამ ჩემთვის არავითარი სიკეთის მოტანა არ შეეძლო.

ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?

- არა! არაფერიც არ დამთავრებულა! ცოცხალი ადამიანისათვის ერთი თუ მთავრდება, მეორე იწყება. ეს კანონია სიცოცხლისა. ამის შეცვლა არ შეიძლება, თუ შეცვლი და არ იმოქმედებ, მერე რაც მოგივა, ყველაფერი შენს თავს უნდა დააბრალო და არა შექმნილ სიტუაციას, - შემოვუძახე საკუთარ თავს და ისევ ფიქრებმა წამიღო.

ახლავე უკან დავბრუნდები, ამაღამ გველების გვირაბთან გავათევ, დილით, აღრიხანად კი შევუდგები გვირაბის გაწმენდას. იქნებ მივალწიო მორევამდე. მორევის ზედაპირიდან თავისუფლებამდე სულ ერთი მეტრი მაშორებს. რაც არ უნდა იყოს, ერთი მეტრია და არა ერთი კილომეტრი. ვინ იცის, შეიძლება სულაც არ არის მორევი ღრმა და კიდევ შევძლო მისი ქვევით ამოვსება, ვაიმედებდი საკუთარ თავს.

ღამე, მართლაც, გვირაბთან გავათეე. ირიჟრაჟა თუ არა, მისი გაწმენდა დავიწყე. გამოტანილ ქვევს იქვე ახლოში ვაწყობდი გვირაბის წინ, რათა უკანვე შემეტანა მორევის ამოსავსებად. ორი დღის მუშაობის შემდეგ გვირაბი ისე გაიწმინდა და გაფართოვდა, რომ უკვე თავისუფლად შემეძლო მასზე გავლით მორევთან ქვევის მიტანა. გამიმართლა, არც მორევი აღმოჩნდა ღრმა. სამ მეტრზე ცოტა მეტი სიღრმის თუ იქნებოდა, მის ფსკერზე გულზე ქვაახუტებული თავისუფლად დავაბიჯებდი. გაღარჩენის იმედმა ხალისი და იმედი შემმატა.

ისე დავხელოვნდი ქვის ქვეშიდან თევზის გამოყვანაში, რომ წინათ თუ ერთ საათში ცხრა-ათი თევზის დაჭერა გმირობად მიმაჩნდა, ახლა უკვე ოცი-ოცდახუთი დაჭერილი თევზითაც უკმაყოფილო ვიყავი.

გვირაბის გაფართოებიდან მეექვსე დღეს თავი დავიხსენი ხეობის ტყვეობიდან. ვაკეზე გასული, მწვანე ველზე გულადმა დავწექი და თვალი უსასრულო ლურჯ ცას მივაპყარ. რა ტკბილი ყოფილა თავისუფლება! ალბათ, ეს ფათერაკი რომ არ შემთხვეოდა მზის ქვეშეთიდან ისე მომიწვედა წასვლა, რომ ამ სიამოვნებას ვერ განვიცდიდი.

დავმშვიდდი თუ არა, ჩემიანები გამახსენდა. ვინ იცის, როგორ დამეძებნენ. რომ გამოგონდები, რა უნდა ვთქვა, რით უნდა ვიმართლო თავი, ამ ხნის კაცმა? - აი კითხვები რომლებზედაც მომიწვედა პასუხის გაცემა. წარმომედგინა, თუ რა უხერხულობაში მოგვხვდებოდა ჩემიანებთან შეხვედრისას, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ჩემი ცოცხლად ნახვით გამოწვეული სიხარული ყველა კითხვას მეორეხარისხოვანს გახდიდა.

ფიქრს თავი ვანებე და წამოვდექი, ახალგაზრდული ენერგია ვიგრძენი მთელ სხეულში. დინჯად და აუჩქარებლად გავწიე სოფლისაკენ. არ გამივლია ორასი მეტრიც, რომ ხეობაზე ზემოდან დახედვის სურვილი აღმეძრა. სულელივით გამეცინა და ჩემს თავს შემოფუძახე - არ კმარა, რაც გააკეთე შენი ამბიციის დაკმაყოფილებისათვის -მეთქი, მაგრამ სურვილი ძლიერი იყო.

- მაინც რატომ უნდა დავხედო ხეობას ზემოდან? - დამებადა კითხვა.

- დიახაც უნდა დავხედო. სწორედაც რომ ზემოდან უნდა დავხედო, რათა სრულიად შევიგრძნო მასზე გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, - უკან გაგბრუნდი, თავი ტყვეს მივეცი. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე კლდის ქიმზე ვიდექი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ხეობის ფსკერი და მასზე მიმავალი პატარა ლეღე, რომელმაც გადამარჩინა. დავყურებდი და მიხაროდა, რომ მე მისი ტყვე აღარ ვიყავი. ის უბრალო ორმოდ მომიჩვენა, ჩემი თავი კი გოლიათად.

დიდხანს დავყურებდი „ორმოს“. ის ღუმდა, არაფერს ამ-

ბობდა ჩემს ვაჟკაცობაზე, მე კი მინდოდა რამე ეთქვა, ელიარე-ბინა, რომ მე ის დაგამარცხე.

მღუმარება და ლოდინი მომწყინდა, ფეხზე წამოვდექი, მთელი სიგრძე-სიგანით ერთხელ კიდევ ავათვალ-ჩავათვალიერე ის და გადავძახე:

- „ორმო“, შენი ტყვე გეგონე, მაგრამ გახსოვდეს, მე, ჭალარამ, შენც დაგამარცხე და შენთან ერთად საკუთარი სიბერეც, ხომ კარგად გაიგონე „ორმო“!

ახლა კი წავედი, ნახვამდის!

გულადა

რკალადქცეული მთვარე მათათა მწვერვალებს ზემოდან მოექცა, მიძინებულ ტყის ხეთა შორის სხივები შემოაპარა, მგელთა ბანაკი გაანათა და ვარკსვლავებით მოჭედო, შავი ცის თალზე გზას დაადგა.

მნათობის სხივის დაცემა პირველად ბებერმა წინამძღოლმა გულადამ იგრძნო, რომელიც ხროვიდან ოდნავ მოშორებით იყო წამოწოლილი.

- ნადირობის დრო მოსულა, - გაიფიქრა ბებერმა და ისე გახედა თავის სამწყსოს, რომ დრუნჩი წინგაწვდილი თათებიდან არცკი აუწევია.

- მშვიდად სძინავთ ახალგაზრდებს, ან რატომ არ უნდა ეძინოთ. მათ ხომ ჩემი იმედი აქვთ, - გააგრძელა ფიქრი.

ტყეში ტურის ჩხავილი გაისმა და წინამძღოლს ფიქრი დაუფრთხო.

- უნდა ვიჩქარო ნადირობის დაწყება, თორემ ერთი-ორი საათის შემდეგ მამლები იყივლებენ და სოფელში მოუსვენარი ადამიანები დაიწყებენ საქმიანობას, - გაიფიქრა გულადამ და ერთხელ კიდევ გახედა მგელთა ხროვას, უნდოდა დაეძახა, ადექით სანადიროდ გამომყევითო, მაგრამ ჯერ თვითონ არ იყო ამდგარი, დრუნჩი ისევ თათებზე ელო.

- ნეტავ რა მემართება?! უწინ გამოღვიძებისთანავე ფეხზე წამოვდგებოდი, კუნთებს დავჭიმავდი, მთელ სხეულს ჩამოფიფრებავდი და ძუნძულით დავეშვებოდი -ხოლმე სოფლისაკენ საკბილოს საშოვნელად.

- არა, არ მინდა სიბერე, მეშინია მისი! - ჩაიჩურჩულა გულადამ, ზეზე წამოადგა, ძველებურად სცადა გაზმოორება. გაიზმორა კიდევ, მაგრამ ერთიანად ასტკივდა კუნთი და ძვალი.

- რა ცუდი ყოფილა სიბერე! ალბათ ჩქარა ზედმეტ ბარგადაც მაქცევს, - ჩუმადვე ჩაიჩურჩულა შეშინებულმა და მშვიდად მიძინარე თვისტომს ერთხელ კიდევ ვადახედა.

- არა, უნდა ვადიარო, რომ ის აღარ ვარ, რაც ვიყავი.

როგორ, ცოტაა ჩემს აღზრდილთა შორის მუხლმაგარი და ჭკვიანი მგელი? ჩემი დრო წავიდა, - დაასკვნა და ის იყო უნდა დაეძახა, მგლებო, ადექით ახალი მეთაური აირჩიეთ, მე აღარ შემიძლია მეთაურობაო, რომ პირველობის ცდუნებამ დააჭერინა ენაზე კბილი.

- ეს რა ხდება? მიჭირს ჭეშმარიტების აღიარება?!

- რა სიბერეზე ვფიქრობ ახლა მე?! გულადას, ამდენი განსაცდელის მნახველს, შიში მეკადრება?

ბებერი გასწორდა, გაიჯვიმა და რიხიანად შესძახა:

- ჰაი, თქვე მძინარებო, თქვენა! აბა, სასწრაფოდ წამოფრინდით და გამოძევეთ, სოფელი ავაწიოკოთო, ბრძანა, პასუხს აღარ დაელოდა, ძუნძულით დაეშვა დაღმართზე და ნახევრად მძინარე მგლებიც აიყოლია.

სოფლის ახლოს წინამძღოლი ერთი წუთით შეჩერდა. გარს მგლები შემოიკრიბა და სათითაოდ შეათვალიერა. ყველა ჯანმრთელი და ძლიერი ჩანდა. ესამოვნა ჯანმრთელ თანატომელთა ხილვა და გულში საკუთარი თავიც შეაქო.

- მუხლმაგარა, შენ სოფელს ხუთი მგლით აღმოსავლეთის მხრიდან უნდა დაესხა თავს. არ დაინდოთ არაფერი, წიწილიდან - ხარამდე. შენ კი პირგანიერა დასავლეთის მხრიდან შეუტეე შენებურად ხუთიოდე მგლით. მე და შენ გულმაგარა დარჩენილ მგლებთან ერთად სოფლის შუაგულში უნდა შევცვივდეთ. ძაღლების არ შეგეშინდეთ, შშიშრები არიან. ვინავარდოთ თოფის პირველ გასროლამდე, შემდეგ კი ჩვენი ნაღვლით ერთიანად ტყეს უნდა მივცეთ თავი. თოფთან სითამამე არ გამოგვაღვება, იცოდეთ ადამიანის გონების მოგონილია ის.

- ეჰ, რატომ არ დაიწვა ის დღე, როცა ადამიანს განგებამ გონი მისცა, - ამოიოხრა გულადამ და ისევ მოავლო თვალი სოფელზე თავდასასხმელად გამზადებულ ხროვას, რომელიც მოუთმენლად ელოდა წინამძღოლის ბრძანებას.

- აბა, მოძევეთ! - შესძახა გულადამ და მგლის ხროვას სოფლისაკენ გაუძღვა.

X X X

სოფელში ქათმების კრიახი, ინდაურების ლოყლოყი, გოჭების ჭყვიტინი, ძაღლების ყეფა და ცხვარ-ძროხის ბლავილი ერთმანეთში აირია. ხან აქ და ხან იქ ორლობეში გამოჩნდებოდნენ მგლები. ზოგიერთმა მათგანმა საკბილოს მონადირეებაც კი შეძლო. ზურგზე მოიგდო და ტყისკენ გააქანა.

- არიქა, მგლები შემოგვესივნენ! - გაიძახოდნენ ადამიანები და საცვლებისამარა ეზოებში გარბი-გამორბოდნენ. თოფის გასროლამ ძაღლები გამბედავები გახადა და მედგრად შეუტიეს მტაცებლებს.

- ახლა გაცლა სჯობს, - გასძახა გულადამ მგლებს და პირი ტყისაკენ იბრუნა. სამი გაგულისებული ნაგაზი ჩაუდგა კვალში ბებერს. ჩაუდგნენ და სოფლის თავში წამოეწივნენ კიდევ. შეიქმნა უთანასწორო ბრძოლა. სისხლისა და ძალისაგან ერთდროულად იცლებოდა გულადა. ცოტაც და წაიქცეოდა კიდევ, რომ თავისი აღზრდილი და მემკვიდრე ორ მეგლთან ერთად არ წამოშველებოდა. თითქმის დაჯაბნეს კიდევ ძაღლები, მაგრამ მათ თოფიანი წამოეშველა. იგრიალა თოფმა, ვაი დედაო, - აღმოხდა გულმაგარას და იქვე ჩაიკეცა. ძაღლები მომაკვდავს დაესივნენ და გლეჯა დაუწყეს.

- აბა საჩქაროდ ტყისაკენ! - შესძახა გულადამ და კულამო-ძუბულმა ბრძოლის ველი დატოვა.

ნაცემ-ნაგვემი მგლები ტყის სიღრმეში ერთ ბებერ წიფლის ქვეშ შეიკრიბნენ.

- ხომ არავინ დაგვიკარგავს გულმაგარას გარდა? - იკითხა გულადამ.

- ღიახაც რომ დავკარგეთ! ნეტავ რად გვეკითხები. თვითონ ვერ ამჩნევ ნაბია და ხალისა რომ აღარ არიან ჩვენს შორის?!

გულადა მუხლმაგარას ნათქვამის ტონმა შეაკრთო, მაგრამ არ შეიმჩნია. უბრალოდ თავი გადააქანა და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაიჩურჩულა:

- უბედური ნაბია, ჩქარა დედა უნდა გამხდარიყო.

- შენისთანა წინამძღოლის ხელში ბევრი ჩვენგანი ველარ ეღირსება ვერც დედობას და ვერც მამობას. შენი ბრალია

ყველაფერი, რაც მოხდა!

- რატომბა ჩემი ბრალი, ვერ გამიგია?

- ყველაფერი კარგად იცი, გულადა, მაგრამ პირველობას ვერ შელოცხარ, თავი ხროვის რიგით წევრად ვერ წარმოგიდგინა!

- რაებს ბოდავ, შენ, მუხლმაგარავ?

- არაფერსაც არ ვბოდავ, რასაც ვხედავ, იმას ვამბობ.

ყველაფერი შენი ბრალია, რაც ახლა მოხდა! - გაიმეორა ახალგაზრდა მგელმა.

- მაინც რა მოხდა ისეთი, რომელიც ჯერ არასოდეს მომხდარა?! ჩვენ ხომ მგლები ვართ და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასეთია ჩვენი ბელი.

- ბედს რად უჩივი, გულადა, აქ ბედი არაფერ შუაშია! - წამოაშველეს სიტყვა მუხლმაგარას ზარმაცამ და ენაგრძელმა ღვერიამ.

- მაშ, ვინაა დამნაშავე?

- ვინაა და შენ!

- ვითომ რატომ ვარ დამნაშავე, ერთგულად არ გემსახურებოდი, თუ?!

- მარტო ერთგულება არ შველის საქმეს! კამათში ჩაერთო შუახნის მგელი, რომელსაც ქეჩოზე ჭადარა შეპარვოდა.

ცუდად ენიშნა გულადას ნათქვამი და უხმოდ მოავლო თვალი თავის სამწყსოს, რომელიც გუშინდელს აღარ ჰგავდა, თითოეული წევრის თვალები ველური ალგზნებით უცქეროდა ბებერ წინამძღოლს.

- ნეტავ რამ შეცვალათ, გუშინ სულ სხვანაირად მიცქერდნენ, - გაიკვირვა ბებერმა.

- გულადა, შენ მიგიძღვის ბრალი ჩვენს მოძმეთა დახოცვაში. შენივე ბრალია ღღეს რომ მშიერნი დავრჩით!

ეს სიტყვები ისე მკაცრად იყო ნათქვამი მუხლმაგარას მიერ, რომ გულადა ერთიანად გატყდა.

- რაში ვარ დამნაშავე? მითხარით!

- როდის იყო გულადა ჩვენი მოღვმა სანადიროდ რომ წასულიყო ამისათვის მთვარის ამოსვლას ელოდა?

გულადა გაჩუმდა.

- თქვი, რად გაჩუმდი? - მიეძალა მუხლმბარა.

გულადამ ამჯერადაც არ ამოილა ხმა.

- პასუხს თუ არ გამცემ, მე თვითონ ვიტყვი სიმართლეს!

- თქვი მერე!

- გულადა, ამ ბოლო ხანს მთვარის ამოსვლას იმიტომ ელოდები -ხოლმე, რომ თვალი აღარ გიჭრის, უფრო მეტიც, მუხლი და ჭკუაც აღარ გიჭრის შენ!

- რას მიბედავ, შე ლაწირაკო, შენა!

- მე ლაწირაკი აღარ ვარ და არც შენ ხარ ის გულადა, რომელსაც უნარი შესწევს ხროვას გაუძღვეს. შენს გამო მოკვდა გულმბარა. იცი ეს შენ, მაგრამ არ გინდა აღიარო, ამიტომაც გაეზნით იძულებულნი გვეთქვა შენთვის სიმართლე.

ბებერ მგელს წარსული გაახსენდა. თვალწინ დაუდგა თორმეტი წლის წინანდელი სცენა, თუ როგორ დაეძგერა ბებერ წინამძღოლს და ნაფლეთებად აქცია ის. ბებერმა თვალები დახუჭა.

დიდხანს იქნებოდა ასე თვალდახუჭული, ხროვაში შექმნილ ჩოჩქოლს რომ არ აეძულებინა მისთვის თვალის გახელა. გაახილა თუ არა თვალი კბილებდაკრეჭილი თანამომძენი იხილა.

- არ მომეკაროთ, მე ხომ თქვენთვის სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია. ამასთან ერთად ყოველი თქვენგანი ჩემი სისხლი და ხორცი ხართ!

მგლებმა არაფერი უპასუხეს ბებერს. მხოლოდ უხმოდ გადადგეს მისკენ ნაბიჯი.

- არა, არ დაგაფლეთინებთ ჩემს ტყავს, თქვე უმადურებო, თქვენა! - შესძახა გულადამ, ზურგი აქცია ხროვას და ახალგაზრდული სიმკვირცხლით დაეშვა დაღმართზე. გაქცეულს ახალგაზრდა მგლები ჩაუდგნენ კვალში, მაგრამ არც ის აღმოჩნდა ჯაბანი. ხშირად ახერხებდა თანამომძეთა თვალსაწიერიდან გაუჩინარებას, მაგრამ დამალვას კი -ვერა. საკუთარი სუნი ჰყიდდა მას. საკუთარი სუნი და არა მთვარე და ვარსკვლავები, რომლებიც ყველაფერ ამას ხედავდნენ.

ტოროლები

ბაგრატმა ძლივს შეიტანა გაფარჩხული ფიჩხის კონა ვიწრო ჭიშკარში და შეშის საჩეხ კუნძთან დააგდო. ქსოვილის ნაჭრით შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ღრმად ამოიოხრა.

- ღმერთო ჩემო, რა ღვთის რისხვას ასეთი ცივი ზამთარი, - თქვა და ფიჩხს დაჩეხვა დაუწყო, შემდეგ კოხტად დაილაგა მკლავზე და სახლში შეიტანა.

ოთახში ფანჯრიდან ჩამავალი მზის სხივი შემოსულიყო, კაშკაშა, მაგრამ სუსტი.

- მართლაც რომ, სიცოცხლეა მზის სხივი, მაგრამ ჩქარა გაქრება და თან გაიყოლებს სინათლეს. მერე მოვა სიბნელე, დაეუფლება ჩემს სულსა და გონებას და დამიკარგავს თვალის-ჩინს.

მზე იაღლოჯის მთაზე დაჯდა. აქაო და მზე ჩადისო ყინვა უფრო გათამამდა, გაკაპასდა და გააღმასდა. სულიერს და უსულოს ორმაგი ძალით შეუტია.

- არ მეშინია შენი, ყინვა! - ჩაილაპარაკა მოხუცმა და თუნუქის ღუმელში ფიჩხი შეყარა. მერე საგანგებოდ შემონახული ქალაღი ასანთით აანთო და ისიც ღუმელს შეუკეთა. ორიოდ წუთში ოთახში შეშის წვის სასიამოვნო ტკაცუნის გა-ისმა.

- ესეც შენ ყინვა!.. ახლა შენ ნახე რა გიჩვენო სიბნელე! - თქვა და ღუმელის კარი გახსნა. ოთახში ჩრდილები ათამამდნენ.

ბაგრატმა მზის ჩასვლისას ფანჯრიდან თოვლით დაფარულ ეზოს, რომელსაც შავ ლაქად აჩნდა უთოვლო მიწა, ერთხელ კიდევ გახედა.

- რა ოხრობამ გახეთქა ეს მილი? ყინვების დაწყებამდე მაინც გამსკდარიყო, მოგუხერხებდი რამეს. ახლა რომ გაკეთება დაგუწყო, ხომ დავსველდი კაცი? თუ დავსველდი, გავცივდები კიდევ. მე შენ გეტყვი, პატრონი მყავს და მომხედავს თუ? არც ფული მაქვს, წამალი რომ ვიყიდო. ნამდვილად ამომხდება

სული უპატრონოდ. გაზაფხულამდე ან მომაკითხავს ვინმე და ან არა.

ფიქრში წასულმა მოხუცმა ერთხელ კიდევ მოავლო მზერა უთოვლო სველ მიწას, რომელზედაც რაღაც რუხმა გადაირბინა.

- ახლა ჭკუა აქვს ამ ვირთხას. რას მომდგომია ამ გამოფხეკილ კაცს?! წავიდეს სადმე, ზვინში შეძვრეს, თბილად მაინც იქნება.

პირველს მეორე მიჰყვა.

- ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა ამ ყინვაში ვირთხების ასეთი მომრავლება?! ალბათ, ჩემი სიმინდიანი ქვაბი დამრჩა თავდაუხუტრავი? - თქვა ბაგრატმა და შეშინებული სარდაფში გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა ქვაბით ხელში, რომელიც იატაკზე დადგა, სახურავი ახადა, შიგ ჩაიხედა, თავი გადააქნია და ხმამაღლა წამოიძახა, - ეს ერთი მოხარშვა თუ იქნება.

ცოტა ხანს უძრავად იდგა მოხუცი. მერე ერთბაშად კარი-საკენ შებრუნდა და ისევ ხმამაღლა ჩაილაპარაკა;

- აბა ხელისგულისტოლა მიწაზე წლის სარჩოს ხომ ვერ მოვიწვედი? - შემკრთალმა სამხარეულოდან წყლიანი ქვაბი გამოიტანა, შიგ სიმინდი ჩაყარა და ლუმელზე დადგა.

- ესეც ასე, ხვალ მოხარშულ სიმინდს მივირთმევ, მერე კი პენსიაც მომისწრებს. ვიყიდი პურის ფქვილსა და საფუარს, დავაცნობ ფუმფულა პურებს და ვიცხოვრებ შაჰივით.

ისე, კაცმა რომ თქვას, ნეტავ ვის ვუნახავ რუსთავში იმ გაკრიალებულ სამოთახიან ბინას? ჩემი შვილიშვილი აქ დამბრუნებელი აღარ არის. ან რომ დაბრუნდეს, რა უნდა გააკეთოს? შიმშილი ამოხდის სულს. ეჰ, რა მიწა-წყალს ვაცდენთ ქართველები! - ამოიოხრა მოხუცმა და ისევ გააგრძელა: - რუსთავში წავალ, მაგრამ ძალიან არ მიყვარს „ელექტრიკით“ მგზავრობა. მოვა მოლარე და დამიწყებს, ბილეთს რატომ არ იღებო. ვეუბნები ომის მონაწილეებთან ვარ გათანაბრებულიო, მაგრამ არ ესმის. გაიძახის, რას ნიშნავს გათანაბრება არ მესმისო. მეც ათი თეთრის გულისათვის ვუხსნი და ვუხსნი, მაგრამ ვერაფერსაც ვერ ვაგებინებ. მგონი, სიტყვა „გათანაბრებული“

არ მოსწონს ძალიან.

- ახლა, ჩემო ბაგრატ, ბევრი შეშა რომ არ დაწვა ჩაძვერი ლოგინში და დაიძინე. ხვალ კიდევ გვიან ადევქი. ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიანაც კარგი ვქენი აქ რომ გადმოვედი. ქალაქში სიცივე და შიშბილი ამომხდოდა სულს შოშისასავით. ან ფიჩხი სად უნდა მეშოვა, ანდა შუქის ფული როგორ უნდა გადამეხადა. არა, არ მიწერია მე ქალაქში საცხოვრებლად დაბრუნება.

ფიქრებში წასულს ჩაეძინა. სიზმარში კარზე მომდგარი ვირთხები ნახა. ნახა და ისევ გამოეღვიძა.

- ნეტავ რა ჯანდაბა იყო დღეს ამდენი ვირთხები ცხადში და სიზმარში? რაღა დამაძინებს ახლა მე? ან როდის გათენდება? უნდა ვიყო დილაიმდე სიბნელეში და ვაკვარკვალო თვალები.

ეჰ, ნეტავ როგორაა ჩემი ვაჟიკო? მიივიწყა იმ მამაძალღმა მარტოხელა ბაბუა. დმერთო, კარგად მიმყოფე და ჯანდაბას ჩემი თავი, მიმივიწყოს. ისე კი არ უნდა მეცრუა, ვმუშაობო. თუ ექნებოდა რამე ცოტას წამომამშველებდა და ამ დღეში არ ჩავვარდებოდი.

არა, მგონი ასე სჯობს. ახლა ის ფიქრობს არ შიამო და მეც ვფიქრობ კი აქვს, მაგრამ იცის რომ მაქვს და იმიტომაც არ მიგზავნისო. ტყუილის თქმა განა ყოველთვისაა ცუდი?

როგორც იქნა ზამთრის გრძელი ღამე ფიქრებში დაიღია და ნანატრმა მზემ ფანჯარაში შემოანათა. მართალია ოთახში საკმაოდ ციოდა, მაგრამ ჯერ ისევ ჩაუცმელმა ფარდა გასწია და ეზოში უთოვლო მიწას გადახედა. გადახედა და გაოცებულმა შესძახა: - ტოროლები. თოვლისაგან თავისუფალ მიწაზე ორი ტოროლა კენკავდა. ფრინველების დამნახავმა ბაგრატმა მთელს სხეულში ზაფხულის სითბო იგრძნო. ბავშვობისაკენ გაიტაცეს მოგონებებმა, თავისი სოფლის ველ-მინდორი მოარბენინეს, გულიდან დარდი მოაცილეს და წუთიერად პატარა ბიჭად აქციეს.

სალამოს მოხარშული სიმინდი წვრილად დაჭრა მოხუცმა, თეფშზე დაჰყარა და გვიან ღამით ტოროლებს გაუტანა. დილით კი ფანჯრიდან უყურებდა როგორ კენკავდნენ ისინი მარცვლებს.

მეორე ღამეს ისევ გაუტანა საკენკი ფრინველებს. მესამე ღამეს კი თვითონაც და ტოროლებიც მშვიდრი დარჩნენ.

- ნუ გეშინიათ, ჩემო პატარა მეგობრებო, ხვალ ქალაქში წავალ, პენსიას ავიღებ, მერე ბაზარში გამოვივლი, ხორბალს გიყიდით, თქვენისთანა მეგობრებისათვის აბა როგორ დამენანება, ორმოცი თეთრის ერთი კილოგრამი ხორბალი თქვენ ხომ მთელ ზამთარს გეყოფათ, - ესაუბრებოდა ფანჯრიდან მოხუცი ფრინველებს და თან უხაროდა, რომ ღმერთმა ასეთი ბედნიერება უწყალობა.

ბაგრატი დლით, აღრიხანად, ქალაქში წავიდა პენსიის ასაღებად, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ფოსტაში გამოუცხადეს, ათი დღის შემდეგ გამოიარეო. ის დადარდიანებული დაბრუნდა გაჩიანში. სახლის კიბეზე უხმოდ ავიდა, ღამე ფიქრში გაატარა, რით გაეტანა თავისი თავი და ტოროლები. მეორე დღეს უკვე შიმშილმა შემოუტია. მოხუცმა ნიჩაბი აიღო და თოვლის ქვეშ მწვანილი მოძებნა. მზის ჩასვლისას ფანჯარასთან იჯდა და მადიანად შეექცეოდა ნახევრად გაყინულ მწვანლოს, თან ტოროლებს უცქერდა, რომლებიც ხანდახან თავს მალლა სწევდნენ და გარემოს ათვალთვლებდნენ, თითქოს ვიღაცას ელოდებიანო. ორი დღის შემდეგ მწვანილიც შემოეღო. კიდევ ორი დღე არაფერი უჭამია. მეექვსე ღამეს ფანარი აიღო და ტოროლების საბუდრისაკენ წავიდა. თან ფიქრობდა: ორი ტოროლა მინიმუმ ორმოცდაათი გრამი იქნება. გაჭირვებისას ორმოცდაათი გრამი ხორციტ ერთ ადამიანს ორი დღეც კი შეუძლია თავის გატანაო.

ბაგრატმა ბნელ ღამეში ადვილად მიაგნო მოჭუკჭუკე ფრინველებს და ფანრის შუქი პირდაპირ თვალეშში ჩაანათა. ტოროლებმა ჭუკჭუკს თავი ანებეს და მოხუცს მიაპყრეს მწერა. თითქოს თვალებით ეუბნებოდნენ - ჩვენ რა შეგვიძლია, შენზე იყოს ჩვენი ყოფნა-არყოფნაო.

ღარცხვენილმა მოხუცმა ტოროლების მწერას თავი აარიდა და მათკენ გაწვდილი ხელიც ჰაერში გაეყინა. ერთხანს თვალეშეც დახუჭა, მაგრამ მაინც ხედავდა აღელვებულ პურის ყანას, მის ზემოთ ლურჯ ცაზე დაკიდებულ მოჭიკჭიკე პატარა ჩიტებს და ცისკენ მაცქერალ ცისფერთვალეშა თერთმეტ-თორმეტი წლის გალაღებულ ბიჭს. ხედავდა დიდხანს, მერე ერთ-

ბაშად გამოფხიზლდა, ფუი ემმაცხო, ჩაილაპარაკა და სახლში
შებრუნდა.

ქარისაგან დევნილი ფოთოლოვით

შავ მდინარეზე გაღებულ ხიდის ფეხით სავალ ნაწილზე მძიმე ხელბარგი გახურებულ ასფალტზე დავდე და ჩემს ძველ ნაცნობ რუხ ღვევისმუცელა კლდეს გავხედე, რომლის ფუძესთან ქალაქი იწყებოდა. ქალაქი, სადაც ახლა მოქალაქეებს თაკარა სიცხე ხეთა ჩრდილებსა და სახლებში ერეკებოდა.

- როგორ მიყვარდა აქედან ღვევისმუცელა რუხი კლდის ქვევით შეფენილი სახლების ცქერა ორმოცი წლის წინათ, - გავიფიქრე და სახურავებს შორის ნაცნობი სახურავის ძებნა დავიწყე. ძველად მას თვალის ერთი გადაკვრით ვიპოვიდი -ხოლომე.

სახურავის ძებნაში გართული შვილიშვილის ხმამ გამომაფხიზლა.

- ბაბუ, წავიდეთ, - მთხოვდა სიცხისაგან შეწუხებული ბავშვი.

- უნდა წავიდეთ, აბა როგორ?! - დავირცხვინე დამნაშავესავით. მერე ხელბარგი ავიღე და აჩქარებული ნაბიჯით ავტოსადგურისაკენ გავწიე, რომლის ციციქნა მოსაცდელში ორი-ოდე „ნაფრონტალი“ სკამი და სამარისებური სიჩუმე დავგვხვდა. ბავშვს სკამზე დაჯდომა შევთავაზე. არ მინდაო, იუარა.

- დაჯექი ბიძია, ნუ გეშინია, არ გატყდება. იცი რამდენი წელია, რაც ეგ სკამი გოლიათივით ვაჟკაცებს უძლებს? - წამომამშველა სიტყვა მოსაცდელში ახლადშემოსულმა მამაკაცმა. ბავშვმა ოდნავ უხერხულობა იგრძნო და შეიშმუნა, მაგრამ მაინც დაჯდა. საათს დავხედე, ორი სრულდებოდა.

- რომელი საათია, ბაბუ?

- ორი სრულდება, ნიკუში!

- როდის გადის ჩვენი ავტობუსი?

- როგორც ვიცი, ოთხზე.

- ორი საათი კიდევ აქ უნდა ვიჯდე?!

- ასე მოგვიწევს.

- ქიქინეთში ხომ არ მიბრძანდებით? - ჩაერთო საუბარში

უცნობი და ნიკას გვერდით მიუჯდა.

- ღიას, იქ მივდივართ, მაგრამ თქვენ საიდან მიხვდით?
- აკი თქვით ოთხზეო. მეც თქვენთან ერთად მოვდივარ

ცოლულოში.

- გამოდის რომ სიძე ხარ ჩვენი? - გავეხუმრე უცნობს.
- კი არ გამოდის, ასეა ნამდვილად.
- მაშინ გავიცნოთ ერთმანეთი.

- გავიცნოთ. მე კოწია ვარ სეფერთელაძე აქოური, - მოუქცია ზემოიმერულად სიძემ.

- მე ნოდარა ვარ კაპანაძე. ეს კიდეც ჩემი შვილიშვილი ნიკოლოზ კაპანაძეა.

- კაცო, შენ მართლა ნოდარა კაპანაძე ხარ, ჩემპიონი?!
- რატომ ჩემპიონი?

- აბა რავა ძამია?! ხომ არ გგონია დაგვაფიწყდა შენი ჭიდაობა. მაინც რა გოუკეთე იმ რუსს ისეთი კოზმანაშვილივით ბეჭამოდებული რო გოუშვი ხალიჩიდან?

- ეგ აღრე იყო, ძმაო კოწია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მეც დავბერდი.

- ბებერი ხარ თუ ახალგაზრდა მაგას არ აქვს ახლა მნიშვნელობა, მაშინ ხომ გავგახარე მთელი რაიონი და...

- ბაბუ! ბაბუ! ნათელა სად ცხოვრობდა?
- რომელ ნათელაზე მელაპარაკები, ნიკუშ? - ვკითხე მოულოდნელი კითხვით საუბარში თავხედურად შემოჭრილ შვილიშვილს.

- რომელზე და შენ რომ მეუბნებოდი დღეს ავტობუსში, ჩვენს ქალაქში ერთი კარგი გოგონა ცხოვრობდა ნათელა ერქვა და სულ მის ახლოს მინდოდა ვყოფილიყავით.

- ნიკა... - და მეტის თქმა აღარ მაცალა ბავშვმა.
- ბაბუ, არ გინდა რომ ნახო ნათელა?

ბავშვს შევხედე და სწრაფადვე მოვაცილე მზერა.

- მე აქ დაგელოდები, ბაბუ, პატარა ხომ არა ვარ, უკვე სკოლაში მივდივარ წელს, - გააგრძელა ისევ.

- ეჰ შვილო, ჩემს მუხლებს შეუძლია ამხელა აღმართის ავლა-ჩამოვლა?

- ტრანსპორტი არ დადის, ბაბუ?
- არ ვიცი, მე ხომ აქ ორმოცი წელია აღარ ვყოფილვარ.
- არც ისე შორი უნდა იყოს ნათელას სახლამდე, - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბავშვმა.
- შენ რა იცი სადაა ნათელას სახლი?
- ვიცი, როგორ არ ვიცი, იმ რუხი კლდის ძირასაა შენ რომ ხიდიდან უცქერდი.
- ვინ გითხრა?
- შენმა თვალებმა ბაბუ. იმ კლდის ძირას დაეძებდნენ შენი თვალები ნათელას სახლს.

უხერხულობა ვიგრძენი, მზერა კოწიასაკენ გავაპარე, რომელსაც თავი დაეხარა და ილიმებოდა.

- წადი ბაბუ, ნახე, მე აქ დაგელოდები, - გაიმეორა ისევ ნიკამ.

- წაბრძანდი ბატონო ნოდარ, ბოვშის დარდი ნუ გექნება, ფეხს არ მოვიცვლით აქედან. მე და ეს ვაჟკაცი შენს დაბრუნებამდე კიდევ დავმეგობრდებით. კოწიას მადლობა გადავუხადე და გარეთ გამოვედი.

სადგურიდან ორ ნაბიჯზე მოჩანდა დევისმუცელა კლდე და მის ქვემოთ ფერდობზე შეფენილი სახლები.

მოკლეზე ავალ -მეთქი, - გავიფიქრე და მესხიერებაში თავიდან ბოლომდე აღვიდგინე ნაცნობი ბილიკი, რომელიც საკმაოდ დამრეც აღმართს მიუყვებოდა. გავიხსენე და მივხვდი, ჩემი მარილნალექიანი მუხლებით მის ავლა-ჩამოვლას ვვლარ შევძლებდი. მივხვდი და ხელმარცხნივ საბაგირო გზის სადგურისაკენ გავუხვდით.

ათეულწლების შემდეგ ისევ გადავავლე თვალი ნაცნობ სახურავებს. საბაგირო გზის ზემო სართულზე ასულმა ჩქარა დავტოვე იქაურობა და თავქვე დავეშვი ნათელას სახლისაკენ. შიშს, სიხარულს, სევდას და მონატრებას ერთდროულად დაედო ბინა ჩემს გულში. შიშს მეთქი, ვთქვი მე. დიახაც, შიშს განვიცდიდი ყველაზე მეტად. მეშინოდა, ამდენი ხნის ნატარებ გრძნობას ფუჭად არ ჩაევლო. მალე ნათელას ქუჩის შესახვევიც გამოჩნდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მას, მით უფრო

მეუფლებოდა მოუთმენლობა და შიში.

- ცოტაც და მის ჭიშკართან ვიქნები. იქ აუცილებლად უნდა გავჩერდე, მაგრამ ამ დროს რომ გამოვიდეს, ნეტავ რას ვეტყვი, ვითომ არ დავიბნევი ბრინჯივით? - ვეკითხებოდი ჩემს თავს.

ფიქრში გართულმა მოსახვევი გავიარე და ერთბაშად ნათელას ჭიშკრის წინ აღმოვჩნდი, რომელიც სრულებით აღარ ჰგავდა ჩემს მეხსიერებაში იმ წუთამდე შერჩენილ ჭიშკარს. აღარც ეზო და ფანჯრებზე თეთრქალაღდადაკრული ახალი სახლი ჰგავდა ჩემი ჭაბუკობის დროინდელს. არავის და არაფერს მაგონებდნენ ისინი. გული დამწყდა და გამობრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ერთხელ კიდევ ვცადე, მომინდა, თუნდაც ერთი რამ მაინც დამენახა იმდროინდელი ეზოში. ვცადე და დავინახე კიდევ. ორსართულიან ახალთ-ახალ სახლს ლობესთან მიეკუმშა მსხლის ხე, ჩემი ძველი ნაცნობი, რომელიც იმ წუთას ერთადერთი მასპინძელი მეგონა. თუმცა, რატომ ერთადერთი, მის გარდა ხომ კიდევ ერთი ძველი ნაცნობი, დევისმუცელა რუხი კლდე, დამყურებდა. ყველაფრის მომსწრე და მნახველი - ჩემი დევისმუცელა კლდე. სხვა არავინ ჩანდა სულიერი.

თავდახრილი დავუყევი გზაწვრილით დაღმართს. ერთ ვიწრო მოსახვევში გოგო და ბიჭი შემომხვდა, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი აღმართს მოუყვებოდნენ და ერთმანეთს თვალებში შესცივინებდნენ. მე მათ გზა დავუთმე და ყორეს შემოდგომის ცივი ქარისაგან დევნილი ფოთოლივით ავეკარი.

ჭალსტუხი

მარინემ თბილისიდან დაგვიანებით დაბრუნებულ ქმარს შეხედა და მის თვალებში ყველაფერი ამოიკითხა.

- არაუშავს, ვასიკო, ხან ასე ვიქნებით და ხან ისე.
- მაინც როგორ ვიქნებით, იქნება ვეთქვა?
- დღეს ცუდად ვართ, ხვალ კარგად ვიქნებით. ასეთი ყოფილა ცხოვრება, - უპასუხა ქალმა.
- სულ ეგ არის?
- აბა, მეტი რისი თქმა შემიძლია, წილობით კარჩაკეტილში მჯდომ ქალს, მეხი დაეცეს ჩვენს დამაქცევარს და მოისპოს ისე, როგორც ჩვენ მოგვსპო და გაგვანადგურა.
- რას ეძახი განადგურებას, აღამიანო?
- რას და იმას ვეძახი განადგურებას, რაც ჩვენ დაგვმართეს,
- წყრომით თქვა და ისევ გააგრძელა.
- ერთი ეს მითხარი, სამსახური გვქონდა?
- გვქონდა.
- არსებობის უფლება და საშუალება გვქონდა, თუ არა?
- როგორ არ გვქონდა.
- ახლა გვაქვს?
- როგორ არ გვაქვს, უფლება გვაქვს, მაგრამ პირობები არ გვაქვს, - გაეხუმრა ვასიკო მეუღლეს.
- ერთი მიპასუხე, ღირდა თუ არა ამ ყბადაღებული დემოკრატიისათვის ქვეყნის დანგრევა და ხალხის გაუბედურება, ვასიკო?
- ქვეყანა დემოკრატიას არ დაუნგრევია და არც ხალხი გაუუბედურებია.
- აბა, რა მოხდა, რა უბედურებამ მიგვიყვანა ამ ყოფამდე?
- კორუფციამ და კანონის უპატივცემულობამ შეჭამა ქვეყანა, მარინე.
- მერედა, ხომ მოიცილეთ შვიდი თვის წინათ ის კორუმპირებული მთავრობა და შენი ორი ნეკნიც მიაყოლე თან?
- რას ამბობ, მარინე, რა ორ ნეკნზეა საუბარი?

- დაგავიწყდა, რევოლუციონერო ვასიკო, ორი თვე მარცხენა გვერდზე რომ ვერ წვებოდი?

- რევოლუცია, მართლა ვარდებით კი არ ხდება, მარინე, რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს.

- მერედა, ის ორი ნეკნი რომ დაღე რევოლუციის სამსხვერპლოზე, სამაგიეროდ რა მოგცა სამოცს მიტანებულ კაცს?

- მე ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისათვის ვიბრძოდი და ვიბრძოლებ კიდევ, თუ საჭირო იქნება.

- ეჰ, ჩემო ვასიკო!

- რა ეჰ გინდა, ტყუილს ვამბობ თუ? შთამომავლობაზე ზრუნვა ყველა ნორმალური ადამიანის ვალია.

- რამდენი წლის ხარ, ვასიკო?

- არ იცი?

- ვიცი, მაგრამ სხვა რამეც ვიცი მე, - მარინეს უნდოდა ქმრისათვის ეთქვა, სამოცის კი ხარ, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეო. შეეცოდა ქმარი და ენას კბილი დააჭირა.

- ვასიკო, დროა მიხვდე, რომ ყველაფერი „ჩემით“ იწყება. ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იციან „ჩვენი“, - გადაუქართულა თავისი სათქმელი მეუღლეს.

- მარინე, მე და ჩემმა ღმერთმა, შენი ქარაგმულის ვერაფერიც ვერ გავიგე.

- რა ვერ გაიგე, ადამიანო? ვინც შენს გვერდით იდგა, ჭკვიანი იყო, თუ გიჟი და ერთი კენჭი მაინც ესროლა იმ კორუპტირებულ მთავრობას, ახლა თანამდებობაზეა გაჭიმული და გვერდზე აღარ იყურება.

მეუღლის ნათქვამმა ერთი გადიდრინოვნოვანი თანამებრძოლი გაახსენა, რომელსაც ორიოდე დღის წინ შეხვდა. მან კი უცნობივით აუარა გვერდი და ვასიკოს ღიმილი შეაყინა სახეზე.

- კარგი ახლა, ხალხმა ყველაფერი იცის, ვინ-ვინ არის, რომ იცოდე, ჩემო მარინე. შენი ამაყი და თავმომწონე ქმარი „ერთ ადგილს“ ბევრი დიდი ჩინოვნიკის გვერდით ერთი წუთითაც არ დადებს, - სცადა გახუმრება კაცმა.

- არ დადებ და იქნები ისე ჰაერში გამოკიდებული, რო-

გორც ხარ.

- როგორ ვარ, ადამიანო! ახლა ფული მარტო მინისტრებს და დიდ ბიზნესმენებს აქვთ ჩვენს ქვეყანაში. ხალხის ოთხმოც-დაცხრამეტი პროცენტი როგორც მე ვცხოვრობ, ისე ცხოვრობს. გაიარე ერთხელ შენც ელიავას ბაზრობასთან ხიდი რომ არის, დადექი იმ ხიდზე და ცალი თვალით გადაიხედე დაბლა. ზღვა ხალხს დაინახავ, მათ შორის ზოგი გენდირექტორად არის ნამუშევარი და ზოგიც კიდევ მეცნიერ-მუშაკად. არ გამაგონო მეორედ, ასე იქნები და ისე იქნებიო! - ხმას აუწია კაცმა.

- განა მე მინდა გული გატყინო, მაგრამ გაჭირვება თავს ვერ მალავს. უმაღლესი განათლების მქონე შვილები სახლში გიზის, რძალი გყავს, შვილიშვილი გყავს, ყველა თავისას მოითხოვს, შენ კი დილას გასული საღამოს ჯიბეცარიელი და დაღვრემილი ბრუნდები. გაჭირვება უნებურად წამოგაძახებინებს რამეს, როგორ შეიძლება დაიძინო როცა იცი, რომ ხვალ ბავშვს საჭმელი აღარ ექნება?

- რას ამბობ, ადამიანო?! - ხვალაც რომ ვერაფერი ვიშოვო, ბავშვი შშიერი უნდა დარჩეს?!

- არა, ჩემო ვასიკო, ველარავის ვერ შევაწუხებ, ერთ სიკვდილს ვათავებ, უარს რომ მეტყვიან ხოლმე.

- სულ აღარ გვაქვს სახლში ფული, ბავშვს სიმინდის ფაფა რომ მაინც მოვუხარშოთ?

- ვიყავი დღეს ბაზარში სამოცი თეთრით და თათრის ქალმა არაფრით არ მომცა კილოგრამი სიმინდი სამოცდაათ თეთრზე ნაკლებად.

- რა ვქნათ, მარინე?

- არ ვიცი.

- ხვალ იქნებ ვიშოვოთ რამე.

- ღმერთმა ქნას!

X X X

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სახეგაბადრულმა ვასიკომ სახლის კარი შემოაღო. ლოდივით დაღლილი ცოლ-შვილი ბელურების გუნდივით ერთად წამოიშალა და თითქმის

ერთდროულად შესძახა - სად იყავი, რატომ დაიგვიანეო.

- სამუშაო მქონდა, ჩემო მარინე, დღეს ნამდვილად გამიმართლა. აი ეს შენ, ცხრამეტი ლარია, ლარი გზაში დაგზარჯე. ხვალ ამით ბავშვის საჭმელი იყიდე და საღამოს კარგი ვანშამიც დამახვედრე. ენას აღარ აჩუმიებდა ოჯახის უფროსი.

- ეჰ, ჩემო ვასიკო, დღეს ნაზიკოსგან ისევ ვისესხე ათი ლარი, ბაზარში წავედი, მაგრამ მერე რა, ყველაფერს ცეცხლი უკიდია. ამ გაჭირვებული ხალხის ჭირად მოახდინეთ ეს ვარდების რევილუცია?

- რატომ ჭირად, რაში გიშლის ხელს ვარდების რევილუცია?

- ბაზარი გააძვირა რევილუციამ, არიქა კონტრაბანდა აღარ შემოდისო და ორმაგი ფასი დაადეს ყველაფერს. პენსია კი მხოლოდ სამი ლარით გაზარდეს.

- შენ რა, წესრიგის მომხრე არ ხარ?

- წესრიგის მომხრე როგორ არ ვარ, მაგრამ იმის მომხრე ვერ ვიქნები, რომ ზოგს სამი ათასი ლარი ჰქონდეს ხელფასი და ზოგს თვრამეტსაც აყვედრიდნენ. არ გეწყინოს და არც ამათი ბევრი არაფერი მწამს!

- შენ რა ურწმუნო თომასავით ლაპარაკობ, ადამიანო?

- რწმენას ფაქტები ქმნიან, ფაქტები კი კარგს არაფერს ღალადებენ.

- მოვეშვით ახლა მთავრობის განკითხვას და რეალურ საქმეზე ვილაპარაკოთ.

- რეალური ისაა, რომ შენ ხვალ გულდა-ნაბადი აიკრა და სოფელში წახვიდე შენს და-ძმებთან.

- რა სახსრებით უნდა წავიდე, სამგზავრო ფული?

- შენი ცხრამეტი ლარით წადი.

- მერე თქვენ?

- ჯანდაბას ჩვენი თავი, რაღაცას გავახერხებთ შენს ჩამოსვლამდე.

- მერე რომ ჩამოვალ, რით გიშველოთ?

- როგორ თუ რით გვიშველი, როდის იყო შენს და-ძმებს ხელცარიელი გამოუშვიხარ. ხომ იცი თვითონ მოიკლებენ და

კურსი გავასწორე. რამდენიმე წუთის შემდეგ, მე უკვე ხუთი-ექვსი ათეული მეტრით მაღლა მივფერინავდი გამოფიტულ კლდეთა წვერებიდან. არც ისე შორს თვალუწვდენელი ქვიშიანი უდაბნო გამოჩნდა.

- მგონი გადავრჩი! - შევეძახე და უფრო ძლიერად ჩავჭიდე საჭეს ხელები და უსიცოცხლო უდაბნოში ოსტატურად დავსვი თვითმფრინავი. ახლა ყველაფერი ამინდზე იყო დამოკიდებული. თუ უდაბნოში ქარი ამოვარდებოდა, აუცილებლად დიდი პრობლემა შეემქმნებოდა.

თვითმფრინავიდან არ ჩამოვსულვარ, უდაბნოში ჯერ კიდევ არ იყო აუტანელი სიცხე. კაბინაშივე ფეხზე წამოვდექი და იქიდან დავიწყე გარემოს დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ წინ ხელისგულივით ბრტყელი, ძალიან დაბალი ბარხანებით დახაზული უდაბნო მედო.

მართალია, ბევრი რამ წაკითხული და გავონილი მქონდა უდაბნოს შესახებ, მაგრამ მისი უსიცოცხლო ლანდშაფტის ხილვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

- რის ქვეწარმავალი, რა ქვეწარმავალი? განა ცოცხალი არსებები მთლად უჭკუონი არიან, რომ აქ, ამ უსიცოცხლო გარემოში იარსებონ საცხოვრებლად? ღმერთმა დამიფაროს და ფეხით რომ მომიწიოს წასვლა აქედან საშიშროება გამოორიცხული იქნება -მეთქი.

- რის ფეხით, რა ფეხით, მე ხომ დასახლებული პუნქტიდან მრავალი ათეული კილომეტრით ვარ დაშორებული. ამხელა მანძილს ამ უსიცოცხლო უდაბნოში აქლემიც კი ვერ გაივლის, თანაც ჩემი წყლის მარაგი ამ სიცხეში შუალდემდე თუ მეყოფა.

- რა სისულელეებზე ვფიქრობ ახლა მე? შუა საუკუნეები ხომ არ არის, უკვე მეოცე საუკუნის შუა წლებია, ვინ დამტოვებს აქ. ერთ-ორ საათში ძებნას დამიწყებენ და მიპოვნიან კიდევ, - დავიმედე თავი.

ფიქრში გართული სიცხემ გამომაფხიზლა. მზის ამოსვლიდან სულ რაღაც საათნახევარში ის თითქმის აუტანელი გახდა. თვითმფრინავის ქვედა ფრთაზე გამოვფედი და მზის მწველ სხივებს დავემალე, მაგრამ ცოტა ხანში მეტალი ისე გახურდა,

შეხვედრა აღდგომის დღეს

მანქანა ქვაფენილიდან გადავაყენე და გავაჩერე. გავაღე თუ არა მისი კარი, ერთბაშად ვიგრძენი იელის სურნელი, რამაც ჩემი ბავშვობა გამახსენა. გამახსენდა ის ბიჭი, რომელიც ოდეს-ღაც ამ მინდორზე სოფლის ნახირს მწყემსავდა, სიცხისაგან ცხვირზე კანაქერცლილი, სახრით ხელში.

- ნუთუ ის ბიჭი ახლა მე ვარ?..

- არა, ახლა მე უკვე სხვა ვარ. - ვუპასუხე ჩემს დასმულ კითხვას.

- მაშ, ვინ ვარ? - კითხვაზე პასუხის გასაცემად მანქანის სარკეს მივაკითხე. იქიდან თმაშეთხელებულ-მეჭადარავებული შუახნის მამაკაცი მიმზერდა.

- ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ?! ნუთუ ამ კაცად იქცა ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი ბიჭი?!

ფიქრი გზაზე მიმავალმა უცნობმა დამიფრთხო, რომელიც მომესალმა. სასაფლაოს შიჭკრისკენ გავემართე.

შევადლე თუ არა ჭიშკარი, ჩემი მშობლების საფლავისკენ გავეწიე, რომელიც გაწმენდილი და დალაგებული დამხვდა. ცოტა ხნით საფლავთან სკამზე ჩამოფეჭი და თავი ისევ ფიქრს მივეცი.

ეჰ, როგორ ცდილობდნენ მშობლები შვილები ღირსეულ აღამიანებად გავეზარდეთ. მართლაც, შეუძლებელი შეძლეს და მიზანს მიაღწიეს. ღმერთმა აცხონოს დედა და მამა იმ ამაგი-სათვის, რაც ჩვენთვის გასწიეს, - ჩავიჩურჩულე და გულდაამძიმებული წამოვდექი. სათითაოდ დავათვალიერე ჩემს ახლო-მახლო ერთმანეთზე მიჯრილი საფლავები და მივხვდი, რომ მღუშარე სასაფლაოს შეუძლია წარსულში დაგაბრუნოს და აწმყოზე ბევრი რამ გითხრას. მას მხოლოდ მომავლისა არაფერი გაეგება.

ჩემგან, არც თუ ისე შორს, ერთი მდიდრული საფლავი შევნიშნე და იქით გავეწიე. მისვლისთანავე საფლავის ქვისკენ გამექცა თვალი, მასზე გაკეთებული სურათიდან ნანას მშობლები მიცქერდნენ. მათ სიცოცხლეში დიდ პატივს ვცემდი,

მაგრამ გული მაინც ვატკინე. ვატკინე არა ჩემდაუნებურად, არამედ სრულიად შეგნებულად. ეს ტკივილი ჩემი ტკივილიც იყო, რომელიც თან მდევს დღემდე. მართალია გული მტკივა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ ღმერთის, ნანას ხომ გაუმართლა ცხოვრებამ. ასეთი საფლავის პატრონი ცუდად არ უნდა ცხოვრობდეს. ჩემისთანა ჯიბეგაფხეკილ ინტელიგენტთან, აბა, რა უნდა ენახა. მეონი მაშინ მიხვდა, რომ ვცრუობდი, მაგრამ შეიძლება თავმოყვარეობამ არ მისცა უფლება, რომ ეთქვა ცრუობო. ვერც ის მაკადრა შენ მშინშარა ხარ და ამის გამო ცრუობო. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლაჩარი ვიყავი მაშინ! გული ვატკინე მასაც და მის მშობლებსაც.

ფიქრებში გართული ჭიშკრის ჭრიალმა გამომაფხიზლა. სასაფლაოზე შემოსული ჭირისუფალი, საფლავებს შორის ძლივს მიიკვლევედა გზას.

- ალბათ, დღეს ნანაც მოვა, რა თქმა უნდა, მოვა. ეტყობა არც თუ დიდი ხნის წინათ იყო აქ. საფლავი ახლადდასუფთავებული ჩანს. ნეტავ როგორ შემხვდება? ჩვენ ხომ, თითქმის, სამი ათეული წელია ერთმანეთი აღარ გვინახავს.

დღის თორმეტი საათის შემდეგ უფრო და უფრო ხშირად ისმოდა ჭიშკრის ჭრიალი. პირველი საათისათვის სასაფლაო აივსო ხალხით. მე ჩუმად გავაპარებდი -ხოლომე თვალს ნანას მშობლების საფლავისაკენ, მაგრამ ის არა და არ ჩანდა.

- ნეტავ რა მოხდა? რატომ არ მოვიდა ნანა? რომ არ მოვიდეს, ვინ მიიტანს მისი მშობლების საფლავზე წითელ კვერცხს? ან ვინ დაუნთებს სანთლებს? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს და წამდაუწუმ ჭიშკრისკენ ვიციქრებოდი.

- აბა, თუ მიცნობ, ნუგზარა გადაკარგულო? - ჩამძახა ვიღაცამ მარჯვენა ყურში და ორივე ხელი თვალებზე ამაფარა. მივხვდი ჩემი ახლობელი მომეპარა უკნიდან ფიქრებში წასულს.

- ვინ ხარ?

- ჰო, ვინ ვარ? თუ ბიჭი ხარ, აბა, მიცანი!

- ვინ ხარ და დათვი.

- დათვი კი არა ბაჭია ვარ, შენი თანაკლასელი, - თქვა ბაჭიამ, წინ დამიდგა, წამიერად ამათვალ-ჩამათვალღერა, მერე

მზერა ჩემს შეთხელებულ თმაზე შეაჩერა, შე გაქუცულოო, - დაატანა და გადამეხვია.

- შენ როგორ ხარ, ბაჭია?

- ვერ ხედავ, ჩემს ყურებს არაფერი მომატებია ბავშვობის შემდეგ, მაგრამ ამ პატარა ყურებით რასაც ვისმენ, ძმაო, ისიც კმარა გულის გასახეთქად. ახლა ეს მითხარი, შენ როგორ ხარ, ნუგზარ? - მკითხა ბაჭიამ.

- მე, არა მიშავს, მხოლოდ დავრჩი ასე უშვილძიროდ.

- ვითომ რატომ დარჩი, ვინ დაგიწუნებს ამისთანა ვაჟკაცს, არ თქვა ახლა, ორი ბავშვის გამოკობიტება არ შემიძლიაო.

- ბაჭია, როგორ არიან ჩვენი კლასელები? - ვცადე საუბრის თემის შეცვლა.

- მაინც ვინ გაინტერესებს?

- ყველა.

- ჰო, მართლა, ალბათ გაიგებდი, ნანა რომ დაქვრივდა.

- რას ამბობ, როდის?!

- ორი წლის წინ.

- შვილები?

- შვილები გზაზე დასაყენებელი დარჩა. ყოველ აღდგომას მოდიოდა მშობლების საფლავზე, შარშან და წელს კი არ მინახავს.

- ბაჭია, ამ ჭიქით ჩემი მშობლების შესანლობარი შესვი, - ვცადე ისევ საუბრის თემის შეცვლა.

- შესანლობარს ვიტყვი მხოლოდ...

- იტყვი და დალევ კიდევ, ვიცე რაც შეუძლია ჩემს თანაკლასელოს, - აღარ დავაცალე უარის თქმა.

- შეძლებით შემიძლია, მაგრამ არც ღვინის ჭურჭელი ვარ მთლად. სანამ შენამდე მოვალწევდი, უკვე გადამახუნეს ათიოდე ჭიქა ღვინო.

- ამასაც დალევ!

- ჰო, მოიტა, დავლევ, აბა რას ვიზამ, შე კაცო!

ბაჭიამ ჭიქა გამომართვა და ჩემი მშობლების შესანლობარი გადაჰკრა.

- ბაჭია!

- გისმენ, ნუგზარ!
- ახლა გული არ დამწყვიტო და ერთად შევსვათ იმ გარდაცვლილთა მოსაგონარი, რომელთა საფლავებზე დღეს წითელი კვერცხი არავის მიუტანია.
- მაგაზე როგორ ვიტყვი უარს, ნუგზარ, აბა დაასხი. ერთდროულად დავცალეთ ჭიქები თანაკლასელებმა.
- ნუგზარ, არ მითხრა ახლა ღმერთი სამობითააო, თორემ გავიქცევი აქედან, ეხლავე.
- როგორც შენ გნებავს, ისე იყოს, ჩემო ბაჭია.
- მაშინ აღარ დავლევ.
- აკი გითხარი, როგორც შენ გნებავს -მეთქი.
- ჰოდა ასე მნებავს, - გამეხუმრა და გამომემწვიდობა თანაკლასელი.

მარტოდ დარჩენილმა ჯერ ნანას მშობლების საფლავს გაგხედე, მერე კი ჭიშკარს, სადაც წვიმის მოლოდინით შეშინებული ხალხი კანტიკუნტად უკვე გადიოდა.

- ეტყობა, ჩქარა წვიმა წამოვა და ეს ხალხიც ერთიანად დაიშლება. მე კი დავრჩები, ნანას მშობლების საფლავზე მივალ, შესანდობარს ვიტყვი და სანთლებს ავანთებ. მგონი ასე აჯობებს, ხალხი მაინც ხალხია, ჭორი უყვარს... - ვმსჯელობდი და ვადგენდი გეგმას.

მაღე შხაპუნაც წამოვიდა, ჭირისუფლები ერთმანეთს ასწრებდნენ ჭიშკარში გასვლას. მე სუფრას ცელოფანი გადავფარე და იქვე ფიჭვის ხის ქვეშ შევაფარე თავი.

ათიოდე წუთის შემდეგ წვიმამ გადაიღო და ღრუბლის ნაფლეთებს შორის მზემაც გამოაჰყიტა. მიმოვიხედე, სასაფლაოზე სულიერი აღარ ჰაჰანებდა. მაგიდასთან დავბრუნდი, ცელოფანი გადავხადე, სამი ცალი კვერცხი, ჭიქა, ერთი ბოთლი ღვინო ავიღე და ნანას მშობლების საფლავზე გადავინაცვლე. საფლავის ქვაზე სანთლები ავანთე, კვერცხები დავაგორე, ჭიქა ღვინით ავავსე და შესანდობარი ვთქვი.

საქმეში გართულს ჭიშკრის ჭრიალი შემომესმა. გავიხედე. სასაფლაოზე შავებში ჩაცმული შუახნის ქალი შემოვიდა და გეზი ჩემსკენ აიღო.

- ნუთუ ნანა მოვიდა?! - გავიფიქრე და მთლად გამეყინა სისხლი ძარღვებში. მოსულმა ამათვალ-ჩამათვალეირა. მივხვდი ვერ მიცნო, ვერც მე ვიცანი. ქალბატონი მორიდებით მომე-საღმა და საფლავს დახედა. ზედ რომ კვერცხები და ანთებული სანთელი დაინახა, შეკრთა.

- თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო?! - მკითხა მორიდებით.

- მე, მე ნუგზარი ვარ. თქვენ, ალბათ, ნანა ბრძანდებით არა?

- ნუგზარი?

- ჰო, ნანა, მე ნუგზარი ვარ, რომ არ მოხვედი...

- გმადლობ, ნუგზარ... - აღარ დავამთავრებინე სათქმელი.

- როგორ ხარ, ნანა?

- დავჭერივდი ნუგზარ. შენ როგორ ხარ?

- მე ოჯახი არ შემიქმნია. ისე, არა მიშავს. ორი კვირის წინ მეცნიერებათა აკადემიის წევრად ამირჩიეს, - ვთქვი და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ განვაგრძე:

- იცი, კიდევ რა მოხდა?

- რა მოხდა?

- მე ახალი ვარსკვლავი აღმოვაჩინე და შენი სახელი და-ვარქვი ნანა.

- რატომ?

- მე შენ... - სათქმელი შევაყოვნე.

- და მერე რატომ... - აღარ დაამთავრა სათქმელი ნანამაც.

- დიახ, მე შენ მიყვარდი და იმიტომ...

წვიმის შემდეგ მცენარეთა ფოთლებზე დაკიდებული წვეთები ციდან მოცინარი მზის სხივებისაგან შვიდფერად ციმციმებდნენ. საფლავთან შუახნის კაცი და ქალი პირისპირ იდგნენ და წლობით გულით ნატარებ საიდუმლოს უმხელდნენ ერთმანეთს.

სიყვარულის მსხვერპლი

- მისმენ, გიორგი? ტყუილა არ მალაპარაკო საუკუნესმიტანებული ბაბუა, შვილო!

- რას ამბობ, ბაბუ, ეგ რამ გაფიქრებინა, როდის იყო, შენ რამეს მიაშობდი და მე არ გისმენდი? - უსაყვედურა შვილიშვილმა ბაბუას.

- იქნებ დაიღალე, შვილო?

- არა, ბაბუ, სრულებითაც არ დავღლილვარ, პირიქით, მსიამოვნებს შენი მონათხრობის მოსმენა.

- მაშინ განვაგრძობ, ჩემო სენია.

- განაგრძე, ბაბუ.

- ჰოდა, შვილო, სიღარიბე გახდა ჩემი და თინას გაუბედურების მიზეზი, ახლოს არ მიკარებდნენ. ჭუჭყიან გლეხს მეძახდა მამამისი. შენი ტოლი მოძებნეო, მაფრთხილებდნენ მისი ძმები, მაგრამ მე გლეხს და აზნაურის ქალს უერთმანეთოდ არ შეგვეძლო და დღე და ღამე სოფლიდან გაპარვაზე ვოცნებობდით. ეს დღეც დადგა.

ჩვენს სოფელში ქალაქიდან ამბავი ამოიტანეს, ჭიათურაში ორთქლის მანქანა შემოვიდა, რკინიგზაზე რკინის ბორბლებით დადისო. იმ მანქანით შევიძლია დასალიერამდე იარო და მთელი ქვეყანა შემოიაროო, - მოუთხრობდნენ მათ გარშემო შემოხვეულ ხალხს, სოფლიდან ქალაქში სამუშაოდ გადახვეწილი ახალგაზრდა გლეხები. ჩვენ სმენადქცეულნი, თვალეზში ვუცქერდით ყოფილ თანასოფლელებს და არ გვჯეროდა მათი ნაამბობი.

- ზაქარია, შენ თუ მართალს ამბობ, მაშინ მითხარი, იმ რკინიგზაზე მავალ რკინის ბორბლებიან მანქანაზე რომ დავჯდე, აქაც შევეძლებ ამოსვლას, აგერა ჩვენ სოფელში? - ჰკითხა ერთმა თანასოფლელთაგანმა გაქალაქებულ მეზობელს.

- რას ამბობ, ვარდენა, ეგ რამ გაფიქრებინა ბიჭო, აქ როგორ მოვა ის მანქანა, აქ ხომ რკინიგზა არ არის?

- აკი თქვი მთელ მსოფლიოს მოივლიო? რავა, ჩვენი სოფე-

ლი მთელ მსოფლიოს არ ეკუთვნის, თუ რაშია საქმე?

- რაშია საქმე, ჩემო ვარდენ და რომ გაჩერდება სადგურზე ის ორთქლის მანქანა, ჩამობრძანდები ვაგონიდან და გადაჯდები ავტომობილში, ჩართავ ძრავას და წაქიქინდები, სადაც გინდა გულგაღვლილი.

- რავა, გული უნდა გაიღელო აუცილებლად, ისე არ დადის ის ავტომობილი, თუ რაცხა ეშმაკის მონაგონი?

- კაი ახლა, - დაანებე თავი კითხვებს, ხომ ხედავ მაინც არაფერი არ გესმის და ვერც ვერაფერს გაგაგებინებ.

- რატომ ვერ გაგაგებინებ მერე? ამდენი ხანია ქალაქში ხარ და ის ვერ ისწავლე, ადამიანს როგორ უნდა გააგებინო რაცხა-რაცხები, შე კაცო!?

- მე კი ვისწავლე, მაგრამ შენ ვერ ისწავლე, ჩემო ძმაო, რომ ჩამჯდარხარ ამ სოფელში ისე, როგორც კრუხი საბუღარში, ერთხელ მაინც ჩამოდი ქალაქში, ორთქლის მანქანასაც ნახავ, ავტომობილსაც, შავ ქვასაც და შავ წყალსაც.

- მართლა?!

- დიან, მართლა. ქვეყანამ თვალი გაახილა, ამერიკიდან ფოთსა და ბათუმში ორთქლის გემები შემოდიან, შენ და შენისთანებს კი თოხი ვერ მოგიცილებიათ, დგახართ და ძუყნით და ძუყნით გათენებიდან დაღამებამდე მიწას. გაიხედეთ ცოტა ამ სოფლიდან, თვალს წყალი დააღვეინეთ. როდემდე გინდათ ასე იყოთ?

- ეჰ, ჩემო ძმაო!..

- ეჰ, არ შევლის საქმეს, ჩამოდით ჩემთან ქალაქში, სამუშაოს შოვნაში დაგეხმარებით. შექმნით ოჯახს, იქნებით სუფთად და ლამაზად, ადამიანებს დაემსგავსებით...

ის ღამე თეთრად გავათენე. ვფიქრობდი ორთქლის მანქანაზე, რომელიც რკინიგზაზე დადის და შეუძლია მთელი მსოფლიო შემოძაროს, ან, თუ არ მინდა მსოფლიოს შემოვლა, უნდა გავაჩერო, ჩამოვიდე ვაგონიდან, გადავჯდე იმ რაცხა ავტომობილზე და წვევიდე ისეთ მივარდნილ-მიყრუებულ სოფელში, როგორიც ჩვენი სოფელია. ისე, კაცმა რომ თქვას, მე რომ თინა გავიტაცო, ქალაქში ჩავიდეთ, იმ ორთქლის მან-

ქანაზე დავღჯეთ და წავიდეთ, ნეტავ გვიპოვნის მამამისი ამხელა მსოფლიოში?

ეს რა კარგი აზრი მომივიდა! ხვალ ყველაფერს ვეტყვი თინას. ვიცი ჩემს ნებას დაჰყვება. წავალთ აქედან და გვეძებონ მერე მამამისმა და მისმა ძმებმა. ვითომ ფოთში რომ ჩავიდეთ, მოგვაგნებენ? არა, არ მგონია. დევიწყებ პორტში მუშაობას რამეზე და ვიცხოვრებთ სუფთად, ადამიანურად, ზუსტად ისე, როგორც ზაქარიამ თქვა.

თუმცა, როგორ წავალ, რომ გავიძახი წავალ-წავალო, ნეტავი რით უნდა წვეიდე, იმ ორიოდე გროშით წლების მანძილზე რომ ვაგროფე და იმდენი ვერ შევაგროფე ერთი დედა ღორი მაინც მიყიდა სანაშენოდ, - გავიფიქრე ეს და, ცოტა არ იყოს, დავიბოღმე კიდევც.

პირველად მივხვდი ჩემს ცხოვრებაში, რომ ღარიბს სუსტი ფეხები აქვს და შორს ვერ წავა. მივხვდი და გული მეტკინა.

რას ჰქვია შორს ვერ წავალ?! თუ მოვინდომე ყველგან წავალ! - შემოფუძახე ჩემს თავს და თინა დამიღლა თვალწინ. წავალ, როგორ არ წავალ, შენთვის ყველგან წავალ და სიცოცხლესაც გავწირავ, - ვუთხარი წარმოადგენაში ჩემს წინ მდგომს.

როგორც იქნა, გათენდა უძილო ღამე. ლოგინიდან წამოვდექი თუ არა, საწერ კალამს ხელი დავავლე და მოკლედ გადავიტანე ჩემი ნააზრევი ქალაქზე. შემდეგ საგანგებოდ ღამაზად დავკეცე, ჩვენი სამალავისკენ წავილე და ქვის ქვეშ ამოვდე. საღამოს ისევ მივაკითხე სამალავს, თინას ჩემი წერილი წაელო. მისი კი დამხვდა. წერილი გულისფანცქალით გავხსენი და წავიკითხე: „თანახმა ვარ, მხოლოდ ერთად ვიყოთ. რაც შეეხება თანხას, პრობლემა არაა, გავიქცეთ!“ - მწერდა წერილის ბოლოს.

სამი დღის შემდეგ, ღამით სოფლიდან გავიპარეთ და ქალაქის გზას დავადექით. მთვარიანი ღამე იყო. მეჩვენებოდა, თითქოს მუნჯი მთვარე დაჟინებით გვიყურებდა. ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით. წინა დღით მოთიბულ მინდორზე მავალთ ბალახის ღვარეულები მახრჩობელა გველებად გვეჩვენებოდა.

- დავიღალე, გიორგი, დავისვენოთ, - მთხოვა თინამ.

- ცოტაც გაუძეო, მინდორი გადავლახოთ, აქ ყოველივე ისე მოჩანს, როგორც ხელის გულზე.

- არა, აქ მინდა დავისვენო.

- კარგი, - დავეთანხმე.

შემჭკნარი თივის შეგროვება დავიწყე. მის ფეხებთან საკმაოდ დიდი ბულული დავდგი და ვთხოვე - დაბრძანდი, ჩემო დედოფალო!

მან ერთი გადმომხედა, გამიღიმა და უხმოდ დაეშვა.

მთვარის შუქი ეფინა სახეზე, რომელიც ისედაც ნაზსა და ლამაზს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

- მოდი, გიორგი, რას დამდგარხარ, გვერდით მომიჯექი, როგორ უცხოსავით მიყურებ!

ძლივს გადავდგი ერთი ნაბიჯი და ისევ შევდექი.

- მოდი, რა მოგდის? ეს ჩვენი ლამია, ჩვენი პირველი ლამია, როდესაც მარტონი ვართ და სრულიად ვეკუთვებით ერთმანეთს.

მთელ სხეულში სისხლი გამიცვივდა, მოძრაობის უნარი წამერთვა, ვიდექი და ვუყურებდი, თავი სიზმარში მეგონა. მეშინოდა, არ გამოვფხიზლდე და ტკბილი სიზმარი არ დამიფრთხეს -მეთქი. ქალმა ერთხელ კიდევ შემომხედა, შემდეგ წამოდგა, ჩემთან მოვიდა, ხელი მომკიდა და თივის ბულულისაკენ წამიყვანა. მე დედის დამჯერე ბავშვივით დავყევი მის ნებას.

დამსვა, თვითონ წინ დამიჯდა, ხელები მომხვია და გულში ჩამიკრა. მთვარე და ვარსკვლავები იყო მოწმე ჩვენი პირველი ლამისა.

X X X

მამალმა მესამედ რომ იყვილა, ჩვენ უკვე მთვარით განათებულ მიხნარე ქალაქს დავყურებდით.

- ესეც ქალაქი, თინა, ჩქარა იქ ვიქნებით. მერე მოვა ორთქლის მანქანა, რკინიგზაზე მავალი. დავსხდებით, წავალთ შორს და ვერავინ ველარასოდეს დავგეწევა.

- დავგეწიოს, თუ დავგეწევა, ჩვენ უკვე ერთმანეთს ვეკუთვნივთ და სხვას არავის. ახლა კი დავისვენოთ, აი, იმ ქვაზე

ჩამოვჯდეთ, ძალიან დავიღალე, - მთხოვა ქალმა.

- იქნებ სჯობს გზის განგრძობა, თქვენებმა თუ გაიგეს, დაგვედევნებოდნენ. ქალაქში შესასვლელი მხოლოდ ეს ერთადერთი გზაა, აუცილებლად დაგვიჭერენ.

- არა, აღარ შემიძლია, ძალიან დავიღალე, ცოტა დავისვენოთ, გთხოვ.

- ლოდზე ჩამოვჯექით თუ არა, ხმა შემოგვესმა, ზეზე წამოვხტით. ჩვენკენ სამი ცხენოსანი მოემართებოდა.

- მამაჩემი და ჩემი ძმები არიან! - თქვა შეშინებულმა თინამ.

- დავიმალოთ.

- აზრი აღარ აქვს, უკვე შეგვნიშნეს.

- მაშ, რა ვქნათ? ცოცხალი თავით ვერ დაგთმობ.

- არაფერი არ გამოვა, უნდა გავყვე, ასე აჯობებს. ჩვენ ისევ მოვახერხებთ გაქცევას, ახლა ასე აჯობებს. დამიჯერე, ახლა კი წადი!

- არსადაც არ წავალ.

- სჯობს წახვიდე, არ დაგინდობენ, გეხვეწები წადი! - თქვა თინამ და გულში ჩამიკრა. შემდეგ ხელი გამიშვა, თავისიანები-საკენ შებრუნდა და მამას და ძმებს ხვეწნა დაუწყო:

- მაპატიეთ, ყველაფერი ჩემი ბრალია, ეს უბრალოა, მე ვაიძულე ასე მოქცეულიყო.

- ეს რა ჰქენი, ამ ცინგილიან გლეხში გავგცვალე, მთელი ოჯახი! - დაჰკვილა მამამისმა, ცხენიდან ჩამოხტა, ხელი მაჯაში მოავლო და მოიფრიალა. თინა ძირს გაგორდა.

- რას სჩადით, ნადირებო? - შევეყვირე ისტერიულად და თინასკენ საშველად გადავხტი. წამოვაყენე, გულში ჩავიკარი და შევეყვირე - არ მომეკაროთ!

- უყურე ამ პირდაუბანელ გლეხს, რას ბედავს? - თქვა უფროსმა ძმამ და დამბაჩა გაიძრო.

- გეხვეწები, არ მოკლა, ძამიკო! - იკივლა ქალმა და ძმას ყელზე ჩამოეკიდა.

დამბაჩის ორი გასროლით ორივე ფეხები გამინვრიტეს. სიმწრისაგან მიწაზე დაცემულს დიდხანს მესმოდა ძახილი. თინა

შველას მთხოვდა.

დილით მგზავრებმა მიპოვეს. ვიცრუე, ყაჩაღებმა დამჭრეს –მეთქი. შემიცოდეს და ხელში აყვანილი ქალაქის საავადმყოფოში მიმიყვანეს. ჭრილობა გამირთულდა. დიდხანს მომიწია დარჩენა საავადმყოფოში. გამოჯანმრთელებულმა სამუშაოს დავუწყე ძებნა. მინდოდა ცოტაოდენი ფული მეშოგა და თინასთან ერთად ისევ ფოთს გაგპარულიყავი.

X X X

შემოდგომა ძალაში იყო შესული. ჩვენი ქალაქის ირგვლივ კლდეებზე ბუჩქებს ნარინჯისფერი უკვე დაედო. მე თინას მონატრება მტანჯავდა.

ერთ დღეს ტანჯვა–წამებით ნაშოვნი გროშები ტანსაცმელზე შეგინიდან დაკერებულ ჯიბეში ჩავიდე და სოფლის გზას დავადექი. შუალამისას სოფელში შევედი და პირდაპირ თინას სახლისაკენ გავწიე. მთვარიანი ღამე იყო. ღობეზე გადავძვერი და მის ფანჯარაზე კანკალით დავაკაკუნე. ფანჯარას ლანდი მოაღდა, ვიცანი ის იყო, უხმოდ გააღო ფანჯარა, მითხრა გელოდიო. თან ხელი ჩამოსწია ჩემსკენ. მე მისი ხელი გულში ჩავიკარი და დიდხანს ვეალერსებოდი. ალერსით გული რომ ვიჭერე, ვთხოვე, ისევ გავიქცეთ –მეთქი. მოკლედ მიპასუხა: ხომ გითხარი გელოდიო. ეზოდან გასვლა და დალოდება მთხოვა. უსიტყვოდ შევასრულე მისი თხოვნა. ერთი საათის შემდეგ ფუთაშეკრული გამოვიდა. შევხედე, ორსულად იყო. შემეშინდა. გულში ჩავიკართ ერთმანეთი. ეს ვინ არის –მეთქი? ვკითხე და მუცელზე მივანიშნე. გაიღიმა. შენი შვილიაო – მიპასუხა.

- სახლში დაბრუნდი, შენი და ჩემი შვილის სიცოცხლეს საფრთხეს ვერ შევუქმნი –მეთქი.

- არა! – ჩვენ სამივენი ერთმანეთს ვეკუთვებით და ერთად უნდა ვიყოთ, – მიპასუხა.

გათენებამდე სოფელი დავტოვეთ და ტყეს შევეფარეთ. ქალაქში წასვლას აზრი არ ჰქონდა, ისევ დავვიჭერდნენ და ვინ იცის რით დამთავრდებოდა ყოველივე. საგონებელში ჩავცვივდით, აღარ ვიცოდით, რა გვექნა. დიდხანს ვისხედით

ტყეში, წიფლის ხის ძირას. მივხვდით, რომ უსაფრთხო მხოლოდ ღამით სიარული იქნებოდა, მაგრამ შეძლებდა კი ორსული ქალი ღამით სიარულს, იქ, სადაც მეურმეები დღისით ძლივს ახერხებენ ურმის გატარებას? გზა კი საკმაოდ გრძელი იყო შორაპნამდე. მობინდებისას გზას დავადექით. ჩვენ მივდიოდით ჩაბნელებულ გზაზე. ტყიდან ხშირად ისმოდა ტურის ჩხავილი და მგლის ყმუილი. შევატყვე, თინას ეშინოდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუჩივლია. გამახსენდა, რომ წლის ამ დროს მგლებს გამრავლების პერიოდი აქვთ. ერთად იკრიბებიან და მეტად საშიში ხდებიან. შევშინდი, მე ხომ პატარა ხანჯლის მეტი არაფერი გამაჩნდა. მივდიოდით ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, უხმოდ. რაც მეტად შევდიოდით ტყის სიღრმეში, მით უფრო ხშირად ისმოდა ნადირთა ყმუილი. იყო შემთხვევა, როცა ისინი პირდაპირ ცხვირწინ წამიერად მოგვანათებდნენ ცუცხლოვან თვალებს და ისევ გაქრებოდნენ.

თინას დაღლა და შიში დაეტყო. დავისვენოთ, -მეთქი ვთხოვე. დამთანხმდა. ნაშუალამევს სიცივემ შეგვაწუხა. თინას სულ მთლად კანკალებდა. მე ის კალთაში ჩავისვი და პატარა ბავშვივით ხელები შემოვხვიე. ცოტა გათბა და დაწყნარდა. როგორ ხარ -მეთქი, - ვკითხე.

კარგადო, მიპასუხა. მივხვდი, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა უახლოვს სადგურამდე მისვლა. ჩემს თავს ვკიცხავდი, ეს რა ჩავიდინე -მეთქი.

სულ ახლოს, რამდენიმე მეტრში გაიბრწყინა ნადირის თვალებმა. მივხვდი მგელი გვითვალთვალებდა. თინამაც დაინახა.

- გიორგი, ხანჯალი მოიმარჯვე, - მითხრა მან.

- ხომ არ გეშინია? - ვკითხე ისევ.

- არა, მაგრამ მაინც მოიმარჯვე.

- არ შეგეშინდეს, ნადირი ჩვენთან ვერ მოხვდება, ორნი ვართ და რკინის სუნისაც ეშინია, -მეთქი. დავაიმედე.

უფრო და უფრო გამრავლდა ჩვენს ირგვლივ მანათობელი წერტილები.

ჩიბიდან კვეს-აბედი ამოვიღე, თუთუნის ქალაღში გავახვიე და ავანთე. ნადირი დაფრთხა.

- მშიშრები ყოფილან. ზვალისთვის ხმელი ფიჩხი მოვიმარაგოთ და ავანთოთ. საერთოდ ვერ მოგვეკარებინან ახლოს, - მითხრა იმედმოცემულმა ქალმა.

X X X

მზემ სხივები ხეების ტოტებში შემოაპარა. ტყეში ძაღლის ყეფის ხმა გაისმა. გზიდან გადავედით და თავი ტყეს შევაფარეთ დევნილმა წყვილმა.

ყეფის ხმა სულ უფრო და უფრო გვიანხოვდებოდა.

- თინა, აქ დამელოდე, მე ისევ გზაზე ვავალ, ტყეში ძაღლი პატრონის გარეშე არ იქნება. გავიგებ ახლომახლო რომელი სოფელია. - კარგიო, - დამეთანხმა.

ერთი ნახევრად გამხმარი კუნძი ვიპოვე, ზედ მისივე ფუთა დავდე და ვუთხარი: დაბრძანდი, ჩემო დედოფალო. გაიღიმა და უხმოდ ჩამოჯდა. ცვრიან ტყეს დავესველებინეთ. შემეშინდა არ გაცივდეს -მეთქი. ჩოხა გავიხადე და მხარზე მოვასხი.

- არ მინდა, ასე მირჩვენია, უფრო ჩქარა გავშრები.

- კარგი -მეთქი, - ვუთხარი და ისევ დავეშვი გზისაკენ. მოსახვევში ჯერ ძაღლი გამოჩნდა, მერე კი ახალგაზრდა, მხარზე თოფგადაკიდებული. მივესალმე. გაგიმარჯოსო - მითხრა და ეჭვის თვალით შემომხედა. შევატყვე, მიხვდა ღამე გარეთ რომ მქონდა გათუული.

- სად მიბრძანდები ამ დილაუთენია? - ვკითხე ახალგაზრდას. მან გაკვირვებულმა შემომხედა, მგონი იფიქრა, ნეტავ ვინ ჰკითხავს მე სად მივდივარო, ალბათ, ამიტომაც დამიგვიანა პასუხი. კარგა ხნის შემდეგ დინჯად მომიგო:

- გეზრულში მივდივარ.

მივხვდი, რომ მე და თინას ღამით გეზრული უკვე გავველო.

- ახლა სად ვიმყოფებით ძამია? - ვკითხე მას. ახალგაზრდამ ისევ შემომხედა. ამათვალ-ჩამათვალიერა და კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა:

- შენ, როგორც გეტყობა აქოური კაცი არ უნდა იყო? ისე,

რომ იცოდეს, მალე უღევზე გახვალ.

- გმადლობთ. მე მართლაც არა ვარ აქოური, მაგრამ არც გადამთიელი ვარ. აქეთ არასოდეს ვყოფილვარ, ბათუმში მივდიოდი, ვიფიქრე მოკლეზე ჩავალ ფეხით შორაპნამდე -მეთქი და აქეთ წამოვედი. შორია შორაპნამდე?

- მაინცდამაინც, არც ისე შორი, ჩასვლა შეიძლება.

- გავიცნოთ ერთმანეთი. - მე გიორგი მქვია, შენ?

- მე კირილე ვარ ნებიერიძე საწუნიიდან.

- სად მიდიხარ, ძმაო კირილე, ასე აღრე?

- გეზრულში.

- შეყვარებული ხომ არ გყავს იქ ბიჭო? - კირილეს გაეღიმა.

- თუმცა, რას ვიზამთ ბიჭები, სხვა რა გზა გვაქვს, წესია ასეთი, ჩვენ უნდა ვეახლოთ და ვეხვეწოთ მაგათ.

- მართალი ხარ, გიორგი. ვიცი მელის ახლა მოუთმენლად შეყილადის ქალი ოლინკა, მაგრამ რომ დამინახავს, მაინც დაიწყებს პრუწვას.

ორივემ გულიანად გავიცინეთ. შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ და დავცილდით. თინასთან დავბრუნდი. ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, თითქოს, ერთი თვის დაცილებული ვიყავი.

მიუხედავად გრილი ამინდისა, ტყე მალე გაშრა, გაშრა ჩემი ჩოხაც, რომელიც მზეზე მქონდა გაფენილი.

- ხომ არ დაიძინებ? - ვკითხე თინას.

- დავიძინებ.

მე ჩოხა ჩამოვხსენი და მიწაზე გავშალე. ქალმა თავისი ფუთა თავქვეშ ამოიღო. ჩქარა ჩაეძინა.

ჩემს წინ, უღრან ტყეში, ღია ცის ქვეშ, იწვა ქალი, რომელმაც თავის ახლობლებთან ცხოვრებაზე თქვა უარი და ჩემთან, ერთ უთვისტომო გლეხის ბიჭთან სარისკო გზას დაადგა. ეჰ, სიყვარულო, სიყვარულო! ან შენ ხარ ის, რომელმაც არავითარი საზღვარი არ იცის, ან და შენ თვითონ ხარ ყველაფრის საზღვარი. მწამს, უშენოდ დარჩენილი სამყარო ცივი, ინერტიული და ცარიელი იქნებოდა. გავიფიქრე, თინასკენ დავიხარე და ნაზად ვაკოცე. შეკრთა და გამოეღვიძა. ბოდიში -მეთქი ვუთხარი, - გამიღიმა და წამოჯდა, მეყოფა ძილი, ახლა შენ

დაიძინე, მე გიღარაჯებო.

ერთად დავწექით ჩოხაზე. ჩქარა ორივეს ჩაგვეძინა ერთმანეთზე ჩახუტებულით.

დაღამდა თუ არა ისევ გზას დავადექით. ვარსკვლავებით მოჭედლილი ცა უცებ მოიქუფრა, უკუნი სიბნელე ჩამოწვა ირგვლივ, გრიგალმა ხეთა კენწეროებს გადაუქროლა და ლაწალუწი დააწყებინა.

- უნდა გავჩერდე! - ვუთხარი თინას.

- გავჩერდეთ, - იყო პასუხი.

სიბნელეში ინტუიციით მყუდრო ადგილი მოვძებნეთ. თინამ თავისი ფუტა მიწაზე დადო და ზედ დაჯდა.

- როგორ ხარ? - ვკითხე.

- ცუდად.

- როგორ თუ ცუდად?

- ცუდად ვარ, გიორგი, ძალიან ცუდად, სიცხე მაქვს და...- აღარ დაამთავრა სათქმელი.

- კიდევ რა? - ვკითხე უიშისგან გულგაღლეულმა.

- მშობიარობა მეწყება.

- როგორ თუ მშობიარობა? ჯერ შვილი თვის ორსულიც არ ხარ!

- ჩვენი შვილი მკვდარია.

თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავექცეულიყავი. ნუ გეშინია -მეთქი - ვუთხარი თვითონ შეშინებულმა. ჩოხა გავიხადე და მიწაზე გავმალე. ზედ დავაწვინე თუ არა, ცამ პირი მოალო და თქეში დაუშვა. ბუნება გადაირია და მთელი თავისი ბოროტება დაგვატეხა ეუღლებს.

მიწაზე დავჯექი, თინას თავი კალთაში ჩავიდე. ის კვნესოდა, მე კი მხოლოდ ორი სიტყვით ვამხნევებდი, ნუ გეშინია. აბა, მეტი რა შემეძლო მეთქვა უბედურს. სიბნელეში ვგრძნობდი, როგორ იჭამდა სიმწრისაგან საკუთარ თითებს.

- ასე იტანჯა ოთხი-ხუთი საათი, მერე ერთბაშად მოეშვა, დაშვიდდა, ხელები მიწაზე ჩამოუცვივდა და თავი გვერდზე გადაატრიალა.

X X X

უკუნ სიბნელეს კვეთდა ჩემი არაადამიანური ღრიალი. მაშინ მე ცხრამეტი წლის ვიყავი, თინა კი - ჩვილმეტი.

მიგზვდი ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო. წვიმამაც გადაიღო და ქარიც ჩადგა. ცაზე აჭრილ ღრუბლებს შორის მთვარემ გამოანათა და თავისი სუსტი ნათელი თინას მოჰფინა. ის ცოცხალივით მიყურებდა. თვალები დაეხუჭე, ხელები გულზე დავუკრიფე და მის თავთან ჩამოვჯექი. ასე ვიყავი უხმოდ გათენებამდე. ინათა თუ არა, აქა იქ შემოჩრჩენილი სუსტი, გაღეული ყვავილებისაგან პატარა თაიგული გავაკეთე და გულზე დავადე. მერე გზაზე გამოვედი და გამვლელს დაველოდე. ვფიქრობდი სოფელს შევატყობინებ -მეთქი. დიდხანს ლოღინი არ დამჭირებია, გზაზე მგზავრი გამოჩნდა. მომიახლოვდა თუ არა, მაშინვე ვიცანი, კირილე იყო. რომ დამინახა, გაცდა, შენ აქ რა გინდაო. ყველაფერი ვუამბე. ძალიან შეწუხდა. მკითხა, რით დაგეხმაროო. თინას მშობლებს შეატყობინე ეს უბედურება -მეთქი. დამთამხმდა, მხოლოდ სოფელში დავბრუნდები, ცხენს ვიშოვიო. მერე მიცვალებული მოინახულა, პირჯვარი გადაიწერა და ისევ გზაზე გავიდა. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ კამათის ხმა შემომესმა, ორნი დაობდნენ.

- ცხენს თუ არ მათხოვებ, მაშინ შენ თვითონ წადი, - ეუბნებოდა ერთი მეორეს.

- რას ამბობ, კაცო, სად უნდა წავიდე? მელოდებიან.

- როგორ თუ სად, ანგელოზივით გოგო მკვდარი წევს. უბედური ბიჭი თავს დასტრიალებს და ვილაცის ლოღინისათვის არ გინდა დაეხმარო უბედურთ?!

- ვერა, ძმაო, ვერა, ვერ დავეხმარები, არ შემიძლია.

- ვერ დაეხმარები და დედას გიტირებ, მე შენი!..

- კაცო, რას შერებ, ხომ არ გაგიჟდი! - მომესმა შიმნარევი ხმა და ცოტა ხანში რაღაც რბილმა საგანმაც ბეყვა მოაღინა მიწაზე.

- ეს რა მიყავი, კაცო?!

- რა გიყავი და რისი ღირსიც იყავ, ის გიყავი!

- მე შენ გიჩვენებ!..

- წადი შენი!... - მომესმა კირილეს ხმა და ცხენის ფლო-
ქვების თქარა-თქური.

X X X

მზე დაჰნათოდა თინას უსულო სხეულს, დავცქეროდი ადა-
მიანს, რომელსაც თავის საკუთარ სიცოცხლესავით ვუყვარდი.
დავცქეროდი და ვიცოდი, რომ ადამიანი სიცოცხლეში მხოლოდ
მაშინ არ კვდება, როდესაც თავის ტანჯულ სულს მიქელვა-
ბრიელს აბარებს. ადამიანი ბევრჯერ შეიძლება მოკვდეს, არა
ფიზიკურად, არამედ სულიერად. იმ წუთში მე მოგვკვდი.

მზე ჩადიოდა, როცა ცხენების ფეხის ხმა მოწვდა ჩემს
სმენას. თავი არ ამიწევია, ისე დაეხვდი მომსვლელთ. გამწარე-
ბული მამა ზედ დაეცა შვილის ცხედარს და კი არ ატირდა,
აღრიალდა, ხმამაღლა ტიროდნენ თინას ძმები და სხვა მო-
მყოფნიც. მე ქანდაკებასავით უძრავად ვიჯექი თავჩალუნული.
დიდხანს იყვირა და ითავცემა თინას მამამ. შემდეგ წამოდგა
და თვალგაუტეხლად დამიწყო ცქერა. მე ისევ უძრავად ვიჯექი
და დავცქეროდი ცხედარს.

- გიორგი, შვილო! - ხმადაბლა თქვა მან. მე თავი ავწიე
და თვალბეჭეში შევხედე უბედურს.

- გიორგი, შვილო, აიღე ეს დამბაჩა და მესროლე. მინდა
შენი ხელით მოგვკვდე, მე ცოდვილი! - თქვა და დამბაჩა გა-
მომიწოდა.

- არა, მე შენ არ მოგკლავ, შენ უნდა იცოცხო.

მოხუცი უფონოდ ჩაიკეცა.

X X X

მთელი დამე შეუჩერებლად მივაჭენებდი ცხენს წყვილიადში.
მე ჩემს წარსულს მინდოდა დავმალოდი. ორი დღის შემდეგ
ოსმალეთის საზღვარი გადაგვეთე და აღმოვჩნდი იქ, სადაც
არავინ და აღარაფერი მომაგონებდა წარსულს. სახელდახელოდ
ნაყიდი ცხენი ისევ გავყიდე, იარაღი შევიძინე და ოსმალოს
ჯარში დავიწყე სამსახური. წლები გადიოდა. მე ერთხელაც არ
მქონია სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა და ოჯახის შე-

ქმნისა. სიზმარი თუ მაკავშირებდა ჩემს წარსულთან, თორემ სხვა აღარაფერი.

X X X

ორმოციანი წლების დასაწყისში მთელი მსოფლიო ომის ქარტეხილში გაეხვია. ჩვენი სამხედრო ნაწილი საქართველოს საზღვრებთან გადმოიყვანეს. ხშირად ავდიოდი სამხედრო ნაწილის ახლოს მდებარე მთაზე და სამშობლოსაკენ ვიციქირებოდი, საიდანაც ჩემი ბავშვობა მეძახდა. ღამე არ ივლიდა ჩემი სოფელი და ჩემიანები არ მენახა სიზმარში. ერთ ღღეს გამოპარვა გადავწყვიტე და გამოვიპარე კიდეც. ჩემი ნებით ჩაებარდი საბჭოთა ჯარისკაცებს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელი მაინც მაყურყუტეს ციხეში.

X X X

- ნუნუ! ნუნუ! გაისმა მარგალიტა ბიცოლას ხმა.
- ვინ იძახის, ბაბუ? - მკითხა ბაბუამ.
- აქ არ იძახიან.
- ასეთი იყო, ჩემო სენია ჩემი ცხოვრება, - დაამთავრა საუბარი ბაბუაჩემმა.
- ნუნუ! ნუნუ! - გაისმა ისევ.
- რა იყო, მარგალიტა, ხომ მშვიდობაა?
- მშვიდობაა, მშვიდობა. ზემო უბანში მკითხავი მოსულა, ნამდვილი მისანი ყოფილა, გადაურევია ხალხი.
- მერე მარგალიტა?...
- მერე და ი, ბოგში რომ გყავს ამდენი ხანი გადახვეწილი არ ამკითხვინებ, ქალო?
- დამელოდე, მარგალიტა, ახლავე წამოვალ!
- გელოდები.
- რაო, ბაბუ, ვინ მოვიდაო? - მკითხა ბაბუამ.
- ვინ და მკითხავიო.
- ბაბუ, მიდი ჩემს ბალოშს ქვეშ ცოტაოდენი ფულია და მომიტანე.
- ფული რა გინდა, ბაბუ?

- შენ მომიტანე, მე ვიცი, რადაც მინდა.
- მოხუცმა გაკეცილი ფული ხელში გასრისა და თავისთვის ჩაილაპარაკა, მეყოფა?..
- ფული რად გინდა? - მკითხა ისევ გიორგიმ.
- მკითხავისთვის, შვილო.
- მკითხავისთვის?
- ერთი კითხვა მაქვს მასთან.
- რა კითხვა, ბაბუ?
- შვილო, ჩქარა საიქიოს კარებს შევაღებ და მინდა ვი-
ცოდე ჩემს თინას თუ შევხვდები იქ.
- ბაბუ, მაშინ აქ დამელოდე და მე მოგიყვან მკითხავს, -
უთხრა გიორგიმ ბაბუას და ორღობეში გავარდა.

შინაბერა

მამლებმა მესამედ იყიველეს და შინაბერა მერის კიდევ ერთი ფიქრიანი ღამის დასასრულის მოახლოება აუწყეს.

- ცივი ღამეები დაიჭირა. ასეთი რამ ნოემბრის დასაწყისში არასოდეს მახსოვს, - ჩაილაპარაკა ქალმა და ისევ თავის ფიქრთა სამყაროს დაუბრუნდა, დაუბრუნდა და ვინ იცის, რამდენ ხანს დარჩებოდა იქ, რომ პოლიციის პატრულის მანქანის საყვირსა და მეგაფონის შემადრწუნებელ ხმას არ გამოეფხიზლებინა. ის საწოლზე წამოჯდა, არ ამდგარა, ფარდა გასწია და ფანჯრიდან გაიხედა. მღვეარი დევნილს აზარტში შესული მიჰკიოდა: გაჩერდი, გაჩერდიო! მაგრამ დევნილი მაინც თავგანწირული მიაქროლებდა მანქანას!

- რა არის ადამიანის ცხოვრება? გარბის ახლა ეს უბედური, თუმცა, კარგად იცის, რომ დაეწევიან და დაიჭერენ, მაგრამ მაინც გარბის.

შინაბერა ისევ წამოწვა და ცოტა ხნით ჩაეძინა კიდეც, მაგრამ მალე გამოეღვიძა.

მზის სხივი ფანჯარაში შემოსულიყო და კედელზე ჩამოკიდებული დედის სურათს ზედ დასცემოდა. სურათიდან, არც ისე დიდი ხნის წინათ, ამქვეყნიდან წასული დედა, ცოცხალივით უცქეროდა მარტოსულს.

მერიმ დიდხანს უცქირა მშობლის სურათს. უნდოდა, რაღაც ახალი ეპოვა მის გამოხედვაში, მაგრამ ვერ შეძლო. იქიდან შვილზე მზრუნველი სახე იცქირებოდა მხოლოდ.

- ალბათ, კარგი შვილი ვარ, ასე იოლად რომ ვკითხულობ დედის გამოხედვაში მის ნატვრა-ოცნებას. სხვა შვილები ამის უნარს მოკლებულნი არიან მეტწილად. მშობლები კი პირიქით, თვალის ერთი შევლებით ხვდებიან პირმშოთა სულის სატკივარს.

აკი ვამაყობ კარგი შვილი ვარო, მაგრამ...

- დედა, როცა სიკვდილი გეწვია, მოვიდა და გაგიწყვიტა სიცოცხლის ძაფი, წაგიყვანა იქ, იმქვეყნად, სამუდამოდ დაგვაც-

ილა ერთმანეთს, მაშინ მე გლოვით გაგაცილე და მას შემდეგ ვცდილობ არ დავიჯერო, რომ შენ საბოლოოდ გაქრი, გაქრი და ველარასოდეს განახავ. ალბათ, წასულთა მონატრება დაედო საფუძვლად მითს საიქიოს შესახებ, რომლის არსებობა მეც ძალიან მინდა დავიჯერო. მან ბევრი რამ სხვანაირად დამანახა შენი წასვლის შემდეგ. ახლა ვხვდები, ზოგჯერ ცხოვრებაში ისიც უნდა გააკეთო, რის გაკეთებაც არ გინდა. მახსოვს, როგორ გეშინოდა ჩემი მარტოობისა. ალბათ, შენ მეტი იცოდი ჩემზე. მე კი არანახულის და არგანცდილის მიმართ შიში არ გამაჩნდა. რატომ ვართ ადამიანები ასე დაუდევარნი. ამ ბოლო დროს გახსენებაც არ მინდა ჩემი შეცდომებისა, რომ გეტყოდი ხოლმე, ჩემი საქმე მე ვიციო.

ტელეფონის ხმამ შინაბერას ერთბაშად დაუფრთხო ფიქრი.

- გისმენთ!
- შენ ხარ, მერიკო?
- დიახ, მე ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით?
- თადეოზი ვარ.
- თადეოზი! როგორ მოხდა, რომ გამიხსენე?
- მე შენ ყოველთვის მახსოვხარ, მერი.
- მართლა?!
- ჰო, მართლა. მე შენ არასოდეს დამვიწყებხარ.
- თადეოზ...!
- გისმენ, მერი.
- თადეოზ! მე, მე... მე შენთან შეხვედრა მინდა, - ძლივს ამოღერლა ქალმა.

X X X

გვიანი შემოდგომის წყნარსა და მზიან დღეს ქალაქის მყუდრო სკვერში, შუახნის ქალი და მამაკაცი ისხდნენ განმარტოებით მღვარ მერხზე. ხეებიდან კანტიკუნტად ცვიოდა მათ ირგვლივ გაყვითლებული ფოთლები.

- თადეოზ! - დაიწყო ქალმა.
- გისმენ, მერი.
- თადეოზ, როგორ ფიქრობ, ადამიანმა უნდა შეასრულოს ყოველივე ის, რაც განგებამ დაუწესა?

- ალბათ, უნდა შეასრულოს, - იყო პასუხი.
- რატომ, ალბათ, მე მგონი აუცილებლად უნდა შეასრულოს.
- თუ ეგ იცოდი, რატომ...
- რატომ არ გავთხოვდი, ამის კითხვა გსურს, არა?
- თუნდაც.
- ეს მე უწინ არ ვიცოდი, თადეოზ!
- ახლა იცი?
- ვიცი, თადეოზ, მე მომავალში ყველაფერი ისე მინდა გავაკეთო, როგორც ღმერთმა დამიწესა.
- და მაინც?..
- შემირთე ცოლად, თადეოზ, დიდი ქორწილი გადავიხადოთ,
- თქვა მოულოდნელად ქალმა.
- რალა დროს ჩვენი დიდი ქორწილია, მერი? - გაიკვირვა თადეოზმა.
- ფატაში მინდა ვნახო ჩემი თავი.
- ფატაში?
- ჰო, ფატაში. ერთხელ მეც ხომ მეკუთვნის ეს ბედნიერება.
- როგორც შენ გსურდეს, მერი.
- თადეოზ, ხედავ ანგელოზებით ბიჭი რომ გვიანლოვდება,
- მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა ქალმა.
- ვხედავ, ალბათ, ესეც ღმერთის ნებაა, ახლა რომ გამოჩნდა.
- მოდი ჩვენთან, ბიჭიკო! - სთხოვა ქალმა მოსულს.
- ბავშვი მერხზე მჯდომთ მიუახლოვდა, გაჩერდა და მორცხვად დაიწყო ხელების სრესა.
- მოდი, ნუ გრცხვენია, - წააქეზა ქალმა.
- არა, ბებო, მე არ მრცხვენია. თუ შეიძლება ცოტა ხნით წამოდექით, თქვენს მერხის ქვეშ ჩემი ბურთია და უნდა ავიღო. წყვილები უხმოდ წამოდგნენ.

სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

ფოსტიდან ილლიაში ამანათამოჩრილი გამოფედი. ჯერ ჩემი ყაზარმისაკენ მიმავალ გზას გავხედე, შემდეგ გაყინული თოვლით დაფარულ სტეპს და ყაზარმაში დასაბრუნებლად ეს უკანასკნელი ვარჩიე. არ მინდოდა ყუთით ქუჩა-ქუჩა მევლო.

მივუახლოვდი თუ არა ჩვენი სამხედრო ნაწილის ეზოს, მისი ფიცარაცლილი ღობიდან ჯარისკაცი გამოძვრა და გეზი ჩემსკენ აიღო. მომიახლოვდა თუ არა, ვიცანი მეორეერთელი სერჟანტი იური.

- „სამავოლჩიკ“ საით გაგიწევია? - გავხუმრე კოლეგას. მან კითხვაზე პასუხს თავი აარიდა და აქეთ მკითხა

- ეგ რა გაგიჩრია ილლიაში, თემურ?

- ამანათია, შშობლებმა გამომიგზავნეს საქართველოდან.

- ამანათი!.. ჭაჭა არის შიგ?

- არის, მთელი სამი ლიტრა, „გრელკით“.

- გიგულავია მაშინ.

- ჭაჭით როგორ უნდა ვიგულავო, რა იმდენი ეს არის. თანაც, ეს რომ ბიჭებს არ დავალეგინო ძმრად ამომადენენ ცხვირიდან.

- თქვენ მხოლოდ ოთხი ქართველი არა ხართ ჩვენს ნაწილში?

- როგორ ფიქრობ, მეგობარო, მე ქართველების გარდა არავისთან ვმეგობრობ?

- სამი ლიტრა მაინც ძალიან ბევრია, მოდი შეგკრათ კომპანია. ორი შენს ძმაკაცებს, ერთი კი - ჩვენ.

- ერთ ლიტრას მე და შენ ერთ ჯერზე ვერ დავლევთ, მაგარია.

- რატომ მხოლოდ მე და შენ, გოგოებთან ერთად...

- მერე და სად არიან, გოგოები? - ვერ დავმალე ინტერესი.

- გოგოები? გოგოებს ისეთს გაგაცნობ, რომ პირველივე პწკენისთანავე შემოგასკლებიან ხელში.

- რამდენი ხანია გოგოსთან არ ყოფილხარ? - აეშალა

ლაპარაკის საღერღელი სერჟანტს.

- დიდი ხანია.

- მაშინ ჩამოასხი ერთი ლიტრა და ამაღამ „გაბუქნავებ“ მათთან.

- კარგი ახლა!..

- შენ აქ დამელოდე. მე ბოთლს მოვიტან და ჩამოვასხათ.

- ლეიტენანტმა ციცი არაყი რომ მივიღე?

- ერთი მისი!.. - შეიკურთხა იურიმ და უკანვე შეძვრა გარღვეულ ღობეში. არ გასულა ხუთი წუთიც, რომ ის უკანვე დაბრუნდა ბოთლით ხელში.

- ჩამოასხი! - თქვა და ბოთლი გამოძიწოდა.

- კარგი რა, იური!

- ჩამოასხი -მეთქი! ამაღამ ერთ ოჯახში წაგიყვან, იქ ორნი არიან, დედა მე, შვილი შენ.

- ბებრუხანასთან დადინარ?

- ვინაა ბებრუხანა, ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებია.

- ალბათ, შვილი ჯერ ისევ „გარშოკზე“ შვება ფისი-ფისის, არა?

- ვაი, შენს თავს უბედურს. უკვე თხუთმეტი წლისაა. მარ-წყვია ჩასაყლაბი.

- თუ მართლა მასეთია, შენ თვითონ..

- შენი ბედი ყოფილა „ზემილიაკ“. განგებაა ყოველთა გამ-რიგე. იცი, ალბათ, ეს შენ.

- ქალიშვილია?

- აბა, რაა. ახლადჩამოსულ ჯარისკაცთან უნდა დაიჭიროს საქმე, სამი წელი ეყოლება.

- მე ორთვენახევრის ჩამოსული ვარ.

- ჰო, შენისთანა აწყობს.

- აწყობს და აქ არა ვარ!

X X X

საღამოს თერთმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც ჩვენი ნაწილიდან ექვსი კილომეტრით დაშორებულ ერთ მივარდნილ სოფელში რუსული „იზბუმკის“ კარზე დავაკაკუნეთ. კარი ახ-

აღვაზრდა ქალბატონმა გაგვილო და შინ შეგვიპატიჟა. ჩემი მეგობარი თამამად შემძღვა მასპინძლის სახლში და შესვლისთანავე ძველ სავარძელში შინაურივით მოკალათდა, რითაც მაგრძნობინა, რომ აქ მე იშვიათი სტუმარი არა ვარო.

სახლში, ქალბატონის გარდა, ერთი ცამეტ - თოთხმეტი წლის გოგონა, ათი-თორმეტი წლის ბიჭი და სამოცსადაცილე-ბული, უკვე ჭარმაგი მამაკაცი დაგვხვდა.

- იურა, აქ, ამ „კუკუშკაში“ ჩვენი მიზნის განხორციელებას როგორ შევძლებთ? - ჩავჩურჩულე აშეკს. მან კი კითხვაზე პირდაპირ გამცა პასუხი.

- რას იტყვი, როგორია?

- მართლაც, რომ საჩემოა!

- საშენოა და...

- და, მერე როგორ?

- ახლავე გიჩვენებ როგორ, - თქვა იურიმ და დისახლისს მოუხმო. დამჯდარმა მას თეძოებზე ხელი მოხვია და უთხრა:

- ჩემო ფისო, პინგვინო, ოთახში გაბრძანდი და მალე შემოვალო. ამის გამგონე ჭარმაგი მაგიდას გადმოწვდა, იურის შუბლში უბიძგა და მკაცრი ტონით უთხრა:

- ეი, შენ აშეკო, დროა დაგვტოვო და გზას დაადგე!

- შენ რა ძია თევდორე? - გაიკვირვა იურიმ.

- მე რა, არა?

- ვითომ ახალი რა მოხდა?

- არ მოხდარა და ახლა მოხდება, - თქვა ჭარმაგმა და ისეთი ძალით უთავაზა მუშტი ცხვირში სერჟანტს, რომ ფეხები ჰაერში ააშვერინა. მერე თავს დაადგა, დაიხარა და თვითონვე წამოაყენა. ბიჭს უბრძანა კარი გააღეო. რეტდასხმული ჩემი მეგობარი კართან მიიყვანა, წინხლი ჰკრა და ეზოში გულმკერდით თოვლი მოახვეტინა.

მოულოდნელობისაგან ერთხანს ადგილზე გაგმეშდი. არ ვიცოდი რა მეღონა და როცა მივხვდი, მეც უნდა დამეტოვებინა ოჯახი, უკვე გვიანი აღმოჩნდა. ჩემს წინ შამშანამომარჯვებული ბიჭი იდგა.

- ბოდიში, ძია თევდორე, - ძლივს მოვახერხე ამის თქმა და

ნაბიჯის გადადგმა კარისაკენ.

- ფეხი არ გადადგა, თორემ დაგაჭედებ შუბლში ტყვიას!
- გამაფრთხილა იარაღმომარჯვებულმა.

- ძია თევდორე... - ძლივს მოვასწარი ამ სიტყვების თქმა, რომ ჭარმაგმა მანიშნა, სკამზე დაჯექიო. მეც დაჯექი, სხვა რა ჩარა მქონდა?!

- სადაური ხარ, ჯარისკაცი? - მკითხა ოჯახის უფროსმა.

- ქართველი ვარ.

- ქართველი?

- დიახ ძია, ქართველი ვარ.

- და მერე ამ გიჟს რად აპყევი?

- მითხრა ახლობლებთან მივდივარ და გამომყევიო.

- მე ვარ მისი ახლობელი? მე მისი დედა!..

- მე რა ვიცოდ. ბოდიშს გიხდი, გთხოვ მაპატიო, უნდა

წავიდე.

- ვერსადაც ვერ გაგიშვებ. იცი, შვილო, ომში შეტევაზე რომ მივდიოდი როგორ გავიძახოდი -ხოლმე?

- როგორ გაიძახოდი, ძია?

- საშობლოსათვის! სტალინისათვის! შენ კი არცხვენ დიდ ბელადს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შენ, მის თანამემამულეს პატივისცემის გარეშე ვერ გაგიშვებ.

- გმადლობ ძია, მე უნდა წავიდე, უკვე გვიანაა.

მასპინძელს არაფერი უთქვამს, უხმოდ გახსნა კარადა და სპირტით სავსე ბოთლი გამოიღო.

- არა, არ შემიძლია, არაა საჭირო, მე სპირტი არასოდეს დამილევი! მასპინძელს არც კი შემოუხედავს ჩემთვის, ისე მიბრძანა:

- დაჯექი, დაჯექი -მეთქი!

მე ბრძანებას დავემორჩილე, მან ორი „მალენკოვის“ ჭიქა ბოლომდე აავსო, ერთი მე მომაწოდა, მეორე კი თვითონ აიღო ხელში.

- ქართველო, ამით დიდ კაცს გაუმარჯოს! - თქვა მასპინძელმა და გადაჰკრა.

მეც ავწიე „დიდი კაცის“ სადღეგრძელო, ვთქვი და ისევ

დავდგი.

- შენ რა?! - დამიბრიალა თვალები მასპინძელმა.
- არ შემიძლია ძია, ვერ დავლევ.
- ვერ დალევ?!
- ვერა, ვერ დავლევ. არასოდეს დამილევია სპირტი.
- პეტია! - გასძახა შვილიშვილს ჭარმაგმა.
- რა გნებავს, ბაბუ? - იკითხა ბიჭმა ფარდის მეორე მხრი-

დან.

- ასწავლე სტუმარს სპირტი როგორ უნდა დალიოს.
ამის თქმა იყო და ბიჭი გამოფარდა შაშხანით ხელში.
- დალიე. მიბრძანა მასპინძელმა, - მე ეს ყველაფერი ხუმ-
რობა მეგონა და გავიცინე.
- რას აჩენ მშვიერი ჯაგლაგით კბილებს, რომ გითხარი,
დალიე!

მასპინძლის სახის გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ ის არ ხუმრობდა.

ჯანდაბას, ხომ არ მომკლავს ეს ოხერი სითხე, დავლევ. თვითონ დალია და მშვენივრად გამოიყურება. ჭიქა ავწიე და უხმოს გადავკარი. მასპინძელმა ისევ შეავსო სასმისები.

- ამით რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობას გაუმარ-
ჯოს! - თქვა მასპინძელმა, ისევ ბოლომდე დაცალა სასმისი და გადმომხედა.

ავიღე ჭიქა, მეც ვადღეგრძელე რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა და დავდგი.

- პეტია! - გასძახა ბაბუამ შვილიშვილს. ისევ გამოფარდა ბიჭუნა თოფით ხელში. მასპინძელმა ისევ შეავსო სასმისები.

- ამით, ჩემო სტუმარო, დიდსა და კეთილშობილ რუს ერს გაუმარჯოს. ეს აუცილებლად უნდა დაცალო, მერე კიდევ ორი და ჩვენი სტუმარმასპინძლობაც დავამთავროთ, თორემ ნაწილში დაგავიანდება და მოგიწევს „ტანეჩკის“ ხეხვა.

- არ დავლევ!
- არ დალევ და შენი აჯობებს, შე ძუკნის შვილო, შენა!
- არ დავლევ! - დაკვივლე მასპინძელს და ბიჭს შაშხანა ხელიდან გამოვტაცე.

- შენ რა? შენ რა? - აბლუყუნდა მასპინძელი.
- შენ მკვლელო ხარ, თევდორე, ამიტომაც უნდა გიტეროდედა!

- არ გინდა შეილო, ნუ იზამ ავს, ომგადახდილს, საკუთარ სახლში ნუ მომკლავ! - შემეხვეწა ოჯახის უფროსი მთვრალს.

მარცხენა ხელით მაზარა ავიღე, ილლიაში ამოვიღე და ეზოში გამოვედი, სადაც ყინვამ სუნთქვა შემიკრა და თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი, მაგრამ აზროვნება ერთი წამითაც არ დამიკარგავს. შაშხანიდან ვაზნები გამოვყარე და მეზობლის სახლის სახურავზე შევეყარე. ჩანმახიც მოვხსენი იარაღს და შორს გავესტყორცნე. შემდეგ თოფი ეზოში ბეტონის ბოძს შემოვკარი და დავამსხვრიე.

X X X

ის ღამე მთვარიანი, ყინვიანი, და მღუმარე იყო. მე სტეპში მარტოდმარტო მივდიოდი. ხან ორით და ხანაც ოთხით. მივდიოდი და ჩემს სპირტით დაბინდულ გონებაში ტრიალებდა და მხოლოდ ერთი კითხვა: ნუთუ ჩვენ ადამიანებს, მართლა, არაფრად გვიღირს ერთმანეთის სიცოცხლე?

წისქვილში

სალამოს ჩემი უფროსი და, ჩემი ტყუპისცალი და მე აგვისტოს სიცხისაგან დამწვარ-გათანგული დავბრუნდით სამწყემსურიდან. ეზოში შესულეხს დედამ გვახარა, რომ სიმინდი იშოვა. (ღვინო გვქონდა შემონახული და ის გადაეცვალა სიმინდზე)

- წავალთ, დედა, წისქვილში, ამაღამ დაფეჭავთ, ხვალ დილით დავბრუნდებით, ერთი ღამის გათევა არც ისე ძნელი იქნება, - სთხოვა დედას ჩემმა დამ.

- ვერ გაგიშვებთ, გზაში დაგიღამდებათ, - იუარა დედამ.

- ვითომ რატომ უნდა შეგვეშინდეს, სამნი ვიქნებით. ამაღამ დაფეჭავთ, დილით ადრე წამოვალთ, შუადღემდე ნახირში ჩამოვიდგებით და გაგათავისუფლებთ, - დაიჟინა ჩემმა დამ და დედაც დაითანხმა.

დედამ ეზოში სამი თავმოკრული ტოპრაკა გამოიტანა, ზურგზე აგვიდა და წისქვილისაკენ გზა დაგვილოცა.

კარგა ხნის დაღამებული იყო, როდესაც მეწისქვილე მოსეს კარზე დავაკაკუნეთ. მოხუცმა კარი გააღო და სამი პატარა რომ დავგინახა პირჯვარი გადაიწერა.

- ვისი ბავშვები ხართ, ბაბუ? ვინ გაგიმეტათ ასე? - დაგვაყარა კითხვები გაოცებულმა.

- მოსე ბაბუა, ჩვენ არავინაც არ გაგვიმეტა, თვითონ გვინდა დედას რომ დავეხმაროთ, - უპასუხა ჩემმა დამ.

- მერე ამ შუალამისას? გამაგიჟებს ეს ხალხი, - ჩაიჩურჩულა მოხუცმა.

- ხვალ ნახირში ვართ წასასვლელი, ნახირს უპატრონოდ ხომ ვერ დავტოვებთ.

- არ მოხერხდება თქვენი საფეჭავის დაფეჭვა ამაღამ, შვილე-ბო. მთელმა ბერეთისამ და მეჩხეთურმა აქ მომაყარეს საფეჭავი. ამ გვალვამაც გააჭირა საქმე, ადრე სამი დოღაბი ბრუნავდა, ახლა ორი ძლივს ბრუნავს, - თქვა მეწისქვილემ და ერთხანს გაჩუმდა.

- ბაბუ, სახლში ფქვილი გაქვთ? - გვკითხა მოულოდნელად.

- არა! - იყო პასუხი.
- მომეცი შენი ტოპრაკა. დავფქვავ, დილით ადრიანად მოიგდე ზურგზე და გაქანდი ღელაშენთან. დანარჩენ ორს ხვალ დავფქვავ და ბიჭები წამოიღებენ.
- მოსე ბაბუა, ჩვენ ერთმანეთს ვერ დავცილდებით. გზაში მაგათაც ეშინიათ და მეც. ერთად უნდა წავიდეთ.
- რა ვქნა, ბავშვებო, მე ეს შემეძლო. დანარჩენი თქვენ იცით, - გვითხრა სინანულით მოხუცმა.
- ხვალ ხომ მოხერხდება ჩვენი საფქვავის დაფქვა?
- მოხერხდება, როგორ არ მოხერხდება.
- გავათევთ მაშინ ღამეს თქვენთან.
- აბა, სადღა წახვალთ ამ შუალამისას. მე თივას მოვიტან, იატაკზე გავშლი და ზედ დავწვები. თქვენ ნარზე დაწეკით. ტენს ჩემი ფილტვები უფრო აიტანს, ვიდრე თქვენი, - თქვა მეწისქვილემ და გარეთ გავიდა, იღლით კარგა მოზრდილი თივის ბულოლი შემოიტანა, იატაკზე გაშალა, ზედ დაწვა და ჩვენც შემოგვთავაზა, დაწეკითო.

X X X

დილით გამაყრუებელი აფეთქების ხმამ ბავშვები ფეხზე წამოგვყარა და ეზოში გავცვივდით, სადაც მეწისქვილე და ერთი მისი კბილა მოხუცი ერთმანეთს შეშინებული თვალებით შესცქეროდნენ.

- რას ფიქრობ, სევასტი, გადავრჩი?
- ალბათ, გადარჩი, თორემ წყალი ამდენ ხანს აუცილებლად მოიმატებდა მდინარის კალაპოტში.
- შენს პირს მაქარი, სევასტი. ამ ბავშვებმა მთელი ღამე გაათიეს ჩემთან, სახლში ალბათ ერთი ფევალი ფქვილიც არ აქვთ. ამ დილას ვაპირებდი ამათ გასტუმრობას. გული მეუბნება ძმაო, რომ ჩემი წისქვილის სათავე ამ გზის გაყვანას შეეწირება, - თქვა მოსე ბაბუამ, მდინარის კალაპოტს გახედა და სევასტის სევდიანად უთხრა:
- ვერ გადარჩენილა ჩემი წისქვილის სათავე, ბიჭო! ამათი საფქვავი მიანც მომესწრო. ძალიან გაჭირვებულები ჩანან.

სევასტი ჩვენკენ შემობრუნდა და გვკითხა:

- სადაა, ბაბუ. მამათქვენი?

- ჩვენ მამა აღარ გყავს, - მიუგო ჩემმა ძმამ.

- როგორ არა გყავს მამა, შე სულელო შენა! დედამ ასე არ თქვა, დალუბვის დეპეშა არ მიმიღია, ასე ეწერა უგზოუკვლოდ დაიკარგაო? მოვა მამა, მოვა! თუ არ მოვა თვითონ ნახავ.

- რა გქვიათ, ბიჭებო?

- მე, - ლურმიშხანი.

- მე კი - კოტე.

- მოსე, მე და ლურმიშხანი სათავეზე გავიქცევით, თქვენ აქ მიხედეთ საქმეს, აუცილებლად უნდა მოვანერხოთ სიმინდის დაფქვა. აბა, გავიქცეთ, ლურმიშხანი! - მომიწოდა მოხუცმა და მოხრილი ჯოხით ხელში წინ გამიძღვა.

წისქვილის სათავეს ჯებირს უშველბელი ქვა მოხვედროდა, საკმაოდ დაეზიანებინა და წყალი თქრიალით გამოდიოდა.

დანიხა თუ არა სევასტი ბაბუამ ეს ყველაფერი, სასწრაფოდ ტანთ გაიხადა და წყალში ჩავიდა, ზურგით განგრეულ ჯებირს მიეყრნო და მკითხა, ნახე, ბაბუ, წყალი თუ დაიკეტაო. მე ჯებირს მეორე მხრიდან შემოფურბინე და შევხედე.

- დაიკეტა, სევასტი ბაბუა, დაიკეტა, ოდნავ მოჟონავს კიდე.

- მაშინ, მომისმინე, შვილო, წადი ახლა შენ მოსე ბაბუასთან და უთხარი, როცა შენი საფქვავე დაიფქვება ჩემთან გამოგზავნოს და მეც ამოვალ წყლიდან.

უკან დაბრუნებულს წისქვილი გაჩერებული დამხვდა. მოსე ბაბუა და ჩემი და-ძმა მდუმარედ უცქერდნენ ბორბლის ირგვლივ დაყრილ სველ ქვებს.

დანახვისთანავე მოსე ბაბუამ მკითხა:

- სად წავიდა, შვილო, სევასტი ბაბუა?

მე სევასტის დანაბარები გადავეცი, სათქმელი დამთავრებული არ მქონდა, რომ წყალი ისევ წამოვიდა ღარში.

- წადით, ბავშვებო, ტყეში, რაიმე ხილს იპოვით და შეჭამეთ, - გვირჩია მოსე ბაბუამ. ჩვენ ტყეში შევედით და ბლომადაც ვიგემეთ მაცვალი. უკან დაბრუნებულებს მოსე ბაბუამ გვახარა:

- მართლაც რომ, კარგ დროს დაბრუნდით. წადით ახლა და სევასტი ბაბუას ახარეთ, თქვენი სიმინდის დაფქვა.

გახარებულნი ავუყევეთ რუს სათავისაკენ და შორიდანვე ვახარეთ მოხუცს საფქვავის დაფქვის ამბავი. სევასტი ბაბუა ძლივს ამოვიდა წყლიდან. მთელი სხეული უკანკალვდა. ის მზისგან გახურებულ ლოდზე ჩამოჯდა და გვითხრა:

- იჩქარეთ, შვილებო, თორემ გადაირევა დედათქვენი. მე ცოტას შევთბები და თვითონ ჩავალ წისქვილში.

სევასტი ბაბუას მადლობა გადავუხადეთ და თავქვე დავეშვი. მისვლისთანავე ჩვენს ტოპრაკებს ხელი დავავლეთ, მაგრამ მოსე ბაბუამ შეგვაჩერა.

- ბავშვებო, თქვენ რომ ასე მშვიდნი წახვიდეთ, გზაზე დაცვივდებით, - გვითხრა მოსე ბაბუამ და ხელი კედელზე დაკიდებულ კალათაში ჩაჰყო. მჭადის ნატეხი ამოიღო, სამად გატეხა და ჩამოგვირივა.

როდესაც ხეობა ამოვივაკეთ, მზე თითქმის ჩადიოდა. ვფიქრობდი, ალბათ ახლა დედა ნახირს სახლისკენ მიერეკება და ისიც წარმოვიდგინე როგორი შეშინებული იქნებოდა.

გზაში ჩემმა დამ გვთხოვა ჩქარა გვევლო. თუმცა, თხოვნა სრულიადაც არ იყო საჭირო, ისედაც, რაც შეგვეძლო ვჩქარობდით.

ტყეში ერთი კილომეტრიც არ გვექონდა გავლილი, რომ უკვე უკუნი ღამე ჩამოწვა და ცა ვარსკვლავებით მოიჩითა. ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა ჩვენს ირგვლივ, რომ ხის ფოთლის ხმასაც კი გაიგონებდა ადამიანი. პირველად ჩემს სიცოცხლეში, მაშინ შევიგრძენი სიჩუმის შიში.

მოულოდნელად ტყეში, ჩვენგან ჯერარგაგონილი, ძახილი გაისმა. ბავშვები შიშისაგან ერთმანეთს მივეკარით.

- ეს ვინ იძახის?! - ერთდროულად კვითხეთ მე და ჩემმა ძმამ დას.

- ეს.. ეს.. ეს... - ენა ველარ მოუბარუნა მან.

- ჰო, ვისი ხმაა?! - გაფუმეორეთ კითხვა.

- ვილაც იძახის, ალბათ ჩვენსავით შემოაღამდა ტყეში, - დავგაიმედა უფროსმა. ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ ტყეში

ისევ გაისმა ხმა.

ერთიანად გაგვეყინა სისხლი ძარღვებში. ჩვენ ერთმანეთს ხელებით ჩავაფორინდით და მიწაზე დავჯექით. ჩემს დას არაფერი აღარ უთქვამს, ალბათ, შიშისაგან ენა აღარ ემოძრაობდა. მართალია ბავშვები ვიყავით, მაგრამ ეს რომ აღამიანის ხმა არ იყო, აშკარად ვხვდებოდით.

უფრო მეტად გახშირდა ტყეში გადაძახილ-გადმოძახილი და ჩვენც ერთმანეთზე ჩახუტებულნი უხმოდ ველოდით, რაღაც ჭერ არნახულს.

- ხელავთ ტყიდან ვილაც გვიყურებს? - ხმა ამოიღო ჩემმა ძმამ.

- არავინაც არ გვიყურებს, ახლა ტყეში ვინ უნდა იყოს. შიშისაგან ხარ შენ, კოტე.

- მაშე ეს რაა? - თქვა და ხელით მიგვანიშნა. ტყეში მართლაც „აბრიალებდა“ თვალებს რაღაც. ჩვენ ინსტიქტურად წამოვცვივდით, საფეხავი დავტოვეთ და სახლისაკენ კივილით გავიქეციით. მივრბოდით მანამ, სანამ ჩემი და არ დაეცა. ჩენ მას ჭერ გვერდით გავურბინეთ, მაგრამ ჩქარა მოფეხეთ გონს და უკანვე დავბრუნდით. მან წამოდგომა ველარ შეძლო. სუნთქვა უჭირდა. ჩვენ მის გვერდით ჩამოვჯექით და ავტირდით.

ღურმიშხან უ... უ... კოტე უ... - შემოგვესმა დაზაფრულთ.

- გესმის ღურმიშხან, ეს ხომ დედა გვეძახის!

- დედა?!

- ჰო, დედა გვეძახის, ეს დედის ხმაა. ჩვენს საძებრადაა წამოსული.

- აქ ვართ, დედა! - ავხმინდით ყველანი ერთად. რამდენიმე წუთის შემდეგ თვალცრემლიანი დედა და შვილები ერთმანეთს ვეხვეოდით.

- დედა, მართო რატომ წამოხვედი მგლის არ გეშინია? - ჰკითხა ჩემმა დამ.

- არა, მე მგლის არ მეშინია შვილო, დედისათვის მგლის შიშზე ათასჯერ შვილების დაკარგვის შიში არსებობს ამქვეყნად,
- გვიპასუხა დედამ.

ერთი ჭიქა რძე

- ევა ღვიდა! ევა ღვიდა! - მოესმა ღიასახლისის ჭიშკართან მომდგარი ბავშვის ხმა.

- რომელი ხარ, შვილო?

- ნიკო ვარ, ევა ღვიდა, ნიკოლოზი

- რომელი ნიკოლოზი?

- რომელი და რომანოვი. - გამოეპასუხა ევა ღვიდას ვენახიდან ჩელტის ღობეზე ახლადგადმომხტარი მუუღლე.

- ვინაა, კაცო, ნიკოლოზ რომანოვი? მე ასეთს რომ არ ვიცნობ!

- იმპერატორია, რუსეთის იმპერატორი.

- მერე აქ რა უნდა, ამ დაღამებისას?

- ვაი, შენს თავს, უბედურს, ნიკოლოზ რომანოვმა დიდი ხანია წაიღო წერილი, არ იცი ეს შენ?

- სად წაიღო? რა წერილი წაიღო? თქვი, რად დამტანჯე ქალი.

- წერილი წაიღო ბაბუაჩემის მამა კირილესთან.

- შენც ხარ რა? დაბერდი და ჭკუა მაინც ვერ ისწავლე, - უსაყვედურა ევა ღვიდამ ქმარს.

- ევა ღვიდა! - ისევ გაისმა ჭიშკართან ბავშვის ხმა.

- მიდი, კაცო და გაუღე ჭიშკარი, მგონი ბავშვია. ხომ ხედავ ღამდება, ძროხა მყავს მოსაწველი.

- გრიგოლმა ჭიშკარი გააღო, ჭიშკართან მეზობლის ბავშვი იდგა ჯამით ხელში.

- ეს შენ ბრძანდები, ნიკალაი ბაგრატიჩი? - გაეხუმრა მასპინძელი ბავშვს, ეზოში შეიპატიჟა და ჭიშკარი მიხურა. უკან მობრუნებულმა მასპინძელმა ორიოდღე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრო რომ ჭიშკართან ისევ გაისმა ბავშვის ხმა.

- გრიგოლ ბიძია! გრიგოლ ბიძია!

- რაშია საქმე, ბიჭებო?

- გრიგოლ ბიძია, თქვენს ყანაში ყარამანის ღორია გადასული, თავის გოჭებიან, ჯაჭვიან, პალოიანად და მთლად მოაკალოვა ყველაფერი.

- თქვე მამაძაღლებო, ჯერ ღორი გამოგყვანათ ყანიდან და მერე მოსულიყავით აქ, - უსაყვედურა გრიგოლმა ბავშვებს და ჭიშკარში გავარდა. ნიკო მარტო დარჩა ეზოში და თავი უხერხულად იგრძნო. დიდხანს არ დარჩენილა ბავშვი ამ მდგომარეობაში. ეზოში ევა დეიდა გამოჩნდა, რძიანი ქვაბით ხელში. ეტყობოდა, ქვაბი სავსე იყო, მძიმედ მოჰქონდა. დიასახლისი ჯერ ბავშვს მიესალმა, შემდეგ ქვაბი სამზარეულოში შეიტანა, დადგა და გარეთ გამოვიდა.

- ნიკო, შვილო, მოიწი აქეთ და მითხარი, რაზე გამოგზავნა დედაშენმა, შენ ტყუილად აქ არ მოხვიდოდი?

- ევა დეიდა, დედამ შემოგიტვალათ ერთი ჯამი ფქვილი მასესხეო.

- როგორ არის, შვილო, დედაშენი?

- ცუდად, ევა დეიდა. საავადმყოფოში გვეწვინა, მკურნალობისათვის საჭირო თანხა ვერ გადავიხადეთ და შინ გამოგვიშვეს. წამლების საყიდელი ფულიც არა გვაქვს. წევს ახლა და არის მხოლოდ ღმერთის იმედზე, - თქვა ბავშვმა და გაჩუმდა. მეტი არც ევას უკითხავს მისთვის არაფერი კარგა ხანს.

სიჩუმე ისევ მასპინძელმა დაარღვია და სტუმარს ჰკითხა:

- შვილო, ნიკო, შენ აქ ცოტა ხანს დამელოდე, მე ბოსტანში წავალ, კიტრს და პამიდორს დაგიკრეფ, დედაშენთან გაგატან. ვიცი არ გეჩნებათ, ქალი უკვე ამდენი ხანია წევს, ვინ რას გაგიკეთებდათ.

- არა, არ გვაქვს.

- მაშინ დამელოდე, ახლავე მოვალ.

ევა დეიდამ კალათა ხელში აიღო და ბოსტინისაკენ გასწია. მარტოდ დარჩენილმა ნიკომ თვალი რძიანი ქვაბისაკენ გააპარა. რძით სავსე ქვაბმა თავისი ლამაზა გაახსენა.

- ეჰ, არც ჩემი ლამაზა იწველიდა ამაზე ნაკლებს. რა კარგი იყო, დილას და საღამოს ყოველთვის შემეძლო და ვსვამდი კიდევ თითო ჭიქა რძეს. ყველიც ხომ თავზე საყარი გვქონდა. ნეტავ როგორაა ჩემი ლამაზა, შეეჩვია თავის ახალ პატრონს? ჩემზე როგორ იყო მიჩვეული, რომ დამინახავდა თვალებში ვატყობდი, რომ უხაროდა.

- მაინც რა სუნი აქვს ამ დალოცვილ ახლადმოწვეოლილ რძეს! ახლა რომ ეს ერთი ჭიქა დამალევენა?!

- ხომ შეიძლება კიდევ დამალევენოს ევა დეიღამ? არა, არ დამალევენებს, მერე ყველი როგორ ამოიყვანოს, ამაზეა მთელი ოჯახი დამოკიდებული. ყველი თუ არ შეაგროვა და გაყიდა, პურის ფქვილს როგორ იყიდის. ძალიანაც რომ უნდოდეს პატივი მცეს, მაინც არ გამოუვა. ცოტა რომ მოესვა ნეტავ გამიგებს? აქ ხომ არავინაა, ვინ დამინახავს? მოდი მოესვამ?.. არა! არ შეიძლება! რომ მიხვდეს ხომ შევრცხვი, თავი მომეჭრება. არა! არ გავაკეთებ ამას! თავს ლაფს არ დავისხამ, რძის გულისათვის ქურდი დავირქვა?! არ არის ასეთი ნიკალაი ბაგრატიჩი! შიგ რომ ჩავიხედო? მერე და რას მომცემს სხვის ქვაბში ცქერა. სჯობს ვიჯდე ჭკვიანად.

- ეს თხაც რომ ველარ ვიყიდეთ, თუ არა მე და დედაჩემს რძე ყოველდღე გვექნებოდა. მოწველით მე თვითონ მოვწველიდი. არავის შევაწუხებდი.

- რა სუნი მოდის ქვაბიდან, რა სუნი?!

ნიკო თავისდაუნებურად მივიღა ქვაბთან და შიგ ჩაიხედა. ქვაბიდან ქაფქაფა რძემ თეთრად შემოანათა.

- რა მსუქანია! ერთს მოესვამ, ვერაფერსაც ვერ მიხვდება, - გაიფიქრა ბავშვმა, ქვაბს ხელი მოჰკიდა და უფრო მკვეთრად იგრძნო მადისამძებრელი რძის სუნი.

- რა მადისამძებრელი ყოფილა თბილი რძის სუნი, ჩემისთანა მშიერს გადარევს, ალბათ.

- რას სჩადიხარ, ნიკალაი ბაგრატიჩი, ახლა შენ? - თითქოს შემოუძახა ვილაცამ. ბავშვმა ქვაბი თავის ადგილას დადო, ზურგისაკენ შემობრუნდა და სკამზე დაჯდა.

- კაცი ხარ შენ და მეტი მოთმინება გმართებს, ჩემო ნიკალაი ბაგრატიჩი, ვაჟკაცს რძის დალევის სურვილი უნდა მოგერიოს, ბიჭო?! შევირცხვა ვაჟკაცობა, თუ მეტი არა ხარ შენ! - ჩასძახა ისევ იგივე ხმამ.

- ვითომ რატომ არა ვარ მე ვაჟკაცი, ხომ არ დამილევია?

- ნებისყოფაა საჭირო, ნებისყოფა! ცოტა დაგაკლდა თავის შერცხვენამდე. ნიკალაი ბაგრატიჩს რომ გეძახის ხალხი

ამ თითისტოლა ბავშვს, ხომ უნდა გაამართლო ეს საპატიო მიმართვა, შე კაცო!

ნიკომ ქვებს საბოლოოდ აქცია ზურგი და ბოსტნისაკენ დაიწყო ცქერა.

- რატომ იგვიანებს ევა ღვიდა. სჯობს ღროზე წავიდე აქედან. ასე აჯობებს ჩემთვის. გაიფიქრა ნიკომ და ერთხელ კიდევ, საბოლოოდ გაიხედა ბოსტნისაკენ. ევა ღვიდა, სავსე კალათით, ბრუნდებოდა ბოსტნიდან.

- შევირცხვინე, შვილო ნიკო, თავი დედაშენთან, ქალი ამდენი ხანია ავად არის და ერთხელაც ვერ ვინახულე. შერცხვეს ჩვენი მთავრობა, შვილო! თავი რომ გავიტანოთ, ამისათვის ყველაფერი უნდა დავივიწყოთ. დაიკარგება ყველაფერი აღამიანური თუ ასე გაგრძელდა.

- მართალს ამბობთ, ღვიდა, მაგრამ ჩქარა დამთავრდება ასეთი ცხოვრება, აბა რა იქნება. თურმე პრეზიდენტს ანტიკორუფციული ჯგუფი შეუქმნია. ისეთი მაგარი ბიჭები შეუყვანია შიგ, რომ ქვას ქვაზე არ დატოვებნო.

- არაფერი მჯერა მე ამათი, - თქვა ევა ღვიდამ, შემდეგ ნიკოს შეხედა და ჰკითხა:

- ნიკო, შვილო, სახლში რძე გაგატანო თუ ყველი, რომელი გირჩევენია?

ბავშვი ჩაფიქრდა: რძეც კარგია და ყველიც, მაგრამ ვინ მისცა ახლა ამათი მოცემის საშუალება ევა ღვიდას. შრატის მოცემა, ალბათ, შეუძლია.

- შრატი, შრატი მირჩევენია, ევა ღვიდა! - დიასახლისმა ბავშვს შეხედა.

- რა თქვი, შვილო?

- შრატი მირჩევენია, ევა ღვიდა. - ამის გამგონე დიასახლისი ოთახში შევიდა ცოტა ხნით. იქიდან გამოსულს თვალები სველი უჩანდა, თუმცა იღიმებოდა.

- მაშინ, ჩემო ნიკო, ახლა მე შენ ამ რძეს გაგატან. ხვალ კი შენს საყვარელ შრატსაც მოგართმევ და ღვიდაშენსაც ვინახულებ.

- ხომ აჯობებს ასე, ნიკოლაი ბაგრატიჩი?

„ლამპოჩკის“ გამყიდველი

რუსთაველის გამზირზე, მიწისქვეშა გადასასვლელის კიბის საფეხურზე, ხელში ყვავილიანი ქოთნით, მოხუცი ქალბატონი იდგა და სუსტი ხმით გაიძახოდა:

- შეიძინეთ! შეიძინეთ, ჩემი ყვავილი! ნახეთ რა ლამაზია, „ლამპოჩკას“ ეძახიან, - და გამვლელთ მცენარეზე, ნათურასავით დაკიდებულ, ერთადერთ წითელ ყვავილზე მიანიშნებდა. გამვლელები კი გულგრილად ადი-ჩადიოდნენ კიბეზე. ბევრი ვერც მოხუცს ამჩნევდა და ვერც „ლამპოჩკის“ სილამაზეს.

გვიანი შემოდგომის ცივმა ქარმა ჭადარს ფოთოლი მოსტაცა, ერთხანს ჰაერში ატრიალა. მერე გააქანა და მოხუცის „ლამპოჩკას“ დასცა. მცენარეს ერთადერთი ყვავილი მოსწყვიტა და კიბის საფეხურზე დააგორა.

- ვაი!.. - აღმოხდა მოხუცს. ქოთანი კიბის საფეხურზე დადგა, დაგორებულ ყვავილს დაეწია, სათუთად აიღო, ქოთანში ჩადო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ჩემს ბედს რა ვუთხარი?.. - ქოთანი ისევ აიღო, გულზე მიიხუტა, ერთი კი მიიხედ-მოიხედა და ისევ გასძახა:

- შეიძინეთ! შეიძინეთ, ჩემი „ლამპოჩკა“! იაფად მოგცემთ, ნახეთ რა ლამაზია!

გადასასვლელის კიბეს ორი ახალგაზრდა ქალბატონი ამოჰყვა. „ლამპოჩკის“ გამყიდველი მათ წინ გადაეღობა და ხვეწნა დაუწყო:

- შეიძინეთ, ქალბატონებო, ჩემი ყვავილი, შეიძინეთ, ძალიან გთხოვთ! თუ შეიძინთ, ჩემი მადლით თქვენც ღმერთი გიშველით.

- რა ჰქვია, თქვენს ყვავილს? ჰკითხა ერთ-ერთმა.

- „ლამპოჩკა“

- ლამპოჩკა რა სახელია? იქნებ სჯობდა „აბაყური“ დაგერქმია, - თქვა ქალბატონმა და გაიღიმა.

- ჩემთვის სულ ერთია „ლამპოჩკა“ ჰქვია ამ ყვავილს თუ ილიჩის ნათურა, ჩემი პრობლემა მხოლოდ შიმშილის მოკვლას

ახლა და მეტი არაფერი, - გაიფიქრა მოხუცმა და ქალბატონებს ისევ დაუწყო ხვეწნა

- იყიდეთ, ქალბატონებო! ძალიან გთხოვთ. იაფად მოგცემთ. სულ ორი ლარი მომეცით. ეს ხომ ქოთნის ფასია მხოლოდ.

- ვიყილო, დიანა? - ჰკითხა ერთმა მეორეს.

- ნეტავ ერთი, რად გინდა?..

ქალბატონმა ზურგი აქციეს მოხუცს და საუბრით განაგრძეს გზა. მოხუცი კი მიწისქვეშა გადასასვლელის კედელს მიეყრდნო, თავი დახარა, ყვავილის ქოთანს დააცქერდა და თავისთვის ჩაიხურჩულა:

- ისევ მშვიდი დავრჩი დღესაც. ამის იმედად ვიყავი.

მოხუცი ერთხანს გაჩუმდა, ალბათ, რაღაცაზე ჩაფიქრდა. მერე ერთიანად გამოკოცხლდა, თავი მაღლა ასწია და უფრო ენერგიულად დაიწყო ძახილი:

- შეიძინეთ! შეიძინეთ! შეიძინეთ, ჩემი ქოთნის ყვავილი! იაფად მოგცემთ.

მის მოწოდებას რომ არავინ გამოეხმაურა, მოხუცი ისევ გაჩუმდა.

გადასასვლელის კიბეს გოგო და ბიჭი მოადგა.

- მარი, ეს მოხუცი ყვავილის გამყიდველი დილიდან აქ დგას, ყვავილს ორ ლარად ყიდის და ვერ გაუყიდია, - გადაულაპარაკა ბიჭმა გოგოს.

- მერე, ჩვენ რით ვუმველოთ?

- მარი, ფული გაქვს?

- მაქვს. ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

- ლარი მასესხე.

- რად გინდა?

- ყვავილი უნდა ვიყილო.

- შენ რა?..

- გთხოვ, მასესხო.

გოგონას მეტი არაფერი უკითხავს, ლარისანი ამოიღო და ბიჭს გადასცა. ბიჭი მოხუცთან მივიდა, ორი ლარი მიაწოდა და უთხრა:

- ბებო, აი ეს ორი ლარი შენ, მხოლოდ ოცი წუთი უნდა

დამელოდო და თუ არ მოვედი ყვაფილი შენი იყოს, როგორც
გინდა ისე მოიხმარე.

- გია, ეს რა გააკეთე? - ჰკითხა გოგონამ.
- რა გააკეთე?
- ჰო, რა გააკეთე?
- მე მგონი ის გააკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა, მარი.

ქალბორბალა

ფიქრებში გართულს თვითმფრინავის ძრავების გუგუნიც აღარ მესმის. ახლა ჩემს გულსა და გონებას ჯერარგანცდილი გრძნობა დაუფლებია და ერთიანად დაუბყრია ორთავე. მე მრავალი წლის შემდეგ მოსკოვიდან სამშობლოსაკენ მოვფრინავ, მოვფრინავ შეურაცხყოფილი და დამცირებული.

- თემურ, ეს რა გვიყვებს რუსებმა, ნახირივით არ შემოგვრეკეს ამ ფრთებდასაწვავ „კუბომი“. უთხრა ჩემს წინ ფეხზე მდგომმა ახალგაზრდამ გვერდში მდგომს და ნათქვამს გულიანი გინებაც მიაყოლა, ოდესღაც ჩვენი „უფროსი ძმის“ მისამართით.

- ამათგან მეტსაც უნდა ელოდოს ადამიანი, - მოკლედ გასცა პასუხი თემურმა მოსაუბრეს.

- არ გინდა ამდენი წლების შემდეგ, ქალაქში ნაცხოვრები კაცი, ისევ სოფელს შეეჩვიო. აილო ოროყიანი თოხი ხელში და გათენებიდან დაბინდებამდე შავ, აყალო მიწას უბლაცუნო.

- შენ რა გიჭირს ძმაო, შენ თოხიც გაქვს და მისი საბლაცუნოც. მე ვიკითხო ეგეც რომ არ მაქვს და ჯიბეც ისე მაქვს გაფხეკილი, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთოთახიან ბინასაც ვერ ვიყიდი პროვინციულ ქალაქშიაც კი.

რა მინდოდა სხვაგან, დავრჩენილიყავ ჩემს სამშობლოში. ეს, მართლაც რომ, ცუდი ზნე გვჭირს ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ალბათ ჩემისთანა კაცზეა ნათქვამი: „აქაც ასცდა ქორწილსა და იქაც ნადიმობასაო!“

- რა ზნეს გულისხმობ, თემურ?

- სადაც მე არა ვარ...

- მართალია ეგ თქმა, ჭკვიანი კაცისაგან იქნება ნათქვამი.

თემურის ნათქვამმა მამა-პაპისეული სახლი გამახსენა. თვალწინ დამიდგა სოფლის ორღობე, ჩემი წაბლის ნაგვერდულებით შეკრული და კრამიტით გადახურული ჭიშკარი. რა წყნარი და მშვიდი ეზო მქონდა ფიცრული სახლით. ნეტავ კი არ მიმეტოვებინა სკოლის დამთავრების შემდეგ. შემექმნა ოჯახი და მეცხოვრა ისე, როგორც სხვა ყველა ცხოვრობდა ჩემს

სოფელში. ხშირად ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ისე ვგეგმავთ მომავალს, რომ არ ვითვალისწინებთ ჩვენი მშობლებისა და ბებია-ბაბუების ნაღვაწს. მშობლების ნაღვაწი ხომ შვილებისათვის ბედნიერი მომავლის შექმნას ემსახურება. ფასი ჰქონია ჩემს მამა-პაპეულ ფიცრულს, ჰქონია და ეს მე აქამდე არ ვიცოდი. - გავიფიქრე, თემურს შევხვდე, რომელსაც თავი მაღლა აეწია და თვითმფრინავიდან რაღაც წერტილს შესცქეროდა.

- გამოჩნდა! ჩვენი მშობლიური მთები გამოჩნდა! - შეიქმნა მგზავრებში გადაძახილ-გადმოძახილი. ყველა თვითმფრინავის ილუმინატორში გახედვას ვცდილობთ, მათ შორის თემურიც.

- გამოდი ახლა აქეთ, თამაზ, ხომ მომასწარი თვალის შევლება მშობლიურ მთებზე. - უსაყვედურა თემურმა მოსაუბრეს.

- მოდი, მოდი ნახე რა ქვეყნის შვილები ვართ, თემურ!

- აბა როგორ დავინახავ როცა ზედ აკვრიხარ მინას, - უსაყვედურა თემურმა მეგობარს.

ბიჭებმა ხელები ერთმანეთს მხრებზე გადახვიეს, ცხვირები ორივემ ლამის მინას მიასრისეს და ასე იყვნენ ერთხანს.

- თამაზ, იქნებ სხვასაც უნდა... - ჩასჩურჩულმა თემურმა მეგობარს. ბიჭები მინას მოსცილდნენ. თემურს შევხვდე. მისი თვალებიდან სევდა სიხარულს დაეფრინა და თვითონ ჩასახლე-ბულოყო.

ნეტავ რა გაეხარდა თემურს? მიდის იქ, სადაც არაფერი არ გააჩნია. მისმა თვალებმა საფიქრალი გამიჩინა, რომლის მისახვედრად არც თუ დიდი დრო დამჭირდა. - ჰო, ალბათ, არსებობს კიდევ რაღაც, „სრა-სასახლეების“ გარდა, რომელიც სიხარულს გვრის ადამიანს. ახალგაზრდის გაბრწყინებული თვალების ხილვამ ჩემს სოფელში, ჩემს ეზოში დამაბრუნა.

დილაა. ყოველი მხრიდან ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, თუმცა მზე ჯერ არ ამოსულა. არ ამოსულა, მაგრამ ჩქარა გადმომხედავს გორაკიდან. ჩემს ჩრდილს დააგრძელებს და სასაცილოს გახდის. ჯერ მენახირე ჩამოატარებს ჩემს ჭიშკართან ნახირს, მერე კი ქალბორბალა გამოჩნდება თავისი ბატებითა და ინდაურებით. ჰო, ქალბორბალა. ის ზემო უბანში ცხოვრობს.

მამა ჩემსავით არც მას ჰყავს. ჩვენი მამები ომიდან აღარ დაბრუნებულან. მას ღელა ჰყავს, მე კი არა. ღეიღა მიწვევს ღელობას. მეხვეწება ჩემთან გადმოდიო, მაგრამ როგორ გადავიდე, როცა მე ჩემს სახლში მინდა. ძალიან მეტრალეზა ღეიღა. ის ყოველთვის დაღლილია. ქალბორბალამ არ იცი, მე რომ მას ქალბორბალა დავარქვი, მაგრამ მოვა დრო და აუცილებლად ვეტყვი. მას გაჩერებულს ვერასოდეს ვხედავ. მართლაც რომ, ბორბალივით ტრიალებს მთელი ღღე. აქ ბატ-ინდაურიო, იქ თონიო, იქ კრუხ-წიწილაო, იქ სადილის დამზადებაო. ის ჩემზე ორი წლით უმცროსია. არ ვიცი, მაგრამ თითქმის ერთი წელი ხდება, რაც ყოველღღე ეზოში გამოვდივარ და ქალბორბალას ჩავლას ველოდები. მას ძალიან ლამაზი თვალები აქვს, ხანდახან ვფიქრობ, ნეტავ სხვამ არ შენიშნოს მისი ლამაზი თვალები -მეთქი. საკუთარ თავს არ ვუტყდები, თორემ ძალიანაც კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ჩემი მისდამი ასეთი დამოკიდებულება. წელს სკოლას ვამთავრებ, სწავლა მინდა გავაგრძელო. ე.ი წასვლა მომიწვეს სოფლიდან. კი მინდა რაიმე ვუთხრა წასვლამდე ქალბორბალას, მაგრამ ვერ გამიბედავს. ასე მგონია, რომ მას არასოდეს სცალია ჩემს მოსასმენად. თქმით აუცილებლად უნდა ვუთხრა, მაგრამ როგორ უნდა ვუთხრა, ისიც კი არ ვიცი.

* * *

- გამარჯობა ნათია!
- გაგიმარჯოს გურამ!
- ნათია, შენ იცი, რომ...
- რა უნდა ვიცოდე, გურამ?
- ნათია, მე შენ ქალბორბალა დავარქვი.
- რატომ ქალბორბალა? თუ აუცილებელია ჩემთვის სახელის შეცვლა, სჯობდა ნიაგქალი დავერქმია. ქალი ვარ რაც არ უნდა იყოს...
- ნათია!.. - ვთქვი და ველარ გავაგრძელე.
- გისმენ გურამ, თქვი, რისი თქმაც გსურს.
- ნათია, შენ ლამაზი, ძალიან ლამაზი თვალები გაქვს.
- ეგ ხომ მეც ვიცი, შენ ის მითხარი, რაც მე არ ვიცი და

შენ იცი ჩემს შესახებ.

- შენ, ძლიან, ძლიან კარგი გოგონა ხარ.

- აკი გითხარი, რაც მე ვიცი იმის თქმას რა აზრი აქვს -მეთქი.

- მაშ გითხრა რაც შენ არ იცი?

- თქვი, გურამ!

- ნათია, მე ყოველ დღით ჩემს ჭიშკართან შენს ჩამოვლას ველოდები.

- ბატებსა და ინდაურებთან ერთად თუ მათ გარეშე? - მკითხა ნათიამ და გადაიკისკისა.

- მე, შენ რომ გხედავ მიხარია, ნათია!

- გმადლობთ. ახლა კი წავედი, - თქვა ნათიამ და წავიდა.

- ნათ... - ნათიამ ჩემი დაუმთავრებელი სიტყვა გაიგონა, ჩემდა მოულოდნელად უკან შემობრუნდა, ხელი დამიქნია და ნახვამდისო მითხრა.

- უკაცრავად. თქვენ გურამი ხომ არ ბრძანდებით? - მოულოდნელად მკითხა უცნობმა და ჩაფიქრებული აწმყოში დამაბრუნა.

- დიას, გურამი ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით.

- მე შენი ყოფილი თანაჯგუფელი ვარ. პირველ-მეორე კურსზე ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ქ. რუსთავის სალამოს სწავლების ფაკულტეტზე. მერე სამხედრო სამსახურში გავიწვიეს. მას შემდეგ აღარასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს. ალბათ რუსთავში აღარ დაბრუნებულხარ. კარგად დამაკვირდი, არ მგონია ვერ მიცნო. გააგრძელა მან. უცნობი გულდასმით შევათვალიერე.

- ზურა, ზურა ხარ! როგორ ხარ, ხომ არ დაბერებულხარ, ბიჭო! თამარი დეიდა როგორაა? რა დამავიწყებს დედაშენის შემწვარ მთელ-მთელ ახალ კარტოფილებს, ძმაო.

- დაბერდი, გურამ?

- დავბერდი.

- მაშინ მე რატომ არ დავბერდებოდი. გურამ! ამალამ სად აპირებ ღამის გათევას, როგორც მანსოვს შენ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდი ჩვენს ქალაქში.

შენ იცი ჩემს შესახებ.

- შენ, ძლიან, ძლიან კარგი გოგონა ხარ.

- აკი გითხარი, რაც მე ვიცი იმის თქმას რა აზრი აქვს -მეთქი.

- მაშ გითხრა რაც შენ არ იცი?

- თქვი, გურამ!

- ნათია, მე ყოველ დღით ჩემს ჭიშკართან შენს ჩამოვლას ველოდები.

- ბატებსა და ინდაურებთან ერთად თუ მათ გარეშე? - მკითხა ნათიამ და გადაიკისკისა.

- მე, შენ რომ გხედავ მიხარია, ნათია!

- გმადლობთ. ახლა კი წავედი, - თქვა ნათიამ და წავიდა.

- ნათ... - ნათიამ ჩემი დაუმთავრებელი სიტყვა გაიგონა, ჩემდა მოულოდნელად უკან შემობრუნდა, ხელი დამიქნია და ნახვამდისო მითხრა.

- უკაცრავად. თქვენ გურამი ხომ არ ბრძანდებით? - მოულოდნელად მკითხა უცნობმა და ჩაფიქრებული აწმყოში დამაბრუნა.

- დიას, გურამი ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით.

- მე შენი ყოფილი თანაჯგუფელი ვარ. პირველ-მეორე კურსზე ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ქ. რუსთავის სალამოს სწავლების ფაკულტეტზე. მერე სამხედრო სამსახურში გავიწვიეს. მას შემდეგ აღარასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს. ალბათ რუსთავში აღარ დაბრუნებულხარ. კარგად დამაკვირდი, არ მგონია ვერ მიცნო. გააგრძელა მან. უცნობი გულდასმით შევათვალიერე.

- ზურა, ზურა ხარ! როგორ ხარ, ხომ არ დაბერებულხარ, ბიჭო! თამარი დეიდა როგორაა? რა დამავიწყებს დედაშენის შემწვარ მთელ-მთელ ახალ კარტოფილებს, ძმაო.

- დაბერდი, გურამ?

- დავბერდი.

- მაშინ მე რატომ არ დავბერდებოდი. გურამ! ამალამ სად აპირებ ღამის გათევას, როგორც მანსოვს შენ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდი ჩვენს ქალაქში.

ყურადღებით ჩავათვალიერე წიგნში გვარ-სახელები. ვეფხვაძე ნათია გრიგოლის-ასული, ეწერა ერთ გრაფაში.

- აი დამთხვევა! გვარი, სახელი, მამის სახელი ქალბორბალასი.

ისევ დავბრუნდი ჩემს სიჭაბუკეში და მეგობრის ტელეფონის ნომრის ძებნას დროებით თავი ვანებე.

- ვერავის ტელეფონის ნომერს ვერ მიაგენი? - მკითხა ზურაბმა.

- მივაგენი, მგონი მართლაც მივაგენი, ჩემი სიჭაბუკისდროინდელი მეზობელი ვოგონას ტელეფონის ნომერს.

- მეზობლისას თუ შეყვარებულისას? - გამეხუმრა თანაჯგუფელი.

- ჰო, თითქმის მაგას ჰგავს.

- დაურეკე, ვინ იცის იქნებ ისევ გელოდება, - გამეხუმრა ყოფილი თანაჯგუფელი.

- მართლაც დაურეკო?

- დაურეკე. რა დაშავდება, პირიქით შეიძლება კიდევ გავხარდეს.

- ვითომ არაფერი არ დაშავდება?

- არა, არ დაშავდება.

ნათიას ტელეფონის ნომერი აგკრიფე და დაველოდე. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია, აღრესატი გამომეპასუხა:

- გისმენთ - გაისმა ნაცნობი ხმა.

ეს ხომ ნათიაა! ეს ხომ იმ ქალბორბალას ხმაა, რომელიც არ დამვიწყებია. თითქოს ერთიანად გამეყინა სისხლი მთელს სხეულში და მოქმედების უნარი დამეკარგა.

- გისმენთ, - გაისმა ისევ. მე ყურმილი დავდე.

- არ აღმოჩნდა შენი მეზობელი? - მკითხა ზურაბმა.

- ისაა, ის!

- მერედა რატომ დადე ყურმილი?

- რა უნდა მეთქვა მისთვის?

- შეკითხვადი ოჯახის შესახებ, რამდენი შვილი ჰყავს, მეუღლე ვინაა და ათასი სხვა. როგორც თქვი, ერთად ხართ გაზრდილი. კითხვებს რა დაგილევდა, შე კაცო.

მე ზურაბისათვის აღარაფერი მიპასუხია. ისევ ავკრიფე ტელეფონის ნომერი. ისევ გაისმა ნათიას ხმა – გისმენთ.

- გამარჯობა, ქალბორბალა! - ინსტიტუტურად ჩავძახე ყურმილში.

- გაგიმარჯოს, გურამ!

- ნათია! - ვთქვი და ველარ გაავაგრძელე.

- ვიცოდი გურამ, დღეს რომ დაბრუნდი სამშობლოში, - მესმის ყურმილიდან ნათიას ხმა.

- ვინ გითხრა?

- არავინ, ტელევიზორში გნახე თვითმფრინავიდან რომ გადმოდიოდი.

- მიცანი, ნათი?!

- გიცანი, გურამ, გიცანი!

- ნათი, რამდენი შვილი გყავს?

- მე შვილი არ მყავს, გურამ.

- მეუღლე?

- არც მეუღლე, შინაბერად დავრჩი.

- შენ რამდენი შვილი გყავს, გურამ?

- მე შვილი არ მყავს, ბერბიჭა ვარ და მარტოდ ვლევ წუთისოფელს.

- რატომ ვერ შექმენი ოჯახი?

- სად, იქ? არა! მე იქ ოჯახს არ შევქმნიდი. მე ყოველთვის დაბრუნებაზე ვოცნებობდი.

- შენ რატომ არ გათხოვდი?

- გურამ, გახსოვს ჩვენთან სოფელში? - თქვა ნათიამ და გაჩუმდა. ქალმა კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

- რა მოხდა ჩვენთან სოფელში?

- გახსოვს, რომ მითხარი შენ ქალბორბალა ხარ და ძლიან ლამაზი თვალები გაქვსო?

- მახსოვს, მე ტყუილი არ მითქვამს.

- გურამ, იცოდე შენსავით ნაზად და ლამაზად მას შემდეგ სხვამ მსგავსი ვერაფერი მითხრა. გურამ, მე შენ გელოდი, დიდხანს გელოდი.

- ნათია, არა, ქალბორბალა, სოფელში ჩემთან ერთად

წამოხვალ? - ვკითხე მოულოდნელად.
- წამოვალ, - იყო მოკლე პასუხი.

აბდულა

ლაშქარა. სიცივემ გამომაღვიძა. ასანთი ავანთე, საათს დავხედე, ორი სრულდებოდა.

- რა ღვთის რისხვაა ამ ბოლო დროს ღამით ასეთი სიცივე, ჯერ ხომ სექტემბერი არ დამთავრებულა? - წავიბუზღუნე და კატის კნუტივით მოვიკუნტე, მაგრამ სიცივეს თავი მაინც ვერ დავაღწიე. მზის ჩასვლის შემდეგ კი საერთოდ აუტანელი გახდა.

დაგმანული „საფენტილაცო მილიდან“ მწოლიარემ ბზის ბლუჯა გამოვიღე და ზეცას ავხედე. მართალია, ლურჯი ცა ვერ დავინახე, მაგრამ იქიდან წამოსული ფთილა ფანტელები ჩემს თვალ-წარბს დაეცა და ზედ დაადნა.

- დავიღუპე! თოვლი მოდის! ეს რა ქვეყანაში მოვხვდი, სექტემბერი და თოვლი? რატომ არ დავუჯერე აბდულას, ის ხომ მაფრთხილებდა, აქაურობას დროზე გაეცალე, თორემ თოვლმა თუ მოგისწრო, მერე ვაგიჭირდება თავის დაღწევად. უნდა დამეჯერებინა, რაც არ უნდა იყოს, აქაური კაცია, მერე რა, წერა-კითხვა რომ არ იცის. უჭკუო კაცი არ არის. ახლა კი სჯობს აბდულაზე ფიქრს თავი დავანებო და იმაზე ვიზრუნო, თუ როგორ ვავერიდო აქაურობას. საბედისწერო არ გახდა ჩემთვის, ამ ბოლო ნახევარი წლის მანძილზე, ერთხელ რაიონულ ცენტრში ჩასვლა? ამდენი პროდუქტი რომ არ მომიმარაგებინა, უკვე კარგა ხნის წასული ვიქნებოდი აქედან. თუმცა, არც ამის გაკეთებაა ჩემთვის ადვილი. მე ხომ ამ სურსათისა და იმ ორიოდ გროშის იმედზე ვარ, რომელიც საგანგებოდ მაქვს ჩაკუჭული ჯიბეში. რა ვუთხრა ამ ქვეყნის სამართალს, ისეთი რა დავაშავე, ასე უღმერთოდ რომ გამიმეტეს? მე ხომ ჯერ ისევ გულწრფელად მჯეროდა, რომ სიყვარული დაუსჯადია. მე კი, სწორედ სამშობლოს სიყვარულის გამო დავისაჯე!

ახლა კი დროა, გლეხის ბიჭო, კაკულა, დაწოლილმა ფეხი ჰკრა დაწინებულ ბზის შეკვრას, კარების მოვალეობას რომ ასრულებს, და გარეთ გაიხედო.

მართლაც, ასე მოვიქეცი. ბზის შეკვრა ფეხით გავწიე და,

რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა, ის დავინახე. სტეპი უკვე მუხ-
ლამდე თოვლით იყო დაფარული. ეს, თითქმის, ჩემს სიკვდილს
ნიშნავდა. გადარჩენის გარანტიას არც წასვლა იძლეოდა და
არც დარჩენა. აქედან ჩემს მეგობარ აბდულას სახლამდე მინი-
მუმ ათი კილომეტრი მაინც იქნებოდა. იქიდან კი მეზობელ
დასახლებამდე - ასზე მეტი. რა თქმა უნდა, მეგობრის იურ-
თამდე მძიმე ტვირთით თავისუფლად მივალწევდი, მაგრამ შემ-
დეგი ასი კილომეტრის გავლა მეტად საეჭვო იყო.

ფიქრის დრო აღარ მქონდა. ჭიდან წყალი ამოვიღე, მათარა
ავავსე და ქამარზე დავიკიდე. ზურგჩანთაც ზურგზე მოვიგდე
და გზას გავუდექი.

მთელი დღე გადაუღებლად თოვდა. სულ უფრო და უფრო
მიჭირდა გზის გაკვლევა. კარგა ხნის დაბნელებული იყო, აბდუ-
ლას იურთას რომ მივადექი. კართან ფეხსაცმელები დავიფერ-
თხე და ზედ დავაბრახუნე. კარი მასპინძელმა გამიღო.

- კარგია, რომ მოხვედი, თორემ გამთენიისას მე თვითონ
უნდა წამოვსულიყავი შენთან.

შევატყვე, ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. იურთაში
შევედი. შიგ სითბო და შეხუთული ჰაერი ერთმანეთში იყო
არეული. მასპინძელს თქმა არ ვაცალე, მოწყვეტით დავჯექი
სოხანეზე გაშლილ ცხვრის ტყავზე და ლამპის შუქით გა-
ნათებული სათავსო დავათვალიერე. ყველა მხრიდან მწოლიარე
ცხვრისტყავგადაფარებული ბავში მიცქერდა უხმოდ.

- ალბათ, ძალიან მოგშივდა? - მკითხა მასპინძელმა.

- მართლაც რომ, ძალიან შშია. დილიდან არაფერი მიჭამია,
ვჩქარობდი, არ მინდოდა სიბნელეში მევლო.

- კარგია, რომ იჩქარე. ახლა მგლები ხროვებად დადიან და
მეტად საშიშნი არიან.

- როგორ, აქაური მგლები თავს ესხმიან ადამიანს?

- მგელი არა, მაგრამ მგლები კი ესხმიან. შენ გადარჩენილი
ხარ, რომ არსად გადაეყარე.

- რა მეშველება, როგორ ჩავალწევ რაიონულ ცენტრამდე?

- შენ აპრილამდე აქედან ველარ წახვალ.

- რას ამბობ!

- ასეა, თესვის დაწყებამდე აქ ტრანსპორტი აღარ მოვა.
- ფეხით ჩავალ!
- ვერ ჩახვალ.
- რატომ?
- მგლები შეგჭამენ.
- მაშ, როგორ?..
- ჩემთან მოგიწევს დარჩენა. უარი არ მითხრა, შენ სხვა გზა არ გაქვს.

ირველივ მიმოვიხედე, იურთა საესე იყო ბავშვებით.

- ვერა, ვერ დავრჩები!
- ვერც წახვალ, ანლა აქედან წასვლა სიკვდილს ნიშნავს. ან მგლები შეგჭამენ, ანლა ქარბუქი გაგვუდავს.
- დილით აუცილებლად უნდა წავიდე.
- ვერ გაგიშვებ! რომ გაგიშვა ალაპი არ მაპატიებს. გთხოვ, დარჩე ჩემთან. წივა ბევრი მაქვს, ხმელი ყველი და, რა თქმა უნდა, ფქვილიც. წყალიც არასოდეს იყინება ჩემს ჭაში.
- თქვენ თვითონ ასე ვიწროდ ხართ, აბდულა...
- მაგას შენ რად კითხულობ? შენი დასაწოლი ადგილი მაინც გამოჩნდება ჩემს იურთაში...

მთელი ღამე ვფიქრობდი, დავრჩენილიყავი თუ არა გაზაფხულამდე მასპინძელთან, მაგრამ ბოლოს მაინც წასვლა გადავწყვიტე. გამომშვიდობებისას აბდულამ საკმაოდ გრძელი და ვიწრო ფიცრის ნატეხი გადმომცა, რომელზედაც ბასრი ხანჯალი საიმედოდ იყო დამაგრებული. მერე მათარა წყლით ამივსო და გზა მშვიდობისა მისურვა, თან დამარიგა, ღამით თივის ზვინზე ავსულიყავი მგლებისაგან თავის დაცვის მიზნით. ასეთი ზვინები კი სტეპში მრავლად იყო.

დილით გასულს დაღამებამდე ერთხელაც არ დამისვენია. დაღლილი ერთ გრძელსა და მალალ ზვინთან მივედი ღამის გასათევად, რომელზედაც, მიუხედავად მცდელობისა, მაინც ვერ ავედი. ძალა და ენერჯია კი ბევრი დავხარჯე. ასევე ვერ ავედი მეორეზე და მესამეზე. მერე უკუნი ჩამოწვა და იძულებული გავხდი ბედს შევრიგებოდი. ერთ-ერთ ზვინს, ჩემი მკერდის სიმაღლეზე, როგორც იქნა, გამოვვლივე ერთი ფუთა ბზე და

იმედმოცემული, რომ ღამით არ გავიყინებოდი, უფრო ენერგიულად შეეფუდექი მეორის გამოცლას, მაგრამ ჩემთვის ყინვაზე არანაკლებ საშიში მტრის - მგლების ყმუილმა შემაკრთო. მათი ხმა თითქმის ყოველი მხრიდან მოდიოდა, თუ შიშის გამო მეჩვენებოდა ასე.

- ნუთუ მომაგნებენ? - ჩავილაპარაკე ჩემთვის და ისევ განვაგრძე მუშაობა. როგორც იქნა, მეორე ფუთაც გამოვაძრე და ცოტა შევისვენე, მგლების ყმუილის ხმას მივაყურადე, ის სულ ახლოს, ორიოდ ზვინის იქიდან მოდიოდა.

- ნამდვილად გეში აიღეს! ალბათ, დღეს დაღამდება ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღე.

სიცოცხლეში პირველად დავინახე ჩემს შესაჭმელად მადანადრულ ნადირთა თვალები, რომლებიც პროუქტორივით ანათებდნენ. აბლურახმანის გაკეთებული შუბი მოვიმარჯვე მომხვდურთა მოსაგერიებლად. თუმცა ისინი შეტევაზე გადმოსვლას არ ჩქარობდნენ. ჩემგან სულ რამდენიმე მეტრში გვერდიგვერდ დასკუბდნენ და მომაცქერდნენ.

- გაეთრიეთ აქედან! - შეგვივლე და შუბი ჰაერში შევათამაშე. ნადირთ არ შეშინებიათ, ძველებურად განაგრძობდნენ ცქერას.

- გადით-მეთქი! - შეგვივლე რაც ძალი და ღონე მქონდა და მათკენ თვითონ გადავდგი ნაბიჯი. მგლები ზანტად წამოდგნენ და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს. მაინცდამაინც, არც ესენი უნდა იყვნენ გულადნი, - გავიმაგრე გული, მაგრამ ამ დროს, საიდანღაც გამომტყვრალმა მეგლმა სულ რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით ჩამიქროლა.

- არა, ასეთი შეცდომის დაშვება არ შეიძლება, ისევ ზვინს უნდა მივეკრა, ასე უფრო მოვახერხებ თავის დაცვას.

დავბრუნდი თუ არა ზვინთან, მგლები ისევ წამოიშალნენ და ჩემსკენ წამოვიდნენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადმოდგმის შემდეგ ისევ თოვლზე დაეყარნენ. შევატყვე ნადირთ თავდასხმის თავიანთი მეთოდი ჰქონდათ.

გცდილობდი, მოსალოდნელ შედეგზე არ მეფიქრა. ცოტა ხანში მგლები ისევ წამოიშალნენ და ისევ გადმოვდგეს ჩემსკენ

რამდენიმე ნაბიჯი. ისინი ისე მომიახლოვდნენ, რომ ძნელი მის-
ახვედრი აღარ იყო, შემდეგი მათი წამოდგომა უკვე ჩემზე თავ-
დასხმით დამთავრდებოდა. არც შევმცდარვარ. ისევ გამოჩნდა
მგლის ანთებული წყვილი თვალი, მომიახლოვდა თუ არა,
ნადირს შუბი ვაძვერე.

მეტი არაფერი მახსოვს, აზრზე რომ მოვედი, თავზე ორი
ყაზახი მამაკაცი მაღა და ჭრილობებს თოვლით მისუფთავებ-
და. ერთ-ერთი მათგანი აბდულა იყო. ჩემგან ორ-სამ მეტრზე
კი შუბით განგმირული მგელი ეგდო. ცოტა უფრო მოშორებით
კიდევ ორი მკვდარი მგელი მოჩანდა.

სხეულზე ფიფქის ფთილები გვეფინებოდა. უკიდევანო ბნელ
სივრცეში სამნი ვიდექით. მე ქართულად ვწირავდი ღმერთს
მადლობას. ორი კი ყაზახურად - ალაჰს.

ის ზამთარი აბდულას იურთაში გავატარე და სწორედ
მაშინ ვისწავლე ყაზახური ენა, ბატონო დულათ!

ჩვენი თვითმფრინავის ბორბლები ჩრდილო ყაზახეთის მიწას
შეეხო. თვითმფრინავის ტრაპიდან თვალი მოვავლე გარემოს,
ნელი სიო ეთამაშებოდა სტეპს. მე, უკვე თმაშევერცხლილი,
მოხუც მეგობართან მივდიოდი.

გიულნარას ლიპიოშკები

ახლა, უკვე სიბერეში შესულს რომ მკითხოთ, თუ რა დანიშნულების იყო ის შენობა, რომელშიც 1951 წლის გაზაფხულზე საქართველოდან ყაზახეთში გადასახლებული რამდენიმე ქართული ოჯახი შეგვყარეს, ვერ გიპასუხებთ, თუმცა ამაზე ბევრჯერ დავფიქრებულვარ.

ჩამოგვყარეს თუ არა „პოლტონკის“ ძარიდან, კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენელ, დიდიან-პატარიანად გადაგვთვალეს და, როგორც ზემოთ ვთქვი, რალაც უცნაური არქიტექტურის მქონე შენობისაკენ გავვიძღვნენ. მეგზურებმა მისვლისთანავე შენობის რკინის კარის ურდული გახსნეს, კარი გააღეს და ყველანი შიგ შეგვრეკეს.

- ეს სად მოგვიყვანეს, ადამიანო? - ჰკითხა გაოგნებულმა დედაჩემმა მამაჩემს. მამას პასუხი არ გაუცია და აღარც დედას გაუმეორებია კითხვა.

- ნუთუ დასაწოლს არაფერს მოგვცემენ და ამ ბეტონზე დაგვიყრიან? - იკითხა ერთმა გაფითრებულმა ახალგაზრდა ქალმა.

არც მას არავინ გასცა პასუხი.

- მიპასუხე, კაკო, რად გადაყლაპე, ადამიანო, ენა?

- რა უნდა გიპასუხო, თამრიკო, როცა მე თვითონ არაფერი ვიცი.

- იკითხე, კაცო!

- მერედა ვის ვკითხო, ვინაა პასუხის გამცემი?

დაიქცეს ჩვენი ოჯახის დამაქცევარი და არ ნახოს მისმა შვილმა და მომავალმა ამაზე უკეთესი დღე, როგორიც ახლა ჩვენ გვადგას, ვისთვის რა დამიშავებია ბოსტნის კვალის გამმარგვლელსა და ძროხის მწველავ ქალს?

- გაჩუმდი, ადამიანო! იქნებ სულ არ არის ეს შენობა ციხე და ჩვენ პატიმრები, - სცადა მეუღლის დამშვიდება კაცმა და იატაკიდან არანაკლებ ოთხ-ხუთ მეტრ სიმაღლეზე განლაგებულ წვრილ სარკმელთა რიგს თვალი შეავლო.

- რას ჰქვია გავჩუმდე. არ გავჩუმდები. რატომ უნდა გავჩუმდე? ვითომ რას წამართმევინ? ერთი გამწარებული სული მიდგას პირში და ამასაც თუ დროზე ამომართმევინ, დიდად მადლობელი ვიქნები.

- ნუ ამბობ ასე, მე ხომ გყავარ და შვილიც გყავავს.

- შვილი?

- ჰო, შვილი, ჩვენი პატარა მარიამი.

- მყავს, როგორ არ მყავს, ამას ენაცვალოს დედა, - თქვა ერთბაშად გონზე მოსულმა ახალგაზრდა ქალმა და ზეწარში აბრეშუმის ჭურბრით გახვეულ ჩვილს სახედან ქსოვილი მოაცილა.

- ხედავ, კაკო, რა მშვიდად სძინავს ჩვენს პატარას?

- ვხედავ, - მოკლედ უპასუხა მეუღლეს კაცმა და სანთლისფრად ქცეულ შვილს თვალი მოარიდა.

- ხვალ ჩვენი მარიამი უკვე 2 თვის გახდება.

- ჰო, გახდება, - ინსტიქტურად დაემოწმა მეუღლეს ფიქრში გართული კაკო.

- ქალბატონო, თუ შეიძლება, ცოტა ხანს თქვენი პატარა მომეცით, - სთხოვა დედაჩემმა ახალგაზრდა დედას.

- ინებეთ. თქვენ თუ ამ სიკეთეს იზამთ, მე ბავშვისთვის დასაძინებელ ადგილს მოვაწყობ.

- მოაწყე, შვილო, ღმერთი დიდი! მთლად კი არ გაგვიმეტებს, გვეშველება რამე, - დააიმედა დედაჩემმა თამრიკო.

- ღმერთმა ქნას, დეიდა, მე კი ბევრის... - და წინადადება ვეღარ დაამთავრა, კარზე ურდულმა გაიჩხაკუნა.

- ვილაც მოდის. იქნებ გვითხრას რამე საიმედო, - გადაუჩურჩულეს ერთმანეთს.

მართლაც, კარი გაიღო, შენობაში ორი მილიციელი და ერთი სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი მაღალ-მაღალი ყაზახი შემოვიდა. ხალხი ერთიანად გაისუსა.

- „ტოვარიში“! - დაიწყო მჭახე ხმით ერთ-ერთმა მილიციელმა. მის ხმაზე შენობაში სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა.

- „ტოვარიში“! - გაიმეორა იმავემ და ამჯერად უკვე გააგრძელა; გვითხრა, რომ ამ შენობაში ორი ან სამი თვე თუ

მოგვიწევდა დარჩენა. ამ ხნის განმავლობაში კომენდატურაშიც აგვიყვანდნენ აღრიცხვაზე და ამჟამად მშენებარე ბარაკშიაც შესაძლებელი გახდებოდა ჩვენი შესახლება. მანამდე კი ჩაკეტილში უნდა გვეცხოვრა. ჩვენს ჭამა-სმას სახელმწიფო უზრუნველყოფდა ბარაკებში შესახლებამდე.

- კითხვა არის? - იკითხა ინფორმატორმა ისევ მჭახე ხმით.
- არის, ბატონო! - თქვა ერთმა ქართველმა მამაკაცმა.
- მერედა რას ელოდები? თქვი!

- ბატონო მილიციელო, თუ ჩვენ აქედან ვერ გავალთ, როგორ შევძლებთ აუცილებელი მოთხოვნილების საგნების შეძენას?

- როგორ, აქ თქვენი სამშობლო არაა? რაც შეეხება თქვენს ჩაკეტვას, ეს ბრძანებაა და ამას არაფერი შეცვლის, - გააგრძელა მილიციელმა.

- ნეტავ რა დავაშავეთ ასეთი?! - ატყდა ხალხში ჩურჩული.

- წყნარად! - დაჰკივლა ორივე მილიციელმა ერთად და ხალხმაც ერთიანად ჩაყლაპა ენა.

- ახლა სადილისათვის მოემზადეთ. თქვენს კვებაზე პასუხისმგებელი იქნება ამხანაგი შორთანბეი, - თქვა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ ყაზახზე მიგვითითა მილიციელმა.

სადილამდე დარჩენილი დრო თავიანთი კუთხე-კუნჭულის მოწყობას მოახმარეს უფროსებმა. ვიდრე ისინი საქმით იყვნენ დაკავებულნი, მზემ თავისი სხივები აიკრიფა სარკმლიდან და შენობა ნაცრისფერმა სინათლემ მოიცვა.

- რა გაძლებს ამ ჯოჯოხეთში მზის გარეშე? - აწუწუნდნენ ქალები.

- ჯოჯოხეთში ჩაქვესკნელდა, ჩაიკირა და ჩადულაბდა ჩვენი ამ დღეში ჩამყრელი, შვილო, - გამოეპასუხა ახალგაზრდა მომიჩივანს ერთი ქალბატონი.

- ნეტავ რად წყევლი, დეიდა, მათ? წყევლით კი არა, თოფითაც ვერაფერს დააკლებ, რომ იცოდე.

- აბა ვიტყვი, შვილო? არა, არავითარ შემთხვევაში. კი არ ვიტყვებ, მათ ჯინაზე ვიმღერებ კიდევ.

- მერედა რაღას ელოდები, მატრონა, შეუბერე შენებურად,

- წააქეზა მეუღლე თოვლივით თეთრთმინამა კაცმა.
- თუ ამყვები, რატომაც არ შევუბერავ, სარდიონ.
- შენ დაიწყე და დანარჩენი მე ვიცი...

პარტნიორის გამოჩენით გათამამებულმა მატრონას თავპატი-
ჟი აღარ დაუწყია, თავი ოღნავ ასწია და მშვენიერი ხმით დაი-
წყო. დაიწყო და მეუღლეც აიყოლია.

„გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო.
ამბავი ჩამომიტანე,
ომში წასული ძმისაო.“

ჩაიმღერეს ცოლ-ქმარმა და ერთხანს გაჩუმდნენ.

- გააგრძელოთ, სარდიონ, გააგრძელოთ. იქნებ მიწვდეს თქვენი ხმა დიდ ბელადამდე. ვინ იცის, გულიც კი აუჩუყდეს და კეთილი თვალით გადმოგვხედოს, მე მისი...

დედამ მამას სათქმელის თქმა აღარ დააცადა, ისე მწარედ უჩქმბიტა მკლავზე, რომ კაცი სიმწრისაგან დაიგრიხა.

- რად გაჩუმდით, გააგრძელოთ. - გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

- გავაგრძელოთ, მატრონა?

- არა, ჩემო სარდიონ, ახლა ახალგაზრდებმა გააგრძელონ, ასე აჯობებს.

- აბა, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი და ჩამოგიყრიათ ყურები, გოგოები! - დაუცაცხანა სარდიონმა კედელზე მხრებით მი-
ყუდებულ ჩემს დებს. სულიკომ, რუსიკომ და ლეილამ ერთ-
მანეთს გადახედეს და ის იყო სიმღერა უნდა დაეწყეთ, რომ
მაყვალა დეიღამ საიდანღაც საშუალოზე ოღნავ პატარა ტამბი
დააძრო და შესძახა:

- აბა, ახლა ყველა ცეკვა-თამაშისათვის მოემზადეთ, - და ხელები მეტალზე აათამაშა.

„ზემოდანა მოდიოდნენ კეკელა და მარო.

ერთმანეთს ეუბნებოდნენ; რა დასთესე, ქალო.

ვაჰ-ჰევ ჰა-რა-ლა-ლო, ჰა-რი ჰა-რა-ლა-ლო

ჰა-რი, ჰა-რა-ლი ჰა-რა-ლი ჰა-რა-ლო ჰა-რი-ჰარა-ლო! ჰე-

ეს“

აპყვენენ სიმღერას ახალგაზრდები და ცეკვა დაიწყეს.

ხმა ჯერ შენობის გუმბათს მისწვდა, მერე შიგ დატრიალდა და ბოლოს სარკმლის ჩამსხვრეული მინებიდან ქუჩაში გაიჭრა.

- იმღერეთ, გულით იმღერეთ და იცეკვეთ, ახალგაზრდებო!
- გაიძახოდა სარდიონი და სხეულის ყველა ნაწილს რიტმს აყოლებდა.

მომღერალ-მოცეკვავეებმა მთლად დაივიწყეს თავიანთი გასაჭირი. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ კარზე ურდულის ხმას არ გამოეფხიზლებინა ისინი. შენობაში მაღალი კაცი შემოვიდა.

- რა ხდება აქ? - იკითხა კაცმა გამართული რუსულით.

- არაფერი, - უპასუხა მამაჩემმა და ქანდაკებადქცეულ ადამიანებს გამოეყო.

- როგორ თუ არაფერი? ქუჩაში შესანიშნავი ხმები ისმოდა.

- ვმღეროდით. ვმღეროდით და ვცეკვავდით.

- მღეროდით და ცეკვავდით?

- ჰო, ვმღეროდით და ვცეკვავდით.

კაცს აღარაფერი უკითხავს, ერთხანს უძრავად იდგა. მე ბავშვური შიშით და კრძალვით შევცქეროდი ყაზახს, რომლის თვალებზე ცრემლი ჩამოგორდა.

- ძალიან კარგი, მაშინ მე წავალ, თქვენ კი ცეკვა-სიმღერა განაგრძეთ, -თქვა მან, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თითქმის მთელ სახეზე აიფარა და გარეთ გავიდა. მისი გასვლიდან, სულ რაღაც ორიოდე წუთის შემდეგ, ისევ გაისმა ურდულის ხმა, კარი გაიღო და ჩვენთან საჭმელებით დატვირთული სამი მზარეული შემოვიდა. წვნიანით სავსე ქვაბები ბეტონის იატაკზე დააწყეს, შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თეთრი ხალათის გულის ჯიბიდან საგულდაგულოდ დაკეცილი ქალაქი ამოიღო და სათითაოდ დაიწყო ოჯახის უფროსების გამოძახება და ჯამ-ჭურჭლის გადაცემა. მორჩა თუ არა ჭურჭლის დარიგებას, ბრძანა, ჯამები ოჯახის ყოველ წევრს გვერდიგვერდ დაგვეწყო. ჩვენც ასე მოვიქვეცით. მზარეულებმა ჩამოიარეს და ჩამჩით წვნიანი დაგვისხეს.

- ეს რას ჰგავს, ამის დამჭრელს დანა არ ჰქონდა? -

ჩაიბუზღუნა ერთმა ჩვენგანმა ქართულად.

- აქ შეკვეთებს არ ვიღებთ, - მკვახედ თქვა პომადით სახემოსვრილმა ქერა მზარეულმა და ისე, რომ სიტყვა არ გაუწყვეტია, თავის ხელქვეით გოგონას ბრძანების კილოთი უთხრა

- კატია, პური ჩამოარიგე, რაღას უკვდი.

კატიამ უხმოდ დაიწყო მუყაოს ყუთიდან რაღაც აგურის ფორმის შავი საგნების ამოლაგება.

- როგორ, ეს პურია?! - ინსტიქტურად წამოიძახა დედაჩემმა.

- რას ჰგავს ეს, დაგვიხოცავს ბავშვებს! - აწუწუნდა რიგის ბოლოს ვიღაც.

- ქალები რას ჩივიან? - ჰკითხა მზარეულმა მამაჩემს.

- იმას ჩივიან, რომ თქვენი პური საერთოდ არ ჰგავს პურს.

- უყურე ამათ! პურსაც გვიწუნებენ, - ჩაილაპარაკა მზარეულმა და თავისი საქმე განაგრძო.

მორჩა თუ არა საჭმლის განაწილებას მზარეული, თავის ხელქვეითებს უბრძანა წავედითო და კარი გაიხურეს.

- დაჭერი, ადამიანო, ეგ პურია თუ რაღაც, დაიხოცნენ ბავშვები შიმშილისაგან, - სთხოვა დედაჩემმა მამაჩემს. მამამ ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და პურს დაუსვა. დაუსვა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ზედ კვალიც კი ვერ დაამჩნია.

- ეს რა მეორედ მოსვლაა?! დანა რომ პურს ვერ ჰკრიდეს, ჯერ არსად მინახავს, - დაიჩივლა მამამ.

- დიდი დანა ითხოვე, ადამიანო!

- დიდი დანა ხომ არ გექნებათ? - ხმამაღლა იკითხა მამაჩემმა.

- დიდი დანა კი მაქვს, მეზობელო, მაგრამ რა აზრი აქვს მის ქონებას, პური მაინც ვერ გავჭერი და...

- მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? - იკითხა მამამ.

- თუ შეგნითაც ასეთი არის, მაშინ მოგვიწევს „ჯავშნის“ გატეხა, - იყო პასუხი.

- და მერე რით გავტეხოთ? ჩაქური ჩვენ არ გვაქვს და ქვა.

- მოიტა, ძამია, შენი პური.

მამამ მეზობელს პური მიაწოდა. მან კი ერთმანეთზე დაი-

წყო მათი ცემა.

- არა, ძმაო, ასე არაფერი გამოვა, ისევ კედელი თუ გვიშველოს, - თქვა მეზობელმა და პური მთელი ძალით მი-
არტყა კედელს. რამდენიმე დარტყმის შემდეგ სახეგაბადრულმა
გვითხრა, - პური უკვე გაიზარაო. კიდევ ერთი-ორი დარტყ-
მის შემდეგ კი მისი დანაწევრება დაიწყო, მაგრამ მას ისეთი
წებოვანი გული აღმოაჩნდა, რომ მისი ჭამა არ შეიძლებოდა.

- დაგვხოცავს, ხალხო ეს! - დაიჩივლა მეზობელმა და ისევ
პურს დახედა.

* * *

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა მხარზე რაღაც საგანი დამეცა
და გამომალვიდა. შეშინებულმა ტირილი მოვრთე.

- რა მოხდა, შვილო? - მკითხა შეშინებულმა დედამ.

- რაღაც დამეცა.

- რა დაგეცა?

- არ ვიცი.

- ასანთი ანთე, აღამიანო, ბავშვს მგონი კატა დაახტა
სარკმლიდან გადმომძვრალი.

- რას ამბობ, სარკმლის სიმაღლემდე კატას რა აიყვანდა?

- გაიკვირვა მამაჩემმა.

- ჯანდაბა ჩვენს მტერს, სხვა რა უნდა ყოფილიყო, აბა.

მამამ ასანთი ანთო. ჩემს წინ უწესრიგოდ მიმოფანტული
ხუთი ერთნაირი საგანი და რაღაც ქალაღლი ეგდო.

- ეს რაა, აღამიანო? - იკითხა გაოცებულმა დედაჩემმა.

- ლიპიოშკებია, ასეთებს ადგილობრივი მცხოვრებნი აცხო-
ბენ.

- მერედა აქ საიდან გაჩნდა?

- ალბათ, აქ წერია ყველაფერი.

მამამ ქალაღლი აიღო და გაშალა. მართლაც, წერილი იყო.

- ხომ გითხარი, წერილია -მეთქი. გათენდება და წავი-
კითხავ. ახლა კი დავიძინოთ, ხომ ხედავ ყველას სძინავს.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა დედა.

გათენდა თუ არა, მამამ წერილი წაიკითხა. უცნობი ჩვენს

მშობლებს ატყობინებდა, რომ ბავშვებისათვის გაურკვეველი შემადგენლობის პური არ ეჭმიათ. მათთვის საჭირო რაოდენობის ლიპიომკებს ის ყოველ ღამე მოგვაწვდიდა.

* * *

გავიდა წლები. ყაზახეთში გადასახლებულებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მოგვცეს. როგორც სხვა, ისე ჩვენი ოჯახიც შეუდგა წამოსვლისათვის სამზადისს. ერთ დღეს ჩვენთან შორთანბეიმ შემოიარა, რომელიც იქ ყოფნის დროს ძალიან დაუმიგობრდა მამაჩემს, ბამბის საპენტ ფაბრიკაში სამუშაოც კი უშოგა.

- მიგიხარია სამშობლოში? - ჰკითხა მამას.
- მიმიხარია, მეგობარო!
- ხომ მომიგონებ -ხოლმე.
- რა თქმა უნდა, რა დამავიწყებს თქვენსა და თქვენი ხალხის გულთბილ დამოკიდებულებას ჩვენდამი. შეიძლება კაცს იმ ლიპიომკების ამბავი დაავიწყდეს?
- რომელი ლიპიომკების?
- იქ, ცხნის ფანჯრიდან რომ ცვიოდა -ხოლმე დამლამობით.
- მაშ, არ დაგვიწყნია გიულნარას გამომცხვარი ლიპიომკები? - იკითხა გაღიმებულმა შორთანბეიმ.
- გიულნარა ვინაა?
- გიულნარა ჩემი მეუღლეა, მეგობარო!

ბარკაი

მოხუც ნურადინს იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე მიჰყავდა ცხენი საძოვარზე.

მართლაც, კარგი ბედაურია ეს ცხენი! – გავიფიქრე და თვალი გავაყოლე მამლის ბოლოსავით მოლივლივეს.

მოხუცი ცხენიანად თვალს მიეფარა თუ არა, ფანჯარას მოვცილდი და მისაღებში კედელზე გაკრულ ჩემი ცქვიტოს სურათს შევხედე. ის ისეთი აზრიანი თვალებით მიცქერდა, გავიფიქრე, ცოტაც და ენას ამოიდგამს და მკითხავს, – სად დაიკარგეო?

– რა იყო, ცქვიტო, ხომ არ დაგავიწყა იმ ზარმაცმა ჯოტიამ ტეხურის მორევი? ეჰ, ჩემო მეგობარო, გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი მოწყალეა, ვინ იცის, იქნებ, გველირსოს ტეხურის პირას ჯირითი.

ფიქრი ეზოდან შემოსულმა ძმამ შემაწყვეტინა.

– ხეიზა, იცი, რა გავიგე? – მკითხა მოსულმა.

– მაინც რა?

– თურმე, მოხუცი ნურადინი თავის ცხენზე არასოდეს ჯდება და არც სხვას დასვამს. მისი შვილის ყოფილა.

– მერედა სადაა მისი შვილი?

– მისი შვილი ომში წასულა და აღარ დაბრუნებულა. მოხუცი ისევ ელის მის დაბრუნებას და ამიტომაც არავის სვამს იმ ცხენზე. ისე, რა ცხენია, ბიჭო!

– უბედო კაცი ყოფილა ნურადინი, ომის შემდეგ უკვე ექვსი წელი გავიდა...

– ამბობენ, ჯიუტად სჯერა, რომ შვილი დაუბრუნდება.

– კარგია, თუ სჯერა.

– კაცმა რომ თქვას, ცხენიც ცოდოა, არა?

– არის, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ რას იზამ? ალბათ, მოხუცმა მასზე შემჯდარი სხვა რომ ნახოს, გული ეტკინება. შეიძლება იმედიც კი დაკარგოს შვილის დაბრუნებისა. რომ იცოდე, ფრიდონ, იმ ცხენის დანახვისთანავე ჩვენი ცქვიტო

მაგონდება. შარშანწინ ის დიდი დიდი ტეხურის პირას მან მოიგო, მე ბევრს ვერაფერს ღვეხმარე. ვინ იცის, ვნახავ კი ოდესმე ჩემს ცქვიტოს?

- ნუ წუწუნებ, ხვიჩა, ჩვენ ვერც იმას მოვიფიქრებდით, ოდესმე თუ აქ მოგვხვდებოდით.

- ღმერთმა გისმინოს, ძმაო! - ვუთხარი ძმას და გარეთ გავედი.

- სად მიდიხარ, ხვიჩა? - ხმა დამაწია დედაჩემმა.

- ჩქარა დაგბრუნდება, დედა, მოხუცი ყაზახის ცხენი მინდა ახლოდან ვნახო.

- არ დაიგვიანო. დღეს შენ და შენი ძმა რაიონის ცენტრში ხარო წასასვლელი, ფქვილი უნდა ამოიტანოთ.

- ჩქარა მოვალ!

* * *

- ასალამ-ალეიქუმ, ბაბაი!

- ალეიქუმ-ასალამი! - მიპასუხა ჩემს მისალმებაზე მოხუცმა.

- ბაბაი, შეიძლება ცხენს მოვეფერო? - ვკითხე.

- შეიძლება, - იყო მოკლე პასუხი გაკვირვებული ყაზახისა.

მე ცხენთან მივედი, ცხოველმა მშვიდად ასწია თავი და თვალებში ჩამაცქერდა.

- მშვიდი ცხოველი ყოფილა, ბაბაი!

- არც ისე, გურჯო!

- მე მშვიდად მიმიღო და... - წინადადება აღარ დავამთავრე.

- მეც ეგ მიკვირს.

ცხენს მარცხენა ქვედა ყბაზე ამოვდე ხელი და მარჯვენით მარცხენა საფეთქელზე მოვეფერე. გაკვირვებული მოხუცი მიმიახლოვდა და მითხრა:

- გურჯო, შენ პირველი ხარ ჩემი უბასი შემდეგ, ვისაც ბარკაი ასე მიენდო.

- ცხენს ბარკაი ჰქვია?

- ჰო, ბარკაი ჰქვია. ბარკა ძველბერძნულად ცეცხლს ნიშნავს. ომში დაკარგული ჩემი შვილის ცხენი, მართლაც, ცეცხ-

ლოვით შეუპოვარია, მაგრამ...

მოხუცმა სიტყვა ველარ გააგრძელა. მე მას შევხედე, მის წამწამებზე ცრემლი ბრწყინავდა.

- მაპატიე, ბაბაი, - მოვუბოდიშე მოხუცს და წასვლა დავაპირე.

- მტოვებ, გურჯო? - მკითხა გულდაწყვეტილმა.

- რაიონული ცენტრიდან ფქვილი მაქვს ამოსატანი. ღლეს აუცილებლად უნდა ამოვიტანო.

- კარგი, წადი, თუ ხვალაც მოხვალ. კარგი იქნება.

- გნახავ, აუცილებლად გნახავ, - შევპირდი შვილდაკარგულს და ნაბიჯს ავუჩქარე.

- რა გქვია, გურჯო? - კითხვა დამაწია მოხუცმა.

- ხვიჩა.

- მე ნურადინს მეძახიან.

- ვიცი, ბაბაი.

მას შემდეგ ყოველდღე ვხვდებოდი ნურადინს და ერთად ვიგონებდით წარსულს აწმყოზე გულდაწყვეტილნი.

* * *

ერთხელ ნურადინთან მისული აღკაზმული ბარკაის ნახვამ გამაკვირვა.

მინდოდა, მკითხა, აკი თქვი, ბარკაიზე არასოდეს შევჯდებო, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე.

- ხვიჩა ღლეს შენ ბარკაიზე უნდა შეჯდე, - მითხრა მოხუცმა.

- რას ამბობ, ბაბაი, ეს როგორ?!

- ხვიჩა, დაკარგული შვილის ცხენზე მამა ვერასოდეს შეჯდება. ამის ძალა მშობელს არ შესწევს. შენ კი უნდა შეჯდე, შვილო, სხვა რომ არაფერი, ცხენია ცოლო, გაურავდება.

- მერე? - ვკითხე დაბნეულმა.

- მერე და მიჩვენე რა მხედარიც ხარ. მხოლოდ ფრთხილად, ბარკაი, ალბათ, გადაჩვეულია მხედარს.

მე ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე.

- მოდი, რაღას უყურებ, ხომ არ გეშინია, გურჯო? - წამ-

აქეზა მოხუცმა.

ცხენთან მისულმა, ცხოველის საფეთქლებს ხელები აქეთ-იქიდან მოვდე და თვალებში ჩავხედე. ისინი, როგორც ყოველთვის, აზრიანად მიცქერდნენ. მერე ადვირი ხელში დავიჭირე, მარცხენა ფეხი უზანგში შევყავი და უნაგირზე მოვექეცი. მხედარს გადაჩვეულს არ მოვეწონე. ის ერთხანს ყალყზე შედგა, აჭიხვინდა და აფორიაქდა, მერე კი თავაწყვეტილი გაქანდა უდაბნოში.

- მარჯვედ, მარჯვედ მოეჭიდე, არ გადმოგადლოს! - მომძახოდა შეშინებული მოხუცი.

ბარკაი თავდავიწყებით მიმაქროლებდა უკიდვგანო უდაბნოში. მიმაქროლებდა, მაგრამ ჩემს ჩამოგდებას არ ცდილობდა. უკან მოვიხედე, იქ, სადაც მოხუცი ნურადინი მეგულებოდა, სამწუხაროდ, იქ მხოლოდ ყვითელი ქვიშისა და ლურჯი ცის გამყოფი ხაზი დავინახე. მივხვდი, ძალიან შორს ვიყავ გაჭირვით. ადვირი მოგწიე, ცხენი შედგა და ადგილზე დაიწყო თამაში. მნახველს ეგონებოდა, ცხოველი ცეკვავსო. ჩამოვქვეითდი თუ არა, ცხენი გაჩერდა, ჩემსკენ შემობრუნდა, დრუნჩი სახესთან მომიტანა და რამდენჯერმე დამყნოსა. მივხვდი, კეთილად განეწყობო ჩემს მიმართ. მეც ალერსიანად ჩამოვუსვი პირუტყვს ხელი ფაფარზე და ვუთხარი - ბარკაი, ახლა დროულად გავწიოთ მოხუც ნურადინთან და ჩვენი დამეგობრება ვახაროთ, თორემ ხომ იცი, ნერვიულობს კაცი -მეთქი.

ცხოველმა ისე შემომხელა, მომეჩვენა, თითქოს ჩემი ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიგო.

- მაშ, წავიდეთ, არა? - ვთქვი და ცხენს მოვევლე. ნურადინთან მისული, ჯერ ისევ გაჭენებული ცხენიდან ჩამოვხტი და აღფრთოვანებულმა შევძახე.

- ბაბაი, ეს ცხენი კი არა, ნამდვილი გრიგალია!

მოხუცს გაელიმა, თქმით კი არაფერი მითხრა.

- მართლაც რომ, ცეცხლი ყოფილა ბარკაი! - ვცადე ისევ მოხუცის საუბარში გამოწვევა.

- კარგი მაშინ იქნებოდა, ჩემი უბაი რომ დაბრუნებულიყო ომიდან. ახლა...

მოხუცმა სათქმელი არ დაამთავრა. მივხვდი, მეტი კითხვის დასმა უადგილო იქნებოდა.

- ნახვამდის, ნურადინ ბაბაი!

- ნახვამდის, ხვიჩა!

ის იყო, პირი სახლისაკენ ვქენი, რომ ნურადინის ხმა შემომესმა.

- ხვიჩა!

უხმოდ შევბრუნდი.

- გისმენ, ნურადინ ბაბაი.

- ხვიჩა, შენ და ბარკაი ძალიან ჩქარა დამეგობრდით.

- ჭკვიანია და კაცს იცნობს, - გავფხუმრე.

- მართალს ამბობ, შვილო! - თქვა მოხუცმა და ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ისევ დაიწყო, - ხვიჩა, ხვალ აქ დიდი დოლი იქნება. მთელი ჩვენი ოლქის საუკეთესო მხედრები მოიყრიან თავს, აი, იმ მინდორზე, - თქვა მოხუცმა და თითოთ ალმოსავლეთით გაშლილ მინდორისაკენ მიმითითა, მერე ცოტახანს გაჩუმდა და ისევ განაგრძო: - ეს შვიდი წლის წინათ მოხდა, მაშინ ჩემი უბაი ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო და პირველად იღებდა მონაწილეობას დოლში.

- მერე?

- დოლი უბაიმ და ბარკაიმ მოიგეს, მათთვის პირველი და უკანასკნელი დოლი. მერე ომი დაიწყო... - მოხუცი ისევ გაჩუმდა.

- გამოჩნდება შენი შვილი. გჯეროდეს, აუცილებლად გამოჩნდება! - დავამშვიდე თვალცრემლიანდგარი მოხუცი.

- მჯერა, როგორ არ მჯერა. ეგ რომ არ მჯეროდეს, ალბათ, ცოცხალი აღარ ვიქნებოდი,

- ხვიჩა!

- გისმენ, ნურადინ ბაბაი.

- ხვიჩა, ხვალ შენ დოლში უნდა მიიღო მონაწილეობა. ვიცი, უბაი, აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ როდის დაბრუნდება ნამდვილად არ ვიცი, ცხენი კი უპატრონოდ ცოდეა. ნუ მეტყვი უარს, მიიღე მონაწილეობა დოლში! - გამიმეორა ნურადინმა.

- მე ხომ...

- არა უშავს, ხვალ თუ არა, გამარჯვება შემიდევში მოვა, -
შემაწყვეტინა სიტყვა მოხუცმა.

* * *

მთელი ღამე არ მეძინა. ხვეწნა - მუდარით ისე არასოდეს მომიბეზრებია ღმერთისთვის თავი, როგორც იმ ღამეს. გამარჯვება მწყუროდა.

როგორც იქნა, გათენდა უძილო ღამე. დღის ათ საათზე მსაჯებმა ოცამდე მხედარი ზედ სტარტის ხაზზე დაგვაყენეს. სმენადამბულოს გარკვევით მესმოდა აქსაკალთა ჩურჩული, - რა გაეგება ქალაქში გაზრდილ გურჯს ცხენისაო. ნურადინი კი მათ საყვედურს ღუმლით ხვდებოდა.

- მოემზადეთ!

- სტარტის გაფრთხილებას ხანმოკლე პაუზა მოჰყვა. მხედრები ველავდით, თუმცა, ჩვენზე ნაკლებ არც ცხენები იყვნენ შშვილად. აღვირს ლამის ხელიდან გველუჯდნენ.

- ერთი! - თქვა მსაჯმა და მხედრები ერთიანად სმენად ვიქეციით.

- ორი! - ამ სიტყვის გაგონებაზე ცხენ-კაცი ერთიანად დავიძაბეთ.

- სამი! - გაისმა ისევ ხმა და მესტარტემ ალამიც დაიქნია. მხედრებმა ბედაურებს ღეზი ჰკრეს და აღვირი მიუშვეს. თითქმის ყველა ცხენი თავის მხედრიანად ერთბაშად მოწყდა ადგილს გარდა ბარკაისა, ჩემი ცხენი ყალყზე შედგა და ხმამაღლა აჭიხინდა.

- ეს რა ჩაიდინე, განა შეიძლება ამ დროს ღალატი?! ნუ იზამ ამას, შენი ჭირიმე! - ვეხვეწებოდი ქართულად ბარკაის. ცხენი ერთხანს ოთხზე დადგა და გაირინდა. მე ნურადინისაკენ გავიხედე. მოხუცი ქანდაკებასავით იდგა. მოხუციდან მზერა მხედრებზე გადავიტანე. ისინი ბედაურებზე გულმკერდით გაკრულნი, ქარივით მიჰქროდნენ თვალუწვდენელ მინდორზე.

- ბარკაი! - შევძახე ისტერიულად და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავაზე გადავუჭირე. ცხენი ისევ ყალყზე შედგა, მერე

ერთი ხმამაღლა დაიჭიხვინა და უკანა ფეხებზე შემდგარმა უშველებელი ნახტომი გააკეთა წინ. მე აღვირი ერთიანად მივუშვი და ისიც ადგილიდან მოწყდა.

- მიდი! მიდი ბარკაი! არ მილალატო, უბაის სულს გაფიცებ! - დავძახოდი პირუტყვს და მთელი ძალით მივერეკებოდი. წრის შუამდეც არ ვიყავით მისულნი, როცა უკანასკნელმა მხედარმა დაამთავრა პირველი წრე.

- აბა, შენ იცი, ბარკაი! გული არ გაიტეხო, ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული! - ვამხნევებდი ხმამაღლა პირუტყვს, ლამის ფეხზე დამდგარი.

ჩემმა შეძახილმა ცხენი ერთიანად გააცოფა. მივხვდი, რომ ის უბრძოლველად აღარ აპირებდა დათმობას. მე თუ აქამდე ფეხზე წამომდგარი ვიყავი, ახლა უკვე თითქმის გავწევი მის ზურგზე და ქართული შეძახილით: მიდი! მიდი! - ვამხნევებდი. მესამე წრეზე უკვე წამოვეწეი ჩამორჩენილ მხედრებს. მეოთხეზე ჩემს წინ ოთხიოდ მხედარიდა ჩანდა, მეხუთე წრეზე მხოლოდ ერთი მხედარი მიჰქროდა ჩემს წინ, ლურჯა ცხენზე ამხედრებული. მეექვსე წრეზე სულ რამდენიმე მეტრიდა მაცილებდა იმ ლურჯას, რომლის გავა ხშირი წინწყლებით იყო მოჩითული.

- ბარკაი, აბა შენ იცი, არ მილალატო! ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ და ეს გამარჯვება უბაის ხსოვნას მივუღძღვნათ, - ჩავჩურჩულე ცხენს. სულ მალე მეწინავესგან სანტიმეტრები თუ მაშორებდა.

- მიდი, ბარკაი! მიდი! არ შემარცხვინო! - კიდევ ერთხელ გავამხნევე პირუტყვი.

მართლაც, მთლად გავიჟდა ბედაური. სულ რაღაც რამდენიმე მეტრში მეწინავეს ისე მიუახლოვდა, რომ მისი ძუა თვალებზე აეფარა. ცხენი აღვირით ოდნავ მარცხნივ გავწეი და ისევ ქართულად შევძახე - მიდი! მიდი! არ შეგეშინდეს! გამარჯვება აუცილებლად ჩვენ დავგრჩება! ცოტაც და ცხენების დრუნჩები ერთ სწორზე განლაგდნენ. ერთი წამით წინ გავიხედე, სტარტამდე ორმოც-ორმოცდაათი მეტრი თუ იქნებოდა დარჩენილი.

- არა, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ! - შევძახე პირუტყვს.